

ნათია მახათაძე

თეა ჯულელი

ბავშვის ქონების განკარგვის  
საკითხის საკანონმდებლო  
მონესრიგების არსებული  
გამონვევები



ნათია მახათაძე

თეა ჯულელი

ბავშვის ქონების განკარგვის  
საკითხის საკანონმდებლო  
მოწესრიგების არსებული  
გამოწვევები

გამომცემლობა

თბილისი, 2023



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ნათია მახათაძე

თეა ჯუღელი

წარმოდგენილი კვლევა მომზადებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მხარდაჭერით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში.

Research have been prepared with the support of Georgian National University SEU, in the framework of scientific grant project for the academic staff.

უნივერსიტეტის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Universitat's position may not coincide with that of authors. Authors are responsible for the facts and data in the article.



ღიმიანა შპს „ფორმა“-ში  
[www.forma.ge](http://www.forma.ge)

ISBN 9941-8-5686-0

---

---

## ავტორებისგან

ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების ანალიზის, ასევე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების საჭიროება წარმოიშვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2019 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რომლითაც დადგინდა არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე სავალდებულო სასამართლო კონტროლი, ხოლო სასამართლო, თანხმობის გაცემის პროცესში შეიზღუდა მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამოკვლევის დათქმით.

საგულისხმოა, რომ კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულ იქნა ხსენებული საკითხის გადაწყვეტის ახლებური მიდგომა, რაც სრულიად უცხო იყო როგორც საქართველოს საკანონმდებლო სივრცის, ისე სასამართლო პრაქტიკისთვის. კანონმდებელმა სასამართლოს მიანდო ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის საპროცესო სამართლებრივი ასპექტების მოწესრიგება, რამაც ბიძგი მისცა არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. შედეგად, წარმოიშვა არსებითი ხასიათის სირთულეები როგორც სამართლებრივი სიცხადისა და ლეგიტიმური მოლოდინის, ისე ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

წინამდებარე სახელმძღვანელო გათვლილია არა მარტოდენ მოსამართლეებზე, საქმის განხილვის პროცესში ჩართულ საჯარო დაწესებულებებზე, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებზე, ადვოკატებზე, არამედ ასევე მშობლებზე, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი, რათა ამ უკანასკნელთ გაუმარტივდეთ უფლების დაცვის მიზნით ხელმისაწვდომი საშუალებების იდენტიფიცირების, ხოლო სასამართლოს - გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სახელმძღვანელოში განხილულია საკანონმდებლო რეგლამენტაციის ანალიზი ცვლილებების განხორციელებამდე და მას შემდეგ უშუალოდ ბავშვის უფლებების დაცვის ჭრილში; საქმისწარმოების პროცესში არსებული სირთულეები სასამართლო პრაქტიკის ანალიზის გზით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები და ბავშვის ინტერესების დაცვის პროცესში არსებული რისკები.

ამ წიგნის შედგენაში დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს, რომლის მიერ გამოცხადებული საგრანტო პროექტის ფარგლებშიც მოხდა სახელმძღვანელოს გამოცემა.

---

---

## სარჩევი

|   |           |
|---|-----------|
| <b>1. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს თანხმობის გაცემის საკანონმდებლო მოწესრიგების ზოგადი ანალიზი .....</b> | <b>6</b>  |
| 1.1. ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის მოწესრიგება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე .....               | 6         |
| 1.2. ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის მოწესრიგება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ .....          | 9         |
| <b>2. სასამართლო კონტროლის ფარგლები ბავშვის ქონების განკარგვის მოთხოვნისას .....</b>                                | <b>12</b> |
| 2.1. ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის შინაარსი .....  | 12        |
| 2.2. ბავშვის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის განკარგვის თავისებურებანი .....                                    | 15        |
| <b>3. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტები .....</b>        | <b>19</b> |
| 3.1. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემაზე განსჯადი სასამართლო .....                            | 19        |
| 3.2. საქმის განხილვის წესი .....  | 26        |
| 3.3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი .....   | 29        |
| 3.4. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი .....   | 31        |
| 3.5. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თავისებურებანი ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში .....      | 37        |
| <b>4. სამართალწარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტები და მათი სტატუსი .....</b>                                      | <b>47</b> |
| 4.1. ადვოკატის ჩაბმის საკითხი .....   | 47        |
| 4.2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის საკითხი და მისი პროცესუალურ-სამართლებრივი სტატუსი .....             | 51        |
| 4.3. ბავშვის ჩაბმა .....  | 59        |
| <b>5. ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის თავისებურებანი .....</b>   | <b>63</b> |

---

---

|           |  |           |
|-----------|--|-----------|
| 5.1.      | ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება .....  | 63        |
| 5.2.      | ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენა ქონების განკარგვისას.....                    | 65        |
| <b>6.</b> | <b>ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით არსებული ინსტრუმენტები.....</b>   | <b>72</b> |
| 6.1.      | ნებართვის გაცემა კონკრეტული პირობით.....   | 72        |
| 6.2.      | სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელების წესი .....    | 77        |
| <b>7.</b> | <b>სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არსებული პრობლემური ასპექტები</b> | <b>89</b> |
| 7.1.      | სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება როგორც სავალდებულო მოთხოვნა .              | 89        |
| 7.2.      | სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები ....            | 93        |
| 7.3.      | სასამართლო ნებართვის გარეშე გარიგების დადების შედეგები.....                      | 95        |

---

---

## 1. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს თანხმობის გაცემის საკანონმდებლო მოწესრიგების ზოგადი ანალიზი

### 1.1. ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის მოწესრიგება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს კონტროლის დაწესებამდე მშობლებს დამოუკიდებლად, ყოველგვარი დამატებითი ბარიერების გარეშე შეეძლოთ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა.<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 1198-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენდა მშობლების ვალდებულებას, დაეცვათ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავდა შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას,<sup>2</sup> თუმცა კანონმდებლობით არ იყო მოწესრიგებული უშუალოდ ქონების განკარგვის საკითხი, მაშინ როცა ქონების განკარგვა ბავშვის საკუთრების უფლებაში ჩარევის უფრო ინტენსიურ ფორმას წარმოადგენს. ამდენად, ამ პროცესში მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკები არ იყო კანონმდებლობით სათანადოდ პრევენცირებული,<sup>3</sup> რაც წარმოშობდა ბავშვის უფლებების დარღვევის რისკებს.

საგულისხმოა, რომ კანონმდებლის მიდგომა ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესთან მიმართებით არ იყო ერთგვაროვანი, კერძოდ, ბავშვის უფლებების დაცვის განსხვავებული სტანდარტი იყო დადგენილი მეურვის მიერ სამეურვეო პირის ქონების და მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილის ქონების განკარგვის შემთხვევებში. მეურვის მიერ სამეურვეო პირის სახელით დასადები კონკრეტული გარიგების ნამდვილობისათვის მოითხოვებოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვა,<sup>4</sup> რაც წარმოადგენდა არასრულწლოვანი ბავშვის საკუთრების უფლების დარღვევის თავიდან აცილების, ასევე მესამე პირთათვის

---

<sup>1</sup> შენგელა რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, (რედ., ქანტურია), წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, მუხლი 1198-ე, 172.

დამატებით, სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი ადგენს მშობლების შეუზღუდავ უფლებამოსილებას, იყვნენ არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები და განსაკუთრებული რწმუნებულებათა გარეშე გამოვიდნენ მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

<sup>2</sup> ქონების მართვა და გამოყენება თავის თავში არ შეიძლება აერთიანებდეს ქონების განკარგვას, ვინაიდან ტერმინოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულია მათი შინაარსი.

<sup>3</sup> ბავშვის უფლებების დაცვის ერთადერთ საკანონმდებლო ინსტრუმენტს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლი, რომელიც შეიცავს დათქმას მშობლის უფლების იმგვარად განხორციელების თაობაზე, რომ ამით ზიანი არ მიაღვეს ბავშვის ინტერესებს.

<sup>4</sup> სსკ-ის 1294-ე მუხლის შესაბამისად, მეურვის მიერ სამეურვეო პირის სახელით იმგვარი გარიგების დადება, რომლითაც ხდება ქონების გასხვისება, დაგირავება, ათ წელზე მეტი ვადით გაქირავება, თხოვება ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემა, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმა, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლა, სესხის აღება, ქონების გაყოფა, ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება, საჭიროებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარ თანხმობას, ხოლო მშობლის მიერ ჩამოთვლილი გარიგებების დადება არ ექვემდებარება რაიმე ფორმით შეზღუდვას. დამატებით, სსკ-ის 1296-ე მუხლის შესაბამისად, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

---

სამოქალაქო რისკების პრევენციის მექანიზმს.<sup>5</sup> ამგვარი ინსტრუმენტი არ იყო შემოთავაზებული მშობლის მიერ ბავშვის ქონების განკარგვის შემთხვევაში.

საგულისხმოა, რომ მშობლის მიერ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ხარვეზიანობა და ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის საკმარისი გარანტიების არარსებობა არაერთხელ იქნა ნეგატიურად შეფასებული.<sup>6</sup> ბავშვის საკუთრების უფლების ეფექტიანი დაცვის მიზნით საქართველოს პარლამენტში ასევე წარდგენილ იქნა საკანონმდებლო წინადადება. საკანონმდებლო წინადადების ავტორი მიუთითებდა, რომ საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში სამეურვეო პირი სარგებლობდა დაცვის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ამგვარ მეურვეობას დაუქვემდებარებელი სუბიექტი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მიუთითებდა სსკ-ის 1294-ე მუხლზე. დამატებით წინადადების ავტორი აპელირებდა იმ საფრთხეებზე, რაც თან სდევდა კანონმდებლობაში იმ ფორმალური მიდგომის დანერგვას, რომ მშობელი ყოველთვის ბავშვის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. ამ შემთხვევაში ბავშვი სრულიად დაუცველი რჩებოდა მშობლის არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან, რაც შეუსაბამო იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის მოთხოვნასთან. საკანონმდებლო წინადადების ავტორის მიერ შეთავაზებულ იქნა სამოქალაქო კოდექსში ცვლილების ვარიანტი, რომლითაც მშობლის მიერ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების ჩუქება ან სხვაგვარად არასრულწლოვანი შვილის პირადი ქონების განკარგვა დასაშვები ხდებოდა მხოლოდ ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინაწარი თანხმობით.<sup>7</sup>

ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის მოტივით მშობლის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა არაერთხელ იქნა განხილული საერთო სასამართლოების მიერ. ერთ-ერთი საქმეზე სადავო გახდა არასრულწლოვნის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობა. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: მშობლებმა მათ მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთეს ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ხოლო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო დღის წესრიგში დადგა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის საკითხი. პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, ბავშვის ქონების განკარგვის თაობაზე საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა მიუთითებდა იმაზე, რომ კანონმდებელმა ღიად დატოვა საკითხი და სასამართლოს მიანდო დავის არსებობისას მისი

---

<sup>5</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/19068-14.

<sup>6</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, 14. ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf> [27.02.2023]; ზარნაძე ე., „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები“, სერგო ჯორბენაძის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი: გამოწვევები და რეფორმირების პერსპექტივები, 2016, 16.

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის 2017 წლის 14 დეკემბრის საკანონმდებლო წინადადება არასრულწლოვანი პირების საკუთრების დაცვის თაობაზე OL-4884. ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/282049>> [27.02.2023].



---

სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა დააკმაყოფილა გარიგების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, ვინაიდან იპოთეკის ხელშეკრულების დადება განხორციელდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან შეუთავსებლად იქნა მიჩნეული.<sup>8</sup> სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება არ იქნა გაზიარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. სასამართლოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნისას გარიგების მართლზომიერების შეფასების ძირითად კრიტერიუმს კრედიტის გამცემის მიერ კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვა წარმოადგენდა. აღნიშნული სტანდარტის დაცვლად მიჩნევისათვის მოითხოვებოდა სესხის გაცემის მომენტში სესხის გაცემის წინაპირობებისა (ვადიანობა, სესხის დაბრუნების შესაძლებლობა, ფასიანობა, მიზნობრიობა) და მსესხებლის დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობის დადასტურება.<sup>9</sup> სესხის მიღების მომენტში მსესხებლის დამოუკიდებელი შემოსავლის არარსებობის ფაქტი იმთავითვე მიუთითებდა გამსესხებლის მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად დარჩენაზე, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად განიხილებოდა.<sup>10</sup> კრედიტორის კანონიერ მოთხოვნასთან შედარებით ბავშვის ქონების უპირატესი და უპირობო დაცვისათვის უპირატესობის მინიჭება იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორს არ ჰქონდა ვალდებულების იმთავითვე დარღვევის და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარდაუვალობის მოლოდინი, სასამართლოს მიერ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მოთხოვნასთან შეუსაბამოდ შეფასდა.<sup>11</sup>

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე არსებით გამოწვევას წარმოადგენდა ბავშვის ქონებრივი ინტერესების საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა. აღნიშნულ კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წელს. ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით კანონმდებლის მიერ განხორციელდა არსებითი ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებები.

---

<sup>8</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/19068-14.

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-809-809-2018, პარ. 86.

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1221-1146-2015, პარ. 31.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-944-2018, პარ. 24.

---

## 1.2. ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის მოწესრიგება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით 2019 წელს მიღებულ იქნა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბერს. კოდექსის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და საქართველოს კონსტიტუციის, კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, ასევე სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა, შედეგად, ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვის, სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, ბავშვის კეთილდღეობის მიზნის მიღწევა, დამატებით, კოორდინაციის მექანიზმის შექმნა, რომელიც სახელმწიფო უწყებების საქმიანობის ეფექტიანობას და რაციონალური მაქსიმუმის მიღებას უზრუნველყოფდა იმ ადამიანური და ფინანსური რესურსებიდან, რაც სახელმწიფოს გააჩნდა.<sup>12</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება შეფასებულ იქნა როგორც წინგადადგმული ნაბიჯი ბავშვის უფლებების დაცვის სამართლებრივი განმტკიცების საქმეში.<sup>13</sup> ამასთან, ბავშვის უფლებების ჯეროვნად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაცვის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი გახდა შემდგომი ცვლილებების განხორციელება სსკ-ში. 2019 წლის 20 სექტემბერს სსკ-ში განხორციელებული ცვლილებებით დადგინდა არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე სავალდებულო სასამართლო კონტროლის მექანიზმი, ხოლო სასამართლო, თანხმობის გაცემის პროცესში შეიზღუდა მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამოკვლევის დათქმით. აღნიშნული ცვლილების მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვნის საკუთრების განკარგვაზე სათანადო საკანონმდებლო კონტროლის მექანიზმის დადგენით ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ დაცვა.<sup>14</sup> ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (შემდგომში - სსსკ) განხორციელებული ცვლილებებით დამატებით დადგინდა ბავშვის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შესაბამისი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით.<sup>15</sup>

---

<sup>12</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214086>> [27.02.2023].

<sup>13</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 321. ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>> [27.02.2023].

<sup>14</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214116>> [27.02.2023].

<sup>15</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214119>> [27.02.2023].

ბავშვის უფლებათა კოდექსის 89-ე მუხლის საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებისა და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის მიზნით საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედო საპარლამენტო საბჭო.<sup>16</sup> საბჭოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველყოფა.<sup>17</sup> ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედო საპარლამენტო საბჭო ფაქტობრივად წარმოადგენს ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის სისტემური მონიტორინგისა და არსებული საკანონმდებლო ინსტრუმენტების გაძლიერების ინსტიტუციურ მექანიზმს. საგულისხმოა, რომ ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ყოველწლიურად ამზადებს „საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშს, სადაც აისახება სამართლებრივი აქტების გაუმჯობესების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით გატარებული სხვა ღონისძიებები და გამოწვევები.<sup>18</sup>

უდავოდ ხაზგასასმელია იმ ცვლილებების მასშტაბი, რაც კანონმდებლის მიერ იქნა განხორციელებული, თუმცა ჩნდება კითხვა, არის თუ არა შემოთავაზებული ცვლილებები საკმარისი ბავშვის ქონებრივი უფლების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად? კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულ იქნა ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლის მექანიზმი, თუმცა რეგულირების მიღმა დარჩა პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები, როგორცაა სამართალწარმოების სახე; სასამართლო ხარჯები; პროცესში მონაწილე სუბიექტები და მათი სამართლებრივი სტატუსი/უფლებამოსილება; საქმის განხილვის ვადები; ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამოკვლევის მექანიზმები; გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არსებობა და ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხების მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების მიზნით გამოყენებაზე უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნული საკითხების მოუწესრიგებლობა ართულებს ბავშვის უფლებების ჯეროვნად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაცვის შესაძლებლობას, ისევე როგორც წარმოშობს არსებითი ხასიათის სირთულეებს როგორც სასამართლო

<sup>16</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 77<sup>1</sup> მუხლი პირველი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 17/02/2004, სარეგისტრაციო კოდი: 010.190.030.06.001.001.471 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44>

<sup>17</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 77<sup>1</sup> მუხლი პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 17/02/2004, სარეგისტრაციო კოდი: 010.190.030.06.001.001.471 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44>.

<sup>18</sup> საილუსტრაციოდ იხ. ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში „საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022, ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/321771>> [27.02.2023].

---

პრაქტიკაში, ისე ბავშვის საუკეთესო ინტერესის მულტიდისციპლინური მიდგომით განხილვის პროცესში.

საგულისხმოა, რომ ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის საკმარისი პროცესუალურ-სამართლებრივი გარანტიების არარსებობა აღიარებულ იქნა თავად კანონმდებლის მიერ. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის №4(4) გადაწყვეტილებით შეიქმნა კომიტეტის სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შექმნა დასაბუთდა შემდეგი არგუმენტებით: კომიტეტის განმარტებით, ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლის დაწესების შემდეგ მისი იმპლემენტაციის პროცესში წარმოიშვა მთელი რიგი პროცესუალური თუ მატერიალური დაბრკოლებები, რაც ასევე დადასტურებულ იქნა კანონის აღსრულების პროცესში ჩართული აქტორებისაგან გამოთხოვილი ინფორმაციით. კერძოდ, აღსანიშნავია ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესში არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რა სახის ტრანზაქციები იგულისხმება თავად ტერმინ „განკარგვის“ ქვეშ; მოძრავი ქონება მოიცავს თუ არა საბავშვო ანაბარზე განთავსებულ თანხას; რა სახის დოკუმენტები უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოში; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაციის არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები და სხვ. სამუშაო ჯგუფის შექმნის ძირითად მიზნად განისაზღვრა ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პრაქტიკული საკითხების ახლებულად გადაწყვეტისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის კვლევა.<sup>19</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტა არსებით მნიშვნელობას იძენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის გზაზე.

---

<sup>19</sup> საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის №4(4) გადაწყვეტილება. ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/302542>> [27.02.2023].

---

## 2. სასამართლო კონტროლის ფარგლები ბავშვის ქონების განკარგვის მოთხოვნისას

### 2.1. ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის შინაარსი

სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო კონტროლი ვრცელდება ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის განკარგვის შემთხვევაზე.<sup>20</sup> საგულისხმოა, რომ ინიცირებული კანონპროექტი ითვალისწინებდა სასამართლო კონტროლის სავალდებულობას არა უძრავი ქონების განკარგვის, არამედ გასხვისების დროს. ამდენად, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული ტერმინოლოგიური ცვლილების, ისევე როგორც მისი თანმდევი შედეგების იდენტიფიცირება ბავშვის საუკეთესო ინტერესის კრილიში.

ზოგადად, საკუთრების უფლების შინაარსი, სსკ-ის 170-ე მუხლის თანახმად, სამ კომპონენტს მოიცავს: ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. უშუალოდ განკარგვის არსთან დაკავშირებით გამოთქმულია არაერთი პოზიცია. ცალკეული მოსაზრების თანახმად,<sup>21</sup> განკარგვა გულისხმობს ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას ქონების გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის გზით, სადაც გასხვისება გულისხმობს მესაკუთრის ვინაობის ცვლილებას, ხოლო უფლებრივი დატვირთვა - მესამე პირთათვის ქონების სანივთო ან ვალდებულებითი უფლებებით გადაცემას. სხვა პოზიციის მიხედვით,<sup>22</sup> მესაკუთრის განკარგვის უფლებამოსილება გამოიხატება როგორც მატერიალურ, ისე იურიდიულ განკარგვაში, სადაც მატერიალური განკარგვა გულისხმობს ნივთის სუბსტანციის მოსპობას, ხოლო იურიდიული განკარგვა - სასყიდლიან ან უსასყიდლო გასხვისებას, მემკვიდრეობის გადაცემას ან უფლების მიტოვებას. სასამართლო პრაქტიკაში ტერმინი განკარგვა გამოიყენება უფრო ფართო მნიშვნელობით, კერძოდ, განკარგვა შეიძლება გამოიხატოს ნივთის გასხვისების, მის სანაცვლოდ სხვა ნივთის მიღების, ნივთის სარგებლობაში გადაცემის, ნივთის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ფორმით.<sup>23</sup> ამდენად, განკარგვა მოიცავს

---

<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის განსაზღვრებისაგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს იმ გარიგებების ამომწურავ ჩამონათვალს, რა დროსაც მოითხოვება სასამართლოს თანხმობა. §1643 BGB შესაბამისად, რომელიც, თავის მხრივ, მიუთითებს 1850-ე-1854-ე პარაგრაფების გავრცელებაზე, სასამართლოს თანხმობა მოითხოვება შემდეგ შემთხვევებში: მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთზე უფლების განკარგვისას, მოთხოვნის განკარგვისას, რომელიც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემას, მიწის ნაკვეთზე უფლების დადგენას ან გადაცემას ან ამგვარი უფლებისაგან მიწის ნაკვეთის გათავისუფლებას მიემართება; რეგისტრირებული ხომალდის ან მშენებარე ხომალდის განკარგვის ან იმ მოთხოვნის არსებობისას, რომელიც ხომალდზე ან მშენებარე ხომალდზე უფლების გადაცემას მიემართება; გარიგების დადებისას, რომლითაც ბავშვი უსასყიდლოდ ბინას ან საკუთრების ნაწილს იძენს; მემკვიდრეობით-სამართლებრივი გარიგებების დადებისას (1851-ე პარაგრაფი) როგორცაა: სამკვიდროზე უარის თქმა; 1854-ე პარაგრაფის შესაბამისად, ბავშვის სამკვიდროს წილის განკარგვისას; თავდებობის ხელშეკრულების დადებისას; იმგვარი ხელშეკრულების დადებისას, რომლითაც ხდება ბავშვის მიერ მთელი ქონების განკარგვის ვალდებულების კისრება. ამასთან, თანხმობა არ მოითხოვება ბავშვის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რომლითაც ეს უკანასკნელი არ განიცდის ზიანს. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო აწესრიგებს მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს ბავშვთან ურთიერთობის ზემოქმედების თაობაზე არსებული განსაზღვრების მიხედვით.

<sup>21</sup> *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 121.

<sup>22</sup> *ზარანდია თ.*, სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019, 223.

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-411-388-2014.

---

ნასყიდობას, ჩუქებას, გაქირავებას, იჯარით გაცემას, შესანახად მიბარებას და სხვ., მატერიალური განკარგვის - ნივთის სუბსტანციის მოსპობის ჩათვლით. განკარგვის შინაარსი შეიძლება ასევე მოიცავდეს უძრავი ქონების გამოიჯენასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოებას.<sup>24</sup>

განკარგვის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ განკარგვის შედეგად ხორციელდება ქონების გასხვისება, თუმცა განკარგვა, გასხვისებისაგან განსხვავებით, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როცა არ ხდება ნივთის გასხვისება, არამედ მესამე პირები დროებით სარგებლობასა თუ მფლობელობაში იღებენ ნივთს. ამდენად, განკარგვით წყდება საგნის იურიდიული ბედი (გაყიდვის, ჩუქების, გაცვლის და ა.შ. სახით) ან დროებით ხდება ნივთის გადაცემა მესამე პირების სარგებლობასა თუ მფლობელობაში (გაქირავების, იჯარით გაცემის, თხოვების, შესანახად მიბარების ფორმით).<sup>25</sup> განკარგვის შინაარსი შეიძლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაზუსტდეს მესაკუთრის ნების გათვალისწინებით. კერძოდ, კერძო სამართალში მოქმედი კერძო ავტონომიის პრინციპის გათვალისწინებით, მხარემ შეიძლება შეცვალოს განკარგვის შინაარსი და მას მიაკუთვნოს არა ყველა ის, უფლებამოსილება, რაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის სამოქალაქო კოდექსისეულ ფართო გაგებას შეესატყვისება, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავად მესაკუთრემ განსაზღვრა.<sup>26</sup>

ქონების განკარგვისა და გასხვისების ზემოაღნიშნული განსხვავებების საფუძველზე შეიძლება იმგვარი დასკვნის გამოტანა, რომ კანონმდებელმა მოახდინა სასამართლო კონტროლის ფარგლების გაფართოება და თანხმობის მოთხოვნა გაავრცელა არა მარტოდენ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების, არამედ დროებით მფლობელობასა თუ სარგებლობაში გადაცემის შემთხვევებზეც. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა განპირობებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის უკეთ დაცვის მოტივით. თუმცა ისმის კითხვა, არის თუ არა სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივის მოთხოვნასთან თავსებადი უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულების სასამართლო კონტროლს დაქვემდებარება, მიუხედავად

---

<sup>24</sup> უძრავი ქონების გამოიჯენასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოების დაწყებისათვის თანხმობის გაცემის თაობაზე - სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/371-22. საგულისხმოა, რომ ალბანეთის საოჯახო კოდექსის 293-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს თანხმობის სავალდებულობას ქონების გაყიდვის პროცედურის დაწყების შემთხვევაში.

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-26-2022, პარ., 15.7. ასევე BGH, Urt. v. 15.11.1973 - III ZR 42/72, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთის დაგირავება (Grundpfandrecht) წარმოადგენდა განკარგვას, თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2023 წლიდან ამოქმედებული ცვლილებებით, რომლითაც ჩატარდა მეურვეობასა და მზრუნველობას დაქვემდებარებული საკითხების ინსტრუქციური რეფორმა, მიწის ნაკვეთის დაგირავება აღარ წარმოადგენს თანხმობასავალდებულო გარიგებას (იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1643 II პარაგრაფი). ამის მიუხედავად, ქონების უფლებრივად დატვირთვა წარმოადგენს ბავშვის უფლებაში ინტენსიური ჩარევის ფორმას და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით (ბავშვის მიერ ქონების შესაძლო დაკარგვა) მიზანშეწონილია დაქვემდებარებულ იქნეს სასამართლო კონტროლს.

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-411-388-2014.



ხელშეკრულების ხანგრძლივობისა?<sup>27</sup> სასამართლო კონტროლის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა.<sup>28</sup> სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულების ხანმოკლე ვადით დადება არ შეიძლება შეფასდეს ბავშვის საკუთრების უფლებაში ჩარევის ინტენსიურ ფორმად. ამდენად, ამგვარი მზღლუდავი მექანიზმის დადგენა, სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივის მოთხოვნის გათვალისწინებით, ვერ შეფასდება ბავშვის უფლებების დაცვის ვარგის სამართლებრივ ინსტრუმენტად. ამის საპირისპიროდ, ხანგრძლივი ვადით დადებულმა სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებამ არასრულწლოვანს შესაძლოა წართვას ქონების გამოყენების ფაქტობრივი შესაძლებლობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგად კი. ამდენად, რაც უფრო ხანგრძლივია ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მით უფრო ინტენსიურია ბავშვის ქონებრივი ინტერესების ხელყოფის საფრთხე. შესაბამისად წარმოიშობა კონტროლის მეტი საჭიროება.<sup>29</sup>

გასათვალისწინებელია, რომ მატერიალური კანონმდებლობით ბავშვის ქონების განკარგვის თაობაზე შემოთავაზებული მოწესრიგება არის ზოგადი ხასიათის, რამაც სამართალშეფარდების პროცესში შესაძლოა წარმოშვას განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობა. კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტის - სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დადგინდეს იმ სამართლებრივი ურთიერთობების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც სავალდებულო სასამართლო კონტროლს დაექვემდებარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გერმანია, რომელმაც სწორედ სასამართლო ნებართვას დაქვემდებარებული გარიგებების ამომწურავი ჩამონათვალის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.<sup>30</sup> სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული გარიგებების განსაზღვრისას შესაძლოა სახელმძღვანელოდ გამოდგეს სსკ-ის 1294-ე და

<sup>27</sup> ამ მხრივ საგულისხმო საკანონმდებლო რეგლამენტაცია არის შემოთავაზებული §1853 BGB, რომლის თანახმად, სავალდებულო სასამართლოს თანხმობა ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების ან სხვა გარიგების დადებისას, რომლებითაც სამეურვეო პირი ვალდებულია განახორციელოს პერიოდული გადახდები, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობა ოთხ წელზე მეტ ხანს გრძელდება. საგულისხმოა, რომ 1853 I 1 პარაგრაფისაგან განსხვავებით, მშობელი საჭიროებს სასამართლოს თანხმობას ქირავნობის, იჯარის ან სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების დადებისათვის, რომლითაც ბავშვს წარმოეშობა პერიოდული გადახდის ვალდებულება, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდება ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ 1 წელზე მეტი ვადით. ამასთან, თანხმობა არ არის სავალდებულო, თუ საკითხი შეეხება განათლების, მომსახურების ან შრომითი ხელშეკრულების დადებას; ხელშეკრულებას აქვს ბავშვისათვის მცირე კონომიკური მნიშვნელობა; სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ბავშვის მიერ ამ უკანასკნელისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების გარეშე სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ არაუმეტეს 19 წლის ასაკის გასვლისა.

<sup>28</sup> აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 1294-ე მუხლი მეურვის მიერ სამეურვეო პირის ქონების ათ წელზე მეტი ვადით გაქირავების შემთხვევაში ადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის სავალდებულობას, ხოლო ათ წელზე ნაკლები ვადით სამეურვეო პირის ქონების გაქირავებას დასაშვებად მიიჩნევს მეურვის ნების საფუძველზე.

<sup>29</sup> შეად. ალბანეთის საოჯახო კოდექსის 293-ე მუხლი ასევე ადგენს სასამართლო თანხმობის სავალდებულობას უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება 9 წელს ან გრძელდება სამეურვეო პირის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ 1 წელზე მეტი ვადით.

<sup>30</sup> იხ. მე-20 სქოლიო.

1296-ე მუხლებით განსაზღვრული რეგლამენტაცია. დასახელებული მუხლები მეურვის მიერ სამეურვეო პირის ქონებაზე დასაძებნი გარიგებების მიმართ ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობას, თუმცა მეურვის როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 186-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული გარიგებების დადებისას დამატებით მოითხოვება სასამართლოს თანხმობა.<sup>31</sup> სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული გარიგებების ჩამონათვალი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

|   |
|---|
| ✓ სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გასხვისება;   |
| ✓ უფლებრივად დატვირთვა;   |
| ✓ ქირავნობისა თუ იჯარის ხელშეკრულების დადება, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღემატება 4 წელს ან გრძელდება სრულწლოვანების მიღწევიდან არანაკლებ 1 წლისა; |
| ✓ უძრავი ქონების მიტოვება;  |
| ✓ დროებით სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულების დადება, რომლითაც მცირდება ქონების ღირებულება.  |
|   |

## 2.2. ბავშვის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის განკარგვის თავისებურებანი

სსკ-ის 186-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, ბავშვის საკუთრებაში არსებული 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს თანხმობით. თავდაპირველად ინიცირებულ კანონპროექტში სასამართლო კონტროლს ექვემდებარებოდა ბავშვის საკუთრებაში არსებული 500 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის გასხვისების შემთხვევა. მშობლის მიერ 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვაზე სასამართლო კონტროლის დაწესება და ინიცირებული ვარიანტით შემოთავაზებული თანხის გაზრდა შეიძლება გამართლდეს უფრო მეტი მოქნილობის, მშობლის ან კანონიერი

<sup>31</sup> აღნიშნული მოსაზრება წარმოდგენილია, *სირდაძე ლ., პაპიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, ჭანტურია, რუსიაშვილი (რედ.), თბილისი, 2021, მუხლი 1284, 551.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური წესი მოქმედებდა გერმანიაში, თუმცა 2023 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებით, სამეურვეო პირის ქონებაზე მეურვის მიერ გარიგების დადება პირდაპირ დაექვემდებარა სასამართლო კონტროლს. 2023 წლამდე მოქმედი რედაქციით მეურვეს ესაჭიროებოდა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის (Gegenvormund) თანხმობა (იხ. 1849-ე პარაგრაფი და ძველი რედაქციის §1813 BGB).



წარმომადგენლის მიერ ქონების განკარგვის გამარტივების, ასევე სასამართლოს განტვირთვის ინტერესით.<sup>32</sup>

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, მოძრავი ნივთის განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საქმეები ორ ქვეკატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს:

|  |
|--|
| <p>✓ <b>ბავშვის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შემთხვევა,<sup>33</sup></b></p> |
| <p>✓ <b>საბავშვო ანაზრის გაუქმებისა და ანაზრზე არსებული თანხის განკარგვაზე თანხმობის გაცემის შემთხვევა<sup>34</sup>.</b></p>   |

საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში სასამართლოსადმი თანხმობის გაცემის მოთხოვნით მიმართვა განპირობებულია თავად დასახელებული შემთხვევების სპეციფიკით. კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში სავალდებულო რეგისტრაციას.<sup>35</sup> რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს, არამედ ქმნის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს, რაც განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის სფეროს,<sup>36</sup> თუმცა ამის მიუხედავად მყიდველისათვის მაინც არსებით მნიშვნელობას იძენს. რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში წარდგენის გზით. ამდენად, მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს სხვა მექანიზმი, გარდა სასამართლოსადმი თანხმობის გაცემის მოთხოვნით მიმართვისა, არ გააჩნია. მეორე შემთხვევაში ასევე აუცილებელია საკრედიტო დაწესებულებისათვის საბავშვო ანაზრის გაუქმებისა და ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი უარს იტყვის

<sup>32</sup> OLG Köln, Beschluss v. 20.06.1994 - 16 Wx 86/94 - მნიშვნელოვანი შეფასება გაკეთებული განკარგვის დაქვემდებარებული მოძრავი ნივთის ღირებულების თაობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ §1849 II 1 a BGB შესაბამისად, იმ გარიგების დადებისას, რომლის ღირებულებაც არ სცდება 3000 ევროს, არ მოითხოვება საოჯახო სასამართლოს თანხმობა, თუმცა აღნიშნული პარაგრაფის მოქმედება ვრცელდება მეურვეობის ორგანოზე.

<sup>33</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/4976-21.

<sup>34</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24593-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №2/17844-22.

<sup>35</sup> „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შედეგად გაცემა რეგისტრაციის მოწმობა და რეგისტრაციის ნომერი.

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-914-954-2011.

---

მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ხაზგასასმელია, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო ითხოვს ანაბრის გაუქმების თაობაზე საკრედიტო დაწესებულების პოზიციის (უარის) სასამართლოსათვის წარდგენას.<sup>37</sup>

საგულისხმოა, რომ 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვის სხვა შემთხვევებზე სასამართლო კონტროლის განხორციელება დიდწილად მშობლისა და კონტრაჰენტის კეთილსინდისიერ ქცევაზე ხდება დამოკიდებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს კონტროლის ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოახდენდა კანონის მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგებების გამოვლენას და მათ პრევენციას. კანონმდებლობით დადგენილ ერთადერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს თავად ბავშვის მიერ უფლების დარღვევის ფაქტზე აპელირება,<sup>38</sup> რაც ნაკლებად სავარაუდოა მშობელსა და შვილს შორის არსებული პირადი ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 186-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი ბლანკეტურად ადგენს 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვის შემთხვევაში თანხმობის არსებობის სავალდებულობას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ისმის კითხვა, ამ კატეგორიის დაქვემდებარებული ნებისმიერი მოძრავი ქონების განკარგვისათვის სასამართლო თანხმობის მოთხოვნა არის თუ არა რაციონალური მიდგომა? ამ მხრივ ხაზგასასმელია ბავშვის საკუთრებაში არსებული მალფუჭებადი ქონების განკარგვის შემთხვევა. სსკ-ის 1295-ე მუხლი დასაშვებად აცხადებს სამეურვეო პირის საკუთრებაში არსებული მალფუჭებადი ქონების განკარგვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე.<sup>39</sup> ამ შემთხვევაში თავად საგნის სპეციფიკისა და ბავშვის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ზოგადი წესიდან გამონაკლისის დადგენა.

მოძრავი ნივთის განკარგვაზე თანხმობის გაცემის საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს საბანკო დაწესებულებაში არსებული საბავშვო ანაბრის გაუქმების და ანაბარზე განთავსებული თანხის განკარგვის შემთხვევა, რომელიც არაერთხელ იქნა განხილული საერთო სასამართლოების მიერ.<sup>40</sup> მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა დასახელებული საკითხისათვის საგანგებოდ არ მოითხოვს

---

<sup>37</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №2/17844-22.

<sup>38</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup> მუხლი ანიჭებს არასრულწლოვანს უფლებას, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს, რა დროსაც ამ უკანასკნელს სასამართლო უნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს.

<sup>39</sup> აღსანიშნავია, რომ ალბანეთის საოჯახო კოდექსის 293-ე მუხლი ადგენს გამონაკლისს სასამართლო თანხმობის გაცემის წესიდან ბავშვის საკუთრებაში არსებული მალფუჭებადი მოძრავი ნივთის განკარგვისას.

<sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24593-21.

---

სასამართლო თანხმობის არსებობას,<sup>41</sup> ზოგადი პრინციპის შესაბამისად, ყველა ოპერაცია, რომელიც ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვას ან ანგარიშიდან მის გატანას შეეხება, უნდა განხორციელდეს ანგარიშის მფლობელის მითითებით ან ნებართვით. ამგვარი ნებართვის არარსებობისას ფულადი სახსრების გატანა ანგარიშის მფლობელის ქონების განკარგვად ფასდება.<sup>42</sup> ამდენად, აღნიშნული შემთხვევა უნდა დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს.

საკითხავია საბავშვო ანაბარზე განთავსებული თანხის განკარგვაზე თანხმობის მოთხოვნისას თანხის ოდენობის გამოანგარიშება, შესაბამისად, სასამართლო კონტროლის ფარგლების დადგენა უნდა მოხდეს თავად განმცხადებლის მიერ განსახორციელებელი ცალკეული ოპერაციების მოცულობის თუ ანგარიშზე არსებული თანხის საერთო ოდენობის გათვალისწინებით? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გადაწყდეს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.<sup>43</sup> ამდენად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამის ანგარიშზე არსებული აქტივების საერთო მოცულობა,<sup>44</sup> თავად სასამართლო კონტროლის დაწესების მიზნებიდან გამომდინარე. ზოგადად, მოძრავი ნივთის განკარგვაზე სასამართლო კონტროლის დაწესება ემსახურება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას. აღნიშნული მიზანი ვერ იქნება მიღწეული, თუ მშობელს მიეცემა შესაძლებლობა, ნებართვის გარეშე მოახდინოს ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხის გაყოფა და ზღვრულ თანხაზე ნაკლების გამოტანა. ამდენად, მიზანშეწონილია, ბავშვის ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვაზე სასამართლო კონტროლის გავრცელების საკითხი გადაწყდეს ბავშვის ანგარიშზე არსებული საერთო თანხის მოცულობის გათვალისწინებით, ნაცვლად ცალკეული ოპერაციის მოცულობისა. საბანკო დაწესებულებამ საბავშვო ანაბრის გაუქმების მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლო კონტროლი გაავრცელა მოძრავი და უძრავი ნივთების განკარგვის შემთხვევებზე და რეგულირების მიღმა დატოვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის შემთხვევა, მამინ როცა მშობლის მიერ ბავშვის მოთხოვნის ან უფლების განკარგვა ხელყოფს არასრულწლოვნის ქონებრივ ინტერესებს.<sup>45</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზეც

---

<sup>41</sup> შუად., §1849 II 1 b BGB შესაბამისად, რომელიც ვრცელდება არა მშობლის, არამედ მზრუნველის მოქმედებაზე, არ მოითხოვება სასამართლოს თანხმობა ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის, რომელიც შეეხება მიმდინარე ანგარიშზე არსებულ დადებით სალდოს.

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1226-1171-2013.

<sup>43</sup> აღნიშნული საკითხი პრობლემური იყო გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში, შუად. OLG Köln, Beschluss v. 20.06.1994 - 16 Wx 86/94

<sup>44</sup> *Seichter J.*, Einführung in das Betreuungsrecht, Vierte, aktualisierte und überarbeitete Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010, 111.

<sup>45</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გამოირჩევა რეგულირების ამომწურავი ხასიათით და სასამართლო კონტროლს უქვემდებარებს გარიგებას, რომელიც მიემართება სხვისი ვალდებულების საკუთარ თავზე აღებას (იხ. BGB-ის 1854 IV პარაგრაფი); მოთხოვნის განკარგვას, რომლითაც ხდება მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა, მიწის ნაკვეთზე

გავრცელდეს სასამართლო კონტროლი და, საბოლოო ჯამში, სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული გარიგებების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

|   |
|---|
| ✓ 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ქონების გასხვისება, გარდა მალფუჟებადი მოძრავი ქონებისა;   |
| ✓ საბავშვო ანაზრის გაუქმება და ანაზარზე არსებული თანხის განკარგვა, თუ ანაზარზე არსებული თანხის საერთო მოცულობა აღემატება 1000 ლარს;                       |
| ✓ მოძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვა;   |
| ✓ ქირავნობისა თუ იჯარის ხელშეკრულების დადება, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღემატება 4 წელს ან გრძელდება სრულწლოვანების მიღწევიდან არანაკლებ 1 წლისა; |
| ✓ მოთხოვნის ან უფლების განკარგვა, თუ მოთხოვნის ან უფლების მოცულობა აღემატება 1000 ლარს.   |

### 3. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტები

#### 3.1. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემაზე განსჯადი სასამართლო

სასამართლოსადმი მიმართვისა და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის საჯარო განხილვის უფლება უზრუნველყოფილია არაერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით.<sup>46</sup> სასამართლოსადმი მიმართვისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განსჯადი სასამართლოს დადგენა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ყოველი პირის უფლებას, განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. მსგავსი შინაარსის ნორმა ასევე დადგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით.<sup>47</sup> ამასთან, უშულოდ რაიონული (საქალაქო)

<sup>46</sup> უფლების დადგენა ან გადაცემა ან მსგავსი უფლებისაგან მიწის ნაკვეთის გათავისუფლება (BGB-ის 1850 II პარაგრაფი).

<sup>46</sup> იხ. ვრცლად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 6; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 8; საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, მუხლი 14.

<sup>47</sup> ვრცლად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

---

სასამართლოს, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობის საკითხი განისაზღვრება კანონით.<sup>48</sup>

გასათვალისწინებელია, რომ როცა საუბარია სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე, ის არ უნდა იყოს ილუზორული, არამედ უნდა ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ ინსტრუმენტს.<sup>49</sup> სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ეფექტურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ წინაპირობას სწორედ განსჯადი სასამართლოს დადგენა წარმოადგენს. სარჩელის/განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპზე სასამართლო წყვეტს სასამართლოს განსჯადობის საკითხს. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის/განცხადების წარდგენა წარმოადგენს მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.<sup>50</sup> ამდენად, საქმის აღძვრისას პირველ რიგში უნდა დადგინდეს სწორედ სასამართლოს განსჯადობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ცალკე არ არეგულირებს ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემასთან დაკავშირებულ საქმის აღძვრის ფორმას, ისევე როგორც განსჯადობის საკითხს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოყენებულ იქნეს განსჯადობის საერთო წესები. სსსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – განცხადებით. განსჯადობის საერთო წესის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი). ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში არასასარჩელო წარმოების დროს განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით,<sup>51</sup> ხოლო მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე - მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.<sup>52</sup>

---

<sup>48</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 31-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 41, 08/12/2009, სარეგისტრაციო კოდი: 110.050.000.04.001.003.778, <<https://matsne.gov.ge/document/view/90676?publication=47>> [22.01.2023]

<sup>49</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ პარ. II-30.

<sup>50</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს კანონი, 186-ე მუხლი „ე“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, 14/11/1997, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, სარეგისტრაციო კოდი: 060.000.000.05.001.000.301, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=153>> [22.01.2023].

<sup>51</sup> სსსკ-ის 314-ე მუხლი ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების (უდავო წარმოებას დაქვემდებარებული საქმე) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარდგენას.

<sup>52</sup> სსსკ-ის მე-15 მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, სარეგისტრაციო კოდი 060.000.000.05.001.000.301 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=154>> [22.01/2023].

---

ვინაიდან ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საკითხი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება,<sup>53</sup> ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს განსჯადობის საერთო თუ სპეციალური წესი, საქმე განხილულ უნდა იქნეს სასარჩელო თუ არასასარჩელო სამართალწარმოების გზით? მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში დასახელებული საკითხის სასამართლოს მიერ გადაწყვეტა არაერთგვაროვანია. შესაძლებელია ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს განსჯადობის თაობაზე სასამართლოს შემდეგი ძირითადი განმარტებების კატეგორიზაცია:

- ❖ *ბავშვის საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვაზე ნებართვის გაცემის შესახებ განცხადება განეკუთვნება საოჯახო-სამართლებრივ დავათა კატეგორიას და სსსკ-ის მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს,<sup>54</sup>*
- ❖ *ბავშვის საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვაზე თანხმობის გაცემის თაობაზე განსჯადობის სპეციალური მოწესრიგების არარსებობის პირობებში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონის ანალოგიით, სსსკ-ის მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ პირობებში, როცა არ არსებობს სპეციალური მოწესრიგება, ხოლო განსჯადობის საერთო წესი დასახელებულ შემთხვევას არ მიესადაგება მოპასუხის არარსებობის გამო, სასამართლომ მსგავსი განცხადების განხილვის პროცესში უნდა გამოიყენოს უდავო წარმოების წესით განსახილველი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებისათვის გათვალისწინებული განსჯადობის წესი და განსჯად სასამართლოდ განსაზღვროს სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით,<sup>55</sup>*
- ❖ *ბავშვის საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვაზე თანხმობის გაცემის თაობაზე განსჯადობის სპეციალური წესის არარსებობისას უნდა იქნეს გამოყენებული განსჯადობის ზოგადი წესი. მოცემულ შემთხვევას ზოგადი წესი არ მიესადაგება მოპასუხისა და მოწინააღმდეგე პირის არარსებობის გამო. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს უდავო წარმოების წესით განსახილველი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებისათვის გათვალისწინებული განსჯადობის წესით, რომლის შესაბამისად, განცხადება შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვინაიდან განცხადება განხილულ უნდა*

---

<sup>53</sup> სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში არ არსებობს დავა უფლების თაობაზე. ამასთან, კანონმდებელი გვთავაზობს არასასარჩელო წარმოებას დაქვემდებარებული საქმეების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელშიც არ ხვდება განსახილველი საქმე.

<sup>54</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 29 ივლისის განჩინება საქმეზე №2/665-22.

<sup>55</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/14758-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/36555-22.



---

*იქნეს უდავო წარმოების წესით, საქმე წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადს სსსკ-ის მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამდენად, დავა განსჯადობის წესების დაცვის განხილულ უნდა იქნეს მაგისტრატი მოსამართლის მიერ;<sup>56</sup>*

- ❖ *ბავშვის საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვაზე თანხმობის გაცემის თაობაზე განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. საქმის წარმოებისას არ უნდა დაირღვეს ბავშვის ჩვეული ცხოვრების რიტმი. ვინაიდან ამ ტიპის საქმეებზე არასრულწლოვნისა და მშობლების ოჯახური გარემოებების შესასწავლად განსახორციელებელია მთელი რიგი მოქმედებები (ბავშვის საცხოვრებელი გარემოს შესწავლა და მისი აზრის გამოკვლევა), არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი უნდა გადაწყვიტოს იმ სასამართლომ, სადაც არასრულწლოვანი ბავშვის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელია.<sup>57</sup>*

ერთმნიშვნელოვანი განმარტების არარსებობის პირობებში მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული სასამართლოს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ სამართალწარმოების ბუნებისა და შინაარსის გათვალისწინებით, დასახელებული განმარტებების მხედველობაში მიღებით. პირველ რიგში ისმის კითხვა, წარმოადგენს თუ არა ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის მოთხოვნა მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საოჯახო-სამართლებრივ დავას, შესაბამისად, უნდა გავრცელდეს თუ არა მასზე სასარჩელო წარმოების წესები? „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში მაგისტრატი მოსამართლის არსებობის შესაძლებლობას, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ზოგადად, მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის არსებობა გამართლებულია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესით, ვინაიდან მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები განიხილება დაჩქარებული წესით. სსსკ-ის მე-14 მუხლი ითვალისწინებს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების ამომწურავ ჩამონათვალს და მათ მიაკუთვნებს, მათ შორის, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის საოჯახო-სამართლებრივ დავად მიჩნევის აუცილებელი პირობაა დადგინდეს ზოგადად დავის შინაარსი და მისი დატვირთვა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში. დავა უნდა

---

<sup>56</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 აპრილის განჩინება საქმეზე №2/7651-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 აპრილის განჩინება საქმეზე №2/7820-21.

<sup>57</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე №2/8182-21; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე №2/112-21.

---

განიმარტოს როგორც მხარეთა წარმოდგენების განსხვავებულობა სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამასთან, არ მოითხოვება, რომ დავა ვრცელდებოდეს სრულად სამართლებრივ ურთიერთობაზე, არამედ საკმარისია, მის ცალკეულ ელემენტს უკავშირდებოდეს.<sup>58</sup> ერთი მხარის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის არსებობა მეორე მხარის მიმართ უდავოდ მიჩნეულ უნდა იქნეს მხარეთა შორის დავის არსებობის დამაჯერებელ მტკიცებულებად. შესაბამისად, გონივრულობას მოკლებულია დავის არსებობაზე მსჯელობა მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის არარსებობისას. სსკ-ის მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა წარმოადგენს უფლების შესახებ დავას.<sup>59</sup> ამ პროცესში მონაწილეობს განსხვავებული ინტერესის მქონე მხარეები, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ აქვთ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. მსგავსი ტიპის დავებზე საქმისწარმოება ხორციელდება სასარჩელო წარმოების წესით. საგულისხმოა, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნა ერთგვარი სპეციფიკით ხასიათდება, კერძოდ: სამართალწარმოების პროცესში არ არსებობს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები; მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი შეზღუდულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დათქმით; სამართალწარმოების პროცესი ემსახურება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის იდენტიფიცირებას და ამ გზით, ბავშვის უფლებების დაცვას. ერთმნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში არ არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და უფლების შესახებ დავა, რაც სასარჩელო წარმოებისთვისაა დამახასიათებელი. შესაბამისად, ამ შემთხვევის მიმართ სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება და მისი შეფასება მაგისტრატის მოსამართლის განსჯად საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავად, შეუსაბამოა თავად განსახილველი მოთხოვნის არსთან.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის მოთხოვნის დასახელებული ნიშნები მეტად დამახასიათებელია უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეებისათვის. ზოგადად, უდავო წარმოებას დაქვემდებარებული საქმეების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ამ წარმოებისათვის არ არის დამახასიათებელი ურთიერთდაპირისპირებული მხარეების და უფლების თაობაზე დავის არსებობა. დასახელებული წარმოების უდავოდ მიჩნევის საფუძველს განაპირობებს სწორედ უფლების შესახებ დავის არარსებობა. უდავო წარმოების დროს დგინდება მხოლოდ ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები.<sup>60</sup> ამ წარმოების პროცესისათვის არ არის სრულიად უცხო დავის არსებობა, თუმცა, სასარჩელო

---

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1095-2019, პარ. 17.

<sup>59</sup> ამგვარი განმარტების გაცემის შესაძლებლობას იძლევა თავად დასახელებული ნორმის შინაარსი, რომელიც მაგისტრატის მოსამართლის ქვემდებარეობიდან გამონაკლისს ადგენს შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენისა და განქორწინების საქმეების შემთხვევაში, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

<sup>60</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-2-2022, პარ. 11.



---

წარმოებისაგან განსხვავებით, უდავო წარმოების პროცესში საკითხი შეეხება არა უფლების, არამედ ფაქტის შესახებ დავას, კერძოდ, ფაქტის დადგენისას დაინტერესებულ პირთა შორის აზრთა სხვადასხვაობის წარმოშობას.<sup>61</sup> მსგავს შემთხვევაში სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს არა უფლების, არამედ სადავო ფაქტის გადაწყვეტა. სწორედ ამ თავისებურების გათვალისწინებით უდავო წარმოების საქმეებზე სამართალწარმოება ხორციელდება არასასარჩელო წარმოების, განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვის გზით. უდავო წარმოების წესით წარდგენილი განცხადება, სარჩელისაგან განსხვავებით, არ მიემართება კონკრეტულ პირს, ვინაიდან ამ დროს განმცხადებელი არ მოითხოვს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას.<sup>62</sup> სწორედ მოპასუხის არარსებობით უნდა აიხსნას ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს განსჯადობის განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილთან კავშირი.

უდავო წარმოებისათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული თავისებურებანი გახდა სწორედ სასამართლოს მიერ ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში უდავო წარმოების მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიით გამოყენების საფუძველი.<sup>63</sup> თუმცა ისმის კითხვა, უდავო წარმოებას დაქვემდებარებულ საქმეთაგან რომელი შეესატყვისება ყველაზე მეტად განსახილველ საკითხს, ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს უდავო წარმოების წესით განსახილველი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებისათვის განსაზღვრული განსჯადობის წესი, თუ სხვა რეგლამენტაცია? აღნიშნულის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განსჯადობის განსხვავებული წესებია დადგენილი უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა მიმართ.

ზოგადად, კანონის ანალოგიის გამოყენებისას სასამართლო ახდენს კანონით მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი ურთიერთობების შედარებას, ნორმის განზოგადებასა და შეფასებას, არის თუ არა შესაძარბებელ ურთიერთობებს შორის იმდენად მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც გაამართლებდა მათ განსხვავებულ გადაწყვეტას. იმ შემთხვევაში თუ შესაძარბებელ ურთიერთობებს შორის ვლინდება საერთო, ზოგადი ნიშნები, აღნიშნული საკმარისია სამართლებრივი შედეგის გამოყენების დასაბუთებისათვის.<sup>64</sup> უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს შორის ერთ-ერთი განსხვავება მდგომარეობს სწორედ განსჯადი სასამართლოს დადგენაში. მაგალითად, სსსკ-ის 314-ე მუხლის თანახმად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადება შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ამავე

---

<sup>61</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 474.

<sup>62</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 472.

<sup>63</sup> იხ. სქოლიო 55, 56.

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-559-2019, პარ. 180.

---

კოდექსის 316<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადება განიხილება სასამართლოს მიერ დონორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნისას განმცხადებელი შეიძლება იყოს რეციპიენტი, დონორი ან ტრანსპლანტაციის საბჭო. შესაბამისად, რეციპიენტის ან ტრანსპლანტაციის საბჭოს მიერ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვისას განსჯადი სასამართლო განისაზღვრება არა განმცხადებლის, არამედ დონორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც დონორის ინტერესის დაცვის მოტივით უნდა იყოს განპირობებული.

საგულისხმოა, რომ ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის წესი კოდექსს დაემატა საპროცესო კანონმდებლობაში 2016 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით, რომლითაც დადგინდა რეციპიენტთან ახლო პირადი ურთიერთობის მქონე პირისგან ორგანოს აღებისას სასამართლოს თანხმობის სავალდებულობა. ამასთან, აღნიშნული საქმე დაემატა უდავო წარმოების წესით გასახილველ საქმეთა ჩამონათვალს. საგულისხმოა, რომ მსგავს საქმეებში სასამართლო თანხმობის გაცემის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს დონორსა და რეციპიენტს შორის ახლო და სტაბილური ემოციური კავშირის არსებობის დადასტურება.<sup>65</sup> სწორედ ამ ფაქტის დადგენის მიზნით სასამართლოს მინიჭებული აქვს პროცესუალური მექანიზმები.<sup>66</sup> აღნიშნული საკითხის მსგავსად, ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში სასამართლოს შეუძლია ეფექტიანად გამოიკვლიოს და შეაფასოს ქონების განკარგვის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადობის საკითხი. სასამართლოს აქვს მინიჭებული შეფასების ფართო დისკრეტია. აღნიშნული არსებითად განსხვავდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის პროცესისგან, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლოს როლი შემოიფარგლება მხოლოდ ობიექტურად არსებული ფაქტების დადგენით. ამასთან, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა არ ხორციელდება ექსკლუზიურად სასამართლოს მიერ, არამედ ამ მიზნით სასამართლოსადმი მიმართვა წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას, როცა ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება შეუძლებელია. სასამართლოს ამ პროცესში ნაკლებად აქვს შეფასების ფართო დისკრეტია. ამდენად, ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნასა და ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნებს შორის არსებობს საერთო, ზოგადი ნიშნები, რაც ამართლებს ამ შემთხვევის მიმართ ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის მარეგულირებელი განსჯადობის წესების გავრცელებას. შესაბამისად, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული განცხადების წარდგენა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ბავშვისა და განმცხადებლის (მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი) საცხოვრებელი ადგილი ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან, ვინაიდან უდავო წარმოების

---

<sup>65</sup> სსკ-ის 316<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, სარეგისტრაციო კოდი - 060.000.000.05.001.000.301, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=154>> [21.01.2023].

<sup>66</sup> შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/68 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ პარ. I-23.

---

წესით განსახილველი საქმეები წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადს, განცხადება უნდა იქნეს წარდგენილი მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. აღნიშნული უფრო მეტად გაამარტივებს ბავშვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის, შედეგად, მისი ინტერესების დაცვის პროცესს.

### 3.2. საქმის განხილვის წესი

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლი ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებს, სასამართლოებს, ადმინისტრაციულ თუ საკანონმდებლო ორგანოებს ავალდებულებს, უპირველესი ყურადღება დაეთმოს ბავშვის ინტერესების დაცვას. მსგავსი დებულება ასახულია ბავშვის უფლებათა კოდექსში, კერძოდ, კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, ბავშვის ინტერესი ორ ასპექტს მოიცავს, პირველი ვლინდება ოჯახთან კავშირის შენარჩუნებაში, გარდა ამგვარი კავშირის შენარჩუნების შეუძლებლობის შემთხვევისა (ოჯახური კავშირი შეიძლება გაწყდეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობების შენარჩუნებისა და ოჯახის ისევ შეერთებისათვის), ხოლო მეორე მოიცავს ბავშვის ჯანსაღ გარემოში განვითარებას და მშობლისათვის იმგვარი ღონისძიების აკრძალვას, რაც ზიანით ემუქრება ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას.<sup>67</sup>

ბავშვის განვითარების, კერძოდ, ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება აღიარებულია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით. ეკონომიკურ ექსპლუატაციაში იგულისხმება როგორც ბავშვის შრომითი რესურსის ბოროტად გამოყენება, ისე მისი ქონებით არამიზნობრივად სარგებლობა, ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვა. ბავშვის ქონების არამიზნობრივი სარგებლობა სახეუა მაშინ, როცა სარგებლობას თან სდევს ბავშვის ქონების შემცირება ან მისი სრული მოსპობა. ამასთან, ამგვარი სარგებლობის მიზანი არ არის გამართლებული ბავშვის ინტერესით.<sup>68</sup> სწორედ ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე მიენიჭა სასამართლოს ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემისას ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასების ფართო

---

<sup>67</sup> Neulinger and Shuruk v. Switzerland, (2010) no. 41615/07, §136, ECHR.

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-809-809-2018, პარ. 25

---

დისკრეცია, თუმცა საკითხავია, რა საპროცესო სამართლებრივი ინსტრუმენტები არსებობს სასამართლოსათვის მინიჭებული ამგვარი დისკრეციის ეფექტურად რეალიზაციის თვალსაზრისით?

სსსკ-ის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს მხარეთა მიერ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენას და სასამართლოს მიერ მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების სამართლებრივ შეფასებას. საგულისხმოა, რომ სრულიად განსხვავებული მიდგომა, ზოგადი წესიდან გამონაკლისი დგინდება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეების მიმართ, რაც განპირობებულია საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკით (საოჯახო ურთიერთობები ატარებს პირად და განგრძობით ხასიათს)<sup>69</sup> და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით.<sup>70</sup> საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები ბუნებრივია მიეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, თუმცა ამ ურთიერთობების განვითარებით მთელი საზოგადოება დაინტერესებული. სწორედ ამიტომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეების მიმართ მოქმედებს ინკვიზიციურობის პრინციპი, რაც სასამართლოს აძლევს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომლებიც აუცილებელია ბავშვის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>71</sup> ამ მიზნით, სასამართლოს შეუძლია:

- *თავად განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა;*
- *საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, თუმცა მნიშვნელოვანია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.*

საგულისხმოა, რომ ინკვიზიციურობის უფლება წარმოადგენს საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების ვარგის ინსტრუმენტს, ვინაიდან სასამართლოს ანიჭებს პროცესის წარმართვის, კერძოდ, საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგებზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე წარადგინონ განმარტებები და შუამდგომლობები. ამასთან, მას აკისრია ვალდებულება, დაეხმაროს მხარეებს დისპოზიციურობისა და

---

<sup>69</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-53-51-2016, პარ. 37.

<sup>70</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1062-996-2012.

<sup>71</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1076-2022, პარ. 109, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-669-630-2011.

---

შეჯიბრებითობის პრინციპების გამოყენებისას წარმოშობილი სიძნელების გადალახვაში შესაბამისი განმარტებების მიცემის გზით.<sup>72</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვისას არ არის სახეზე დავა მატერიალური სამართლის გაგებით, აღნიშნული მოთხოვნა უდავოდ უნდა შეფასდეს საოჯახო-სამართლებრივ კატეგორიად, ვინაიდან სახეზეა მშობლის როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მოქმედება, რომელიც გამომდინარეობს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან. ამდენად, სასამართლომ ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესების სრულყოფილ და ეფექტურ დაცვას.<sup>73</sup>

საგულისხმოა, რომ საერთო სასამართლოები ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვის პროცესში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ. სასამართლო გადაწყვეტილებებში საოჯახო საქმეთა განხილვის თავისუბურებებზე მითითება უფრო მეტად ატარებს ფორმალურ ხასიათს, ვინაიდან არ ხდება სასამართლოს მიერ ინკვიზიურობის პრინციპის ელემენტების სრული რეალიზაცია.<sup>74</sup> სასამართლოები, ნაცვლად მტკიცებულებების გამოთხოვისა თუ ცალკეულ გარემოებათა დადგენისა, განმცხადებლებს აკისრებენ ყოველგვარი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთს, ამ მოტივით უარყოფენ განცხადების განსახილველად მიღებას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საქმის განხილვის გაჭიანურებას. არსებობს მარტოდენ ერთეული შემთხვევები, როცა სასამართლო, სსსკ-ის 352-ე მუხლზე მითითებით, ახდენს ინფორმაციის გამოთხოვას.<sup>75</sup>

ბავშვის ინტერესების სათანადოდ დაცვის მიზნით განცხადების მიღებაზე უარის თქმის ნაცვლად სასამართლოები უფრო მეტად უნდა დაეყრდნონ ინკვიზიციურობის პრინციპს და ცალკეულ გარემოებათა დადგენის მიზნით საკუთარი ინიციატივით გამოითხოვონ ის მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. აღნიშნული უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობით გამოწვეული ბუნდოვანების აღმოფხვრას, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი ფორმალური ბარიერების თავიდან აცილებას, შედეგად - საქმის განხილვის გაჭიანურების პრევენციას.

---

<sup>72</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-53-51-2016, პარ. 40.

<sup>73</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1213-1064-2010.

<sup>74</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/25300-21; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/904-22.

<sup>75</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 აგვისტოს განჩინება საქმეზე 2/24453-20, რომლითაც სასამართლომ გამოითხოვა სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან ინფორმაცია, წარმოადგენდნენ თუ არა განმცხადებლები იძულებით გადაადგილებულ პირებს.

### 3.3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი

საპროცესო კანონმდებლობით არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმეზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების საკითხის მოუწესრიგებლობა წარმოშობს ბუნდოვანებას.<sup>76</sup> აღნიშნული საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვნად განმარტებული არც სასამართლო პრაქტიკით. სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტა უკავშირდება უშუალოდ დავის მიკუთვნებადობის საკითხს, კერძოდ, ცალკეულ შემთხვევაში ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნის მაგისტრატი მოსამართლის ქვემდებარე საქმედ მიჩნევის შემთხვევაში სასამართლო აკისრებს განმცხადებელს სახელმწიფო ბაჟს - 25 ლარის ოდენობით.<sup>77</sup> ამ ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრება განპირობებულია იმით, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში ნახევრდება.<sup>78</sup> ამასთან, ამ ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრებისას სასამართლო მსგავს განცხადებას მიიჩნევს უდავო წარმოების ქვემდებარე საქმედ, რომლის განსახილველად კანონმდებლობით განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარის ოდენობით.<sup>79</sup> სხვა შემთხვევაში, განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს - 100 ლარის ოდენობით, როგორც დადგენილია სასარჩელო წარმოების გზით განსახილველი საქმეების მიმართ.<sup>80</sup> წარმოდგენილი საქმე თავისი არსით წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯად უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეს,<sup>81</sup> რომლისთვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 25 ლარს.

საგულისხმოა, რომ სასამართლოები ხშირად მიუთითებენ სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე და განმცხადებლებს ათავისუფლებენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.<sup>82</sup> სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოსარჩელებების გათავისუფლებას სასამართლო ხარჯების გადახდისაგან არასრულწლოვნის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები ათავისუფლებენ

<sup>76</sup> საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში სახელმწიფო ბაჟის დაკისრებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხი იხ. *მახათაძე ნ.*, „ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(73)/22, 99-100.

<sup>77</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1652-2021.

<sup>78</sup> სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, სარეგისტრაციო კოდი: 060.000.000.05.001.000.301. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=154>> [22.01.2023].

<sup>79</sup> სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, სარეგისტრაციო კოდი: 060.000.000.05.001.000.301. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=154>> [22.01.2023].

<sup>80</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ივნისის განჩინება საქმეზე №2/15116-21.

<sup>81</sup> აღნიშნულის თაობაზე იხ. ვრცლად, 3.1 ქვეთავი.

<sup>82</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/29606-21.



---

განმცხადებლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის მითითების გარეშე.<sup>83</sup>

ზოგადად, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, ისევე როგორც „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით. სსკ-ის 46-ე მუხლი შეიცავს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლების ჩამონათვალს. ერთ-ერთ ამგვარ საფუძველს წარმოადგენს არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენის შემთხვევა. საგულისხმოა, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ახდენს ამ საფუძველთა სრულყოფას. სასამართლოები დასახელებულ კანონს იყენებენ შემვესებად, ცალკეულ საქმეთა განხილვის პროცესში. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ავარტოებს სსკ-ის 46-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ჩამონათვალს, კერძოდ, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებს მშობელს ან არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს როგორც მოსარჩელეს - სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საგულისხმოა, რომ სსკ-ის 46-ე მუხლს „ე“ ქვეპუნქტი დამატა 2003 წლის 20 ივნისის განხორციელებული ცვლილებით. ხსენებული ცვლილების მიზანს წარმოადგენდა სამართალწარმოების პროცესში ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით დამატებითი გარანტიების შექმნა. ისმის კითხვა, ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საქმე შეიძლება თუ არა შეფასდეს არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის შემთხვევად და ამ საფუძვლით დაექვემდებაროს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?

ზოგადად, მითითებული საფუძვლის გამოყენებისათვის მოითხოვება სასარჩელო მოთხოვნა სწორედ არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ფაქტიდან მომდინარეობდეს და პირი, რომლის უფლებების დაცვის მიზნითაც ხდება სარჩელის აღძვრა, სარჩელის სასამართლოში წარდგენის მომენტისათვის იყოს არასრულწლოვანი.<sup>84</sup> ამგვარ შემთხვევად არ ვასდება განქორწინების და ბავშვთან ურთიერთობის უფლების განსაზღვრის შემთხვევა,<sup>85</sup> მიუხედავად საქმეში სსიპ -

---

<sup>83</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24593-21; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/700-21; სენაკის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/692-20.

<sup>84</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1522-1436-2012.

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-661-2022, სადაც „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის „ქ“

---

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ჩართულობისა.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს. ამ საქმეში ბავშვი წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რომლის ქონებრივ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლოს ნებართვა მხოლოდ დადებით ეფექტს მოახდენს ბავშვის პიროვნულ, სოციალურ, ეკონომიურ ინტერესებზე.<sup>86</sup> თუმცა მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისა და ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის მოთხოვნისას მშობელი წარმოადგენს განმცხადებელს, ხოლო ბავშვი გვევლინება მოწინააღმდეგე მხარედ. მსგავს შემთხვევაში მშობლის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება შეუსაბამოა ბავშვის ინტერესების დაცვის მიზანთან.<sup>87</sup> ამდენად, მსგავს საქმეზე განმცხადებლის მოთხოვნა არ გამოძინარეობს არასრულწლოვნის უფლების დარღვევის ფაქტიდან. შესაბამისად, არ უნდა დაექვემდებაროს ამ საფუძვლით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას. ზოგადად, ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევად ნებისმიერი იმგვარი საქმის მიჩნევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ბავშვის ინტერესებს, მნიშვნელოვნად გააფართოებდა იმ საქმეთა წრეს, რომლებიც დაექვემდებარება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არ შეიძლება აიხსნას რაიმე რაციონალური მოტივით. უდავოა, რომ არ არსებობს აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების საკითხის მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგება, რაც ზრდის სამართალშეფარდების პროცესში შეცდომის რისკებს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია კანონის სიზუსტის და ხარისხის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, განჭვრეტადი საკანონმდებლო რეგლამენტაციის არსებობა, რომელიც ნორმის ადრესატს მისცემს შესაძლებლობას, სათანადოდ მოახდინოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია.

### 3.4. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით დეკლარირებულია ორივე მშობლის თანასწორუფლებიანობა, კერძოდ, კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის მშობლების საერთო და თანაბარი

---

ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა მითითებული ნორმის გამოყენების შესაბამისად, მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველი,

<sup>86</sup> სასამართლო თანხმობის გაცემისას შეზღუდულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამოკვლევის დათქმით.

<sup>87</sup> საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლება მშობელი ან არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე - სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. უფლების ბოროტად გამოყენებისას მშობელი მოქმედებს არა ბავშვის დარღვეული უფლების აღდგენის, არამედ პირიქით, ბავშვისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების მიზნით.



პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. სსკ, კონვენციის შესაბამისად ადგენს შვილების მიმართ მშობელთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. სსკ-ის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს მშობლების უფლებას და იმავდროულად ვალდებულებას, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს შვილების აღზრდაში თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.<sup>88</sup> ამასთან, მშობლებს ერთობლივად ევალებათ თავიანთი შვილების წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.<sup>89</sup> მსგავსი წარმომადგენლობისას მშობლები შეზღუდულნი არიან ბავშვის საუკეთესო ინტერესებით.

დასახელებული რეგლამენტაცია უდავოდ აღიარებს ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპს, თუმცა საკანონმდებლო მოწესრიგების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე<sup>90</sup> ჩნდება კითხვა, მშობლები ბავშვის ინტერესებთან შემხები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგალითად, ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვისას მოქმედებენ მხოლოდ ერთობლივად, თუ თითოეულ მათგანს შეუძლია დამოუკიდებლად, მეორე მშობლის სათანადო ფორმით გაცემული თანხმობის გარეშე სასამართლოსადმი მიმართვა? აღნიშნული საკითხი აქტუალურია, ვინაიდან არ არსებობს საკითხის გადაწყვეტის ერთიანი ხედვა, მაგალითად, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 25-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს სანოტარო მოქმედებაში არასრულწლოვნის მონაწილეობის ფორმალურ პროცედურასა და არასრულწლოვნის წარმომადგენლობის საკითხს, როგორც წესი, დასაშვებად მიიჩნევენ არასრულწლოვნის ერთ-ერთი კანონისმიერი წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობას, გარდა მშობელთა შეთანხმებით ერთობლივი წარმომადგენლობის არსებობისა.<sup>91</sup> სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილი

<sup>88</sup> *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო და მემკვიდრობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019, 168.

<sup>89</sup> *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 223.

<sup>90</sup> შედ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ასევე შეიცავს შვილების მიმართ მშობელთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე მითითებას, თუმცა გამოირჩევა რეგულირების უფრო მკაფიო ხასიათით, კერძოდ, ადგენს მშობელთა თანასწორუფლებიანობის მიღწევის მექანიზმებსა და მშობელთა შუუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების წესს, კერძოდ, §1628 BGB შესაბამისად, თუ მშობლები ვერ თანხმდებიან ბავშვის ზრუნვასთან დაკავშირებულ ან იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ბავშვის ინტერესებისათვის ასრებითი მნიშვნელობის მქონეა, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს ენიჭება უფლება, მშობლის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მიანიჭოს ერთ-ერთ მშობელს. საგულისხმოა, რომ §1626 I BGB მშობლებს ანიჭებს უფლებას და ამასთანავე ვალდებულებას, იზრუნონ არასრულწლოვან შვილებზე. მშობლების ზრუნვა მათ შორის მოიცავს ბავშვის პიროვნებაზე და ქონებაზე ზრუნვას. თუ მშობლებს არ შეუძლიათ მარტოოდენ ფაქტობრივი მოქმედების განხორციელებით ბავშვის პიროვნებაზე ან ქონებაზე ზრუნვის მოვალეობის შესრულება, არამედ დგება გარიგების დადების საჭიროება, მაშინ სახეზეა მშობელთა მიერ ბავშვის წარმომადგენლობის საკითხი 1626 I 2, 1629 პარაგრაფების გაგებით - *Langels H., Familienrecht, 7. Aufl., 2017, 95.*

<sup>91</sup> „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანს სანოტარო მოქმედებაში წარმოადგენს ერთ-ერთი კანონისმიერი წარმომადგენელი, თუ

---

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვაზე უფლებამოსილ სუბიექტად ასახელებს ბავშვის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს. დასახელებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი (გრამატიკული) განმარტებით, მშობელს მეორე მშობლის თანხმობის გარეშეც შეუძლია დამოუკიდებლად სასამართლოსათვის მიმართვა. უშუალოდ მითითებულ საკითხზე კანონმდებლის ნების დადგენა ობიექტური სირთულეებით ხასიათდება, ვინაიდან კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არ შეიცავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მითითებას განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტის თაობაზე.<sup>92</sup> ერთმნიშვნელოვანი საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში დგება სასამართლოს მიერ ნორმის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის საჭიროება.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს კონტროლის დაწესებამდე და მას შემდეგ. ერთიანი მიდგომა არც ამ შემთხვევაშია მოცემული. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსარჩელე ითხოვდა გარიგების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვა მოხდა მამის თანხმობის გარეშე, სასამართლომ განმარტა, რომ არ არსებობდა გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან გასხვისება მოხდა ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის - დედის თანხმობით.<sup>93</sup> სასამართლომ ამ შემთხვევაში ქონების განკარგვა დასაშვებად მიიჩნია მხოლოდ ერთერთი მშობლის თანხმობის საფუძველზე, რითაც მშობელთა ერთობლივი წარმომადგენლობის პრინციპი ირიბად უარყო. ამავე პერიოდში განხილულ სხვა საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ბავშვის მშობლების მიერ დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, სასამართლომ განმარტა, რომ კრედიტის აღების მიზანს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. ამასთან, ბავშვის ქონების იპოთეკით დატვირთვაზე წერილობითი თანხმობა გაცხადებულ იქნა მისი კანონიერი წარმომადგენლების - მშობლების მიერ, რაც ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილებად შეაფასა.<sup>94</sup> სხვა ანალოგიურ საქმეზე უდავოდ დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა კანონიერ წარმომადგენლებს შორის შეთანხმების არსებობის ფაქტი, რომლითაც არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება, განკარგვა, იპოთეკით, აღნაგობით, ქვეიჯარით დატვირთვა, თხოვება, ლიზინგით გაცემა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებების დადგენა

---

არასრულწლოვნის მშობელთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებულ რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ნივთზე გარიგების დამოწმებისას ივარაუდება, რომ არასრულწლოვნის მშობელთა შეთანხმება ერთობლივი წარმომადგენლობის შესახებ არ არსებობს, თუკი ეს შეთანხმება არ არის რეგისტრირებული მარეგისტრირებელ ორგანოში.

<sup>92</sup> განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214116> [06.02.2023].

<sup>93</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №677-949-04.

<sup>94</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №1498-1418-2017, პარ. 72.

---

მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის წერილობითი თანხმობით განხორციელდებოდა. აღნიშნული შეთანხმება თავის მხრივ რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.<sup>95</sup>

საგულისხმოა, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე მშობელთა ერთობლივი თუ ინდივიდუალური წარმომადგენლობის თაობაზე ერთიანი პოზიცია არ იყო დანერგილი არც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კერძოდ, 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არასრულწლოვნის მიერ ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის საკმარისად მიიჩნია ერთ-ერთი მშობლის თანხმობა,<sup>96</sup> მაშინ როცა 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მან უარყო უძრავ ნივთზე რეგისტრაციის მოთხოვნა სწორედ ორივე მშობლის თანხმობის წარუდგენლობის მოტივით.<sup>97</sup>

განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტთან დაკავშირებით სასამართლოს ერთიანი პოზიცია არ არსებობს არც ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლის დაწესების შემდეგ. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ უარი თქვა განცხადების განსახილველად მიღებაზე. უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად კი დაასახელა განცხადების მხოლოდ ერთი მშობლის მიერ წარდგენის ფაქტი. ამასთან, სასამართლომ განმცხადებელს დაავალა წარედგინა არასრულწლოვანი ბავშვის ორივე მშობლის თანხმობა ან ხელმოწერა უძრავი ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ ან მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.<sup>98</sup> სხვა ანალოგიურ საქმეზე სასამართლომ დამატებით მიუთითა სსკ-ის 1997-ე მუხლზე, რომლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1200-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, შვილების აღზრდის საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ განცხადება წარდგენილი იყო მხოლოდ მამის სახელით, განცხადებას ხელს არ აწერდა დედა და არც მისი თანხმობა იყო წარდგენილი. სწორედ ამ საფუძველით განცხადება იქნა უარყოფილი.<sup>99</sup> დასახელებულ საქმეებში სასამართლომ უარი თქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე, თუმცა განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველად ასევე

---

<sup>95</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №809-809-2018, პარ. 75.

<sup>96</sup> სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება №62461, მითითებულია - *ქერაშვილი ს., ქარცხია გ.*, „მშობლების მიერ არასრულწლოვნის ქონებრივი ინტერესების დაცვა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“, გურამ ნაწყებია 75 - საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, 156.

<sup>97</sup> სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №245083, მითითებულია - *ქერაშვილი ს., ქარცხია გ.*, „მშობლების მიერ არასრულწლოვნის ქონებრივი ინტერესების დაცვა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“, გურამ ნაწყებია 75 - საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, 156.

<sup>98</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/25300-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/21607-20.

<sup>99</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე №2-213-22.

---

მიუთითა სხვა გარემოებები. სწორედ ამიტომ არ არის ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი მხოლოდ ერთი მშობლის მიერ განცხადების წარდგენა, განცხადების მიღებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლების არარსებობის პირობებში, გამოიწვევდა თუ არა სასამართლოს მიერ იმავე განჩინების გამოტანას.

ბავშვის ქონების განკარგვაზე ორივე მშობლის აზრის მოსმენა და მათი პოზიციის გარკვევა გამართლებულია ბავშვისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღების ინტერესით. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას მისი ინტერესის უპირატესი გათვალისწინების პრინციპს მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმანხორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.<sup>100</sup> ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ვარგის ინსტრუმენტს წარმოადგენს ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში მშობლების მოსაზრებების დადგენა,<sup>101</sup> რაც მიიღწევა თავად განცხადებაში ორივე მშობლის მიერ ნების გამოვლენით. ამასთან, თავად მშობელსაც აქვს მეორე მშობლის ქმედებაზე ზედამხედველობის განხორციელების და მშობლის მართლსაწინააღმდეგო მართვისა თუ გამოყენებისაგან ბავშვის ქონების დაცვის ვალდებულება.<sup>102</sup> საკითხავია, ერთ-ერთი მშობლის მიერ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვისას მეორე მშობლის თანხმობის არარსებობის საფუძვლით განცხადების მიღებაზე უარის თქმა წარმოადგენს თუ არა ბავშვის ინტერესების დაცვის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ბავშვის ინტერესის დაცვა სხვა ალტერნატიული და ნაკლებად მზღუდველი საშუალების გამოყენებით? ამ

---

<sup>100</sup> „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2016), no. 71776/12, ECHR I-70.

<sup>101</sup> შეად. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის (2016) 133 II პარაგრაფის შესაბამისად, სასამართლო ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხედველობაში იღებს ბავშვის კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს. სასამართლო ითვალისწინებს მშობელთა მიერ ერთობლივი განცხადებით მიმართვის ფაქტს.

<sup>102</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებაა გაკეთებული გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში, OLG Köln, Urt. v. 23.10.1996 – 2 U 20/96 - აღნიშნულ საქმეზე არასრულწლოვანი ითხოვდა მშობლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დადგინდა, რომ მეორე მშობლისათვის ცნობილი იყო მისი ცოლის და დის მიერ ბავშვის ანგარიშიდან თანხის გატანის ფაქტი, თუმცა ამის მიუხედავად არაფერი მოიძოქმედა. მამას ეკისრებოდა ვალდებულება, თანხის გამოყენება ეკონტროლებინა და ეზრუნა თანხის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებაზე. მამის ბრალი გამოიხატა სწორედ იმაში, რომ არ შეეწინააღმდეგა მისი მეუღლის და დის მიერ თანხის გატანას და ამით ბავშვის ქონება არ დაიცვა მართლსაწინააღმდეგო მართვისაგან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მამის სოლიდარული პასუხისმგებლობა 1664-ე პარაგრაფის შესაბამისად მის მიერ ქონებაზე ზრუნვის ვალდებულების დარღვევის გამო.

---

შემთხვევაში სხვა ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტორები:

- *კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მშობლის უფლებით მანიპულირებას, ამ უკანასკნელის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას და ბავშვის ინტერესების საზიანოდ თანხმობის გაცემის უარყოფას მშობელთა შორის არსებული მკაცრად ნეგატიური დამოკიდებულის თუ სხვა მიზეზთა გამო;*
- *ბავშვის მშობლის მოძიება და მისგან თანხმობის მოთხოვნა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ობიექტურ სირთულეს წარმოადგენდეს, რომლის დაძლევაც არ შეეძლოს განმცხადებელს.*

საგულისხმოა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებას, არამედ მშობელთა ერთობლივ საზრუნავს, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, როცა ერთი-ერთი მშობელი ბავშვის კეთილდღეობის დასაცავად არ თანამშრომლობს მეორესთან, სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მათგანისათვის თანამშრომლობის დავალება, რაც მეორე მშობლის თანხმობის მიღებაში გამოიხატება, დაუძლეველ სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს.<sup>103</sup> სასამართლო ამ შემთხვევაში ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ყოველმხრივ და სრულად გამოარკვიოს ყველა ის ფაქტი, რაც ბავშვის უფლებებზე გავლენას მოახდენს და შეუქმნის მყარ რწმენას, რომ მიღებული გადაწყვეტილებით ბავშვის ინტერესი საუკეთესოდ იქნება დაცული. ამ მიზნით, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მშობლის ჩართვა საქმეში დაინტერესებული პირის სტატუსით და მისი მოსაზრებების ამ გზით იდენტიფიცირება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა რეკომენდირებულია, ერთი მხრივ, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეებში სასამართლოს აქტიური როლის გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმის უდავო წარმოებას დაქვემდებარებიდან გამომდინარე.<sup>104</sup> აღნიშნული ხელს შეუწყობს სწრაფი და

---

<sup>103</sup> საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანიის კანონმდებლობა ამომწურავად არეგულირებს ამ შემთხვევას. კერძოდ, ბავშვის ქონებაზე ზრუნვა §1642 BGB შესაბამისად, მოიცავს არა მხოლოდ მშობლების ვალდებულებას, მათ მართვას დაქვემდებარებული ბავშვის თანხა განათავსონ ქონების მართვის ეკონომიკური პრინციპების შესაბამისად, არამედ მოითხოვს ასევე, რომ ეს თანხა პირადი მიზნებისათვის არ იქნეს გამოყენებული. მშობლების მიერ ქონებაზე ზრუნვა წარმოადგენს სხვის სასარგებლოდ მართვას იმ მოტივით, რომ შენარჩუნდეს ბავშვის ქონება ამ უკანასკნელის მიერ მისი შემდგომი გამოყენების მიზნებისათვის. - OLG Köln, Urt. 23.10.1996 – 2 U 20/96. ამასთან, მითითებული ზრუნვის უფლება აღიარებულია ორივე მშობლისათვის ერთობლივად. აღნიშნული ვალდებულება უნდა განხორციელდეს 1627-ე პარაგრაფის შესაბამისად ინდივიდუალური პასუხისმგებლობით და ურთიერთშეთანხმებით. აზრთა სხვადასხვაობისას მშობლები უნდა შეეცადონ შეთანხმების მიღწევას. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მათ შეუძლია იმ საკითხებზე, რომლებსაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა 1628-ე პარაგრაფის შესაბამისად, მიმართონ საოჯახო საქმეთა სასამართლოს ერთ-ერთი მათგანისათვის უფლებების შეზღუდვის ან მეორე მშობლისთვის უფლების მინიჭების მოთხოვნით - Langels H., Familienrecht, 7. Aufl., 2017, 95.

<sup>104</sup> სსსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლოს ვალდებულებას, მოიწვიოს ამ საქმის განხილვით დაინტერესებული პირები. მშობელი უდავოდ წარმოადგენს საქმის განხილვით დაინტერესებულ სუბიექტს, ვინაიდან ამ უკანასკნელს ეკისრება ბავშვზე ზრუნვისა და წარმომადგენლობის ვალდებულება.

---

ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სამართალწარმოების ფარგლებში, სადაც საკითხი ბავშვის ინტერესებს შეეხება.

### **3.5. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თავისებურებანი ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში**

სსსკ-ში 2019 წლის 27 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით დადგინდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის უზრუნველყოფი საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმები, რაც, თავის მხრივ, ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების ინტერესით იქნა განპირობებული,<sup>105</sup> თუმცა კანონმდებლის მიერ რეგულირების მიღმა დარჩა ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საპროცესო-სამართლებრივი ასპექტები. მკაფიო მოწესრიგების არარსებობამ წარმოშვა ცალკეულ საპროცესო-სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით ბუნდოვანება და ხელი შეუწყო არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, რაც სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით ქმნის სირთულეებს და წარმოშობს ბავშვის უფლების დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს. ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს განცხადების შინაარსი და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი. მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მიმართ უდავო წარმოების მარეგულირებელი ნორმების ანალოგიით გამოყენება.<sup>106</sup> აღსანიშნავია, რომ სასამართლო უდავო წარმოების წესით საქმეებს განიხილავს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია XXXV–XLII თავებით. სწორედ დასახელებული თავები აწესრიგებს საქმის აღძვრის წინაპირობებს, განცხადების შინაარსსა და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალს, საქმისწარმოების და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, უდავო წარმოებას დაქვემდებარებულ ცალკეულ საქმეთა თავისებურებების გათვალისწინებით.<sup>107</sup> დასახელებული მოწესრიგება არ გამოდგება

---

<sup>105</sup> განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214119>> [22.01.2023].

<sup>106</sup> ვრცლად აღნიშნულის თაობაზე, იხ. 3.1. ქვეთავი.

<sup>107</sup> შუად., სსსკ-ის 315-ე მუხლი, რომელიც ადგენს განცხადებაში მისათითებელი ფაქტებისა და მტკიცებულებების ჩამონათვალს, კერძოდ, განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას; ანალოგიურად, 316<sup>ა</sup> მუხლი ადგენს ცოცხალ დონორებაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალს; 318-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს მტკიცებულებებზე მითითებას, კერძოდ, განცხადებაში უნდა



---

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის შესახებ განცხადების შინაარსისა და განცხადებასთან ერთად წარსადგენი მტკიცებულებების იდენტიფიცირებისათვის, განცხადების სპეციფიკის და დასადგენ გარემოებათა წრის თავისებურების გამო. შესაბამისად, ჩნდება კითხვები განცხადების შინაარსთან დაკავშირებით, კერძოდ, რა უნდა აღინიშნოს განცხადებაში, რა მტკიცებულებები უნდა დაერთოს განცხადებას?

ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაცია მოცემულია სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 186-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილში. ორივე ნორმა მსგავს მოთხოვნებს ადგენს, კერძოდ, ბავშვის საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვას დასაშვებად აცხადებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. ანალოგიური მოწესრიგება გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილით.<sup>108</sup> სასამართლო თანხმობის საჭიროება დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასასხვისებელი ქონება ბავშვის საკუთრებას წარმოადგენს და ნივთის გასხვისება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება. იმ ფაქტის შეფასება, არის თუ არა განმცხადებლის მოთხოვნა ბავშვის ინტერესებთან თავსებადი, მიეკუთვნება სასამართლოს დისკრეციას. სასამართლოს უწევს კანონის არამკაფიო მოწესრიგების პირობებში განცხადების შინაარსის აუცილებელი რეკვიზიტებისა და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალის დადგენაც. ამდენად, არსებით მნიშვნელობას იძენს ნორმის გამოყენების პრაქტიკის ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ განცხადებაში ცალკეულ გარემოებათა მიუთითებლობა ან განსაზღვრული მტკიცებულების წარუდგენლობა არაერთხელ გამხდარა საერთო სასამართლოების მიერ განცხადების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. ვინაიდან არ არსებობს სპეციალური საპროცესო ნორმა, რომელიც დაარეგულირებდა უშუალოდ ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, სასამართლოები, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იყენებენ საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია). მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმად სასამართლოები მიიჩნევენ სსკ-ის 177-ე, 178-ე და 186-ე მუხლებს. სსკ-ის 177-ე მუხლი ადგენს საქმის აღძვრის წინაპირობებს და ასეთად განსაზღვრავს სარჩელს, ხოლო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში - განცხადებას, ხოლო 178-ე მუხლი ადგენს სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელ გარემოებათა ჩამონათვალს, კერძოდ დასახელებული მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც

---

აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს მოქალაქის უფხო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მისი გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე გარემოებანი, რომლებითაც დასტურდება მოქალაქის უფხო-უკვლოდ დაკარგვა, ანდა რომლებიც უფხო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილის საფრთხეს უქმნიდნენ ან საფუძველს იძლევიან მისი დაღუპვის ვარაუდისათვის გარკვეული უზედური შემთხვევის შედეგად.

<sup>108</sup> კერძოდ, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---

მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. სსსკ-ის 186-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი<sup>109</sup> სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველად ადგენს სარჩელის შეტანას 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით.

ერთ-ერთ საქმეში განმცხადებლები ითხოვდნენ ბავშვის სახელზე რეგისტრირებული ორი მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე თანხმობის გაცემას, რათა მისცემოდათ მათი ერთადერთი შვილისათვის განათლების მიღების, სახელდობრ, ბავშვის კერძო და საბალეტო სკოლებში სიარულის შესაძლებლობა. ამასთან, განმცხადებლები დამატებით აღნიშნავდნენ, რომ ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით აპირებდნენ აჭარაში საცხოვრებელი ბინის შეძენას და მათ მოძიებული ჰქონდათ გონიოში ოროთახიანი იზოლირებული საცხოვრებელი ბინა. განცხადება არ იქნა განსახილველად მიღებული სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.<sup>110</sup> სასამართლოს განმარტებით, განცხადება არ აკმაყოფილებდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, მასში არ იყო მითითებული ბავშვის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება; ქონების გასხვისების შემდეგ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მექანიზმები; უძრავი ნივთის გასხვისების შემდეგ თანხის მიზნობრივად განკარგვის მტკიცებულება; უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში მისი ბავშვის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია; შესაძენი ქონების მახასიათებლები და ამ მიზნით, ნასყიდობის წინაზე ხელშეკრულება.<sup>111</sup>

სხვა საქმეზე ანალოგიურ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ განცხადების მიღებაზე უარი დაასაბუთა იმავე სამართლებრივი საფუძველით, თუმცა დამატებით განმარტა, რომ ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის მიზნით სასამართლო თანხმობას იძლევა კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით, რა დროსაც შემოწმებას ექვემდებარება დასაბუთებული ხელშეკრულების პირობების ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადობის საკითხი, კონტრაპენტის პიროვნება. ამ მიზნით მოითხოვება განცხადებას დაერთოს ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირების მიზნით მოითხოვება არა აბსტრაქტული

---

<sup>109</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის №2/1/1481 გადაწყვეტილება საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის მიხედვითაც, 2023 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>110</sup> რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმას, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

<sup>111</sup> თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/904-22, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 31 მაისის განჩინება საქმეზე №2/12051-21.



---

მითითება გასხვისების შედეგად მიღებული თანხის შვილების კეთილდღეობის მიზნით გამოყენებაზე, არამედ თანხის განაწილების კონკრეტული გეგმა.<sup>112</sup> სხვა საქმეზე, ვინაიდან განმცხადებლის მიერ არ იქნა წარდგენილი ინფორმაცია განკარგვის ფორმისა და მყიდველის შესახებ (ასეთის არსებობისას), არასრულწლოვნის მიერ გასხვისების სანაცვლოდ მისაღები სხვა ქონების ან შემოსავლის შესახებ, სასამართლომ უარყო განცხადების განსახილველად მიღება.<sup>113</sup> ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი არასრულწლოვანი შვილის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემას ასაბუთებდა ახალი უძრავი ქონების შეძენის სურვილით. განმცხადებლის განმარტებით, ახალი უძრავი ქონების შეძენა ემსახურებოდა უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნასა და საჯარო სკოლასთან ბავშვის ახლოს ყოფნას. სასამართლომ არ მიიჩნია სარწმუნოდ განმცხადებლის განმარტება, რადგან გაურკვეველი იყო შესაძენი ქონების მახასიათებლები. სარწმუნოდ დასაბუთებაში სასამართლო გულისხმობდა მითითებას იმ გარემოებაზე, მოძიებული ჰქონდა თუ არა ოჯახს ახალი უძრავი ქონება, რომლის შეძენასაც აპირებდა, რადგან ქონების დროულად მოუძიებლობის შემთხვევაში ბავშვის ინტერესის სათანადო დაცვა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.<sup>114</sup> ამ შემთხვევაში, სასამართლომ განმცხადებელს დაავალა მოთხოვნის სსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრა, ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტება და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა.

საგულისხმოა, რომ ერთგვარი სპეციფიკით ხასიათდება მოძრავი ნივთის განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საკითხი. ძირითადად ამ კატეგორიის საქმეებში აღსანიშნავია საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვაზე თანხმობის გაცემის შემთხვევა. ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა სწორედ არასრულწლოვანი შვილის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვაზე თანხმობის გაცემას, სასამართლომ უარყო განცხადების განსახილველად მიღება და მიუთითა, რომ მოსარჩელეს, სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკისრებოდა მოთხოვნის მკაფიოდ, ნათლად და გარკვევით მითითების ვალდებულება, რათა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მისი უცვლელად ასახვის შემთხვევაში არ წარმოშობილიყო, სასამართლო გადაწყვეტილების დაუზრკოლებლად აღსრულების მიზნით, მასში ცვლილებების შეტანის ან განმარტების საჭიროება. დამატებით სასამართლომ მიუთითა, რომ განცხადებიდან არ დგინდებოდა, მიმართა თუ არა განმცხადებელმა საბანკო დაწესებულებას თანხის განკარგვის მოთხოვნით და უარყო თუ არა ამ უკანასკნელმა განმცხადებლის მოთხოვნა; განცხადებას თან არ ერთვოდა ანაბრის ხელშეკრულება, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, ემსჯელა სასამართლო თანხმობის საჭიროების შესახებ; არ იყო წარდგენილი მტკიცებულება, თუ რა

---

<sup>112</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე №2/213-22.

<sup>113</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30110-21.

<sup>114</sup> ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/1426-22.

გავლენას ახდენდა არასრულწლოვნის ინტერესზე ანაბარზე განთავსებული თანხის განკარგვა. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა დავის ფაქტობრივი გარემოებების არასრულყოფილად წარდგენას, რაც გამოიხატა განმცხადებლის დატვირთულობისა და გარემოს - სოციალური პირობების (სამუშაო ადგილის, თანამდებობის, ყოველთვიური შემოსავლის და სხვ.) და ბავშვზე ზრუნვის ფაქტობრივი გარემოებების მიუთითებლობაში.<sup>115</sup>

აღსანიშნავია, რომ განცხადების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები ხშირად ორაზროვანი, გაუგებარი და ბუნდოვანია მხარეთათვის, რის გამოც ვერ ხერხდება განმცხადებელთა მიერ საქმის აღძვრის დამატკიცებელი გარემოებების აღმოფხვრა. აღნიშნული იწვევს სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვის შემთხვევაში განცხადების განსახილველად მიღებაზე განმეორებით უარის თქმას,<sup>116</sup> რაც ხელს უწყობს საქმის განხილვის გაჭიანურებას, მაშინ როცა ბავშვის ინტერესებთან დაკავშირებული საქმის განხილვისას სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული გულმოდგინების და გარკვეული სისწრაფით მოქმედების ვალდებულება.<sup>117</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნის განხილვისას საეჭვოა სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლის გამოყენების სისწორე. კერძოდ, როგორც განხილული შემთხვევებიდან დგინდება, სასამართლო განცხადების მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტს, ხოლო ძირითად არგუმენტად ასახელებს განცხადების ზოგად ხასიათს და მხარის მიერ მითითებული გარემოებების სარწმუნოდ დადატურების შეუძლებლობას (მაგ., ხელშეკრულების, ქონების შეფასების აქტის წარუდგენლობას). სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ადგენს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის არა არსებით, არამედ ფორმალურ მოთხოვნებს. ზემოთგანხილულ საქმეებში კი განცხადების განსახილველად მიღებაზე უარი საბუთდება არა კანონის ფორმალური

<sup>115</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №2/17844-22.

<sup>116</sup> *თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 აპრილის განჩინება საქმეზე №2/6660-21*, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ ნაწილობრივ აღმოფხვრილ იქნა ხარვეზი, თუმცა განცხადება კვლავ არასრულყოფილია, კერძოდ, განცხადებას არ ერთვის ნასყიდობის ხელშეკრულება (ვისთან და რა პირობით იდება ხელშეკრულება) და არასრულწლოვნის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შეფასება; *ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/1426-22*, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მეორედ უწევს იმავე საფუძვლით მიღებაზე უარი უთხრას მოსარჩელეს. სასამართლომ 2022 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში მიუთითა, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამატკიცებელი გარემოებანი, თუმცა სარჩელი წარდგენილი იქნა იმავე სახით. განმცხადებელს ამ შემთხვევაში აქვს ან სასამართლოს განმარტების გათვალისწინების, შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოფხვრის ვალდებულება ან სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების უფლება; *თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №2/14687-21*, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ ისევ არ არის მითითებული უძრავი ქონების გაყიდვის მიზნობრიობა, გასხვისების შედეგად მიღებული თანხის მოხმარების მიზნები.

<sup>117</sup> *Monory v. Romania and Hungary* (2005), no. 71099/01, §92 ECHR.

---

მოთხოვნების, არამედ შინაარსობრივი კომპონენტების დაუკმაყოფილებლობის საფუძველით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო პროცესში უნდა იქნეს დადგენილი სამი განსხვავებული შინაარსის და შედეგის განმაპირობებელი ფაქტები: ფაქტები, რომლებიც მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ შედეგს წარმოშობს (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა); ფაქტები, რომლებიც მატერიალურ-სამართლებრივი შედეგს წარმოშობს (სარჩელის დაკმაყოფილება); მტკიცებულებითი ფაქტები, რომლებითაც ხორციელდება გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება.<sup>118</sup> სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მტკიცების საგანს წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მხარეები მიუთითებენ თავიანთი მოთხოვნების დასაბუთების მიზნით. მხარეებს აქვთ ვალდებულება, მიუთითონ ფაქტებზე, რომლითაც საბუთდება მათი მოთხოვნები. გარემოების მიუთითებლობა თუ ფაქტის მტკიცების გაძნელება შესაძლოა გახდეს არა განსახილველად მიღებაზე უარის თქმის, არამედ მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>119</sup> სარჩელის მიღების ეტაპზე მხარის შეზღუდვა მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტების და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით ეჭვქვეშ დააყენებს შეჯიბრებითობის პრინციპის არსებობის საჭიროებას. ამდენად, მოსამართლემ, პირველ რიგში, უნდა გამოარკვიოს, რა წინაპირობები დგინდება კანონით, შემდგომ ეტაპზე მან უნდა შეამოწმოს, მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს თუ არა იმ გარემოებებზე, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს აკმაყოფილებს. თუ სარჩელში მითითებული ფაქტები არ არის საკმარისი, მაშინ მოსამართლემ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი ამ საფუძველით.<sup>120</sup>

უდავოა, რომ განხილულ საქმეებში, რომლებიც შეეხება ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის მოთხოვნას, საკითხი შეეხება განცხადების განსახილველად მიღებაზე უარის თქმას იმ გარემოებისა თუ ფაქტის წარუდგენლობის საფუძველით, რომელიც პროცესუალურ-სამართლებრივ შედეგებს იწვევს, შესაბამისად, წარმოადგენს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, ნაცვლად სარჩელის/განცხადების განსახილველად არმიღებისა.

საერთო სასამართლოების მიერ საკითხის მსგავსი გადაწყვეტის მიზეზები ახსნილია ცალკეულ განჩინებებში. სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლისათვის ფაქტობრივი გარემოებების მითითების და მტკიცებულებების წარდგენის დავალება თავად განმცხადებლის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მოტივით არის განპირობებული. თუ სასამართლო არსებითად განიხილავს ბავშვის ქონების

---

<sup>118</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-680-2021.

<sup>119</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-680-2021.

<sup>120</sup> *კერმანი თ.*, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, 4.

---

განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნას არასრულყოფილი განცხადების, განმცხადებლის მიერ მცდარი ფაქტობრივი გარემოებების მითითების, მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მას მოუწევს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ამასთან, მხარე დაკარგავს შემდგომში სათანადო მტკიცებულებების მოძიების პირობებში იმავე მოთხოვნით და იმავე საფუძვლით სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვის შესაძლებლობას.<sup>121</sup> სხვა საქმეზე სასამართლომ სარჩელის მიღებაზე უარი დაასაბუთა განმცხადებლის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის აუცილებლობით და დამატებით განმარტა, რომ თუ სასამართლოს მოუწევდა საქმის განხილვა მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორად მითითების და მტკიცებულებების არქონის პირობებში, მაშინ ამას შესაძლოა გამოეწვიოს არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებული საქმის განხილვის გაჭიანურება ან განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.<sup>122</sup>

საგულისხმოა, რომ თითოეული საქმის გადაწყვეტა უკავშირდება გარკვეული ფაქტების დადგენის პროცესს. ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო განხილვა ხასიათდება თავისებურებით, კერძოდ, მსგავს საქმეებზე სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის დაცვის ჭრილში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეეხებოდა, განმარტა, რომ მსგავსი ტიპის საქმეებში პროცედურულმა დაბრკოლებამ ან საქმის განხილვის გაჭიანურებამ შესაძლოა წარმოშვას საკითხის დეფაქტო გადაწყვეტის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ხელყოფის რისკები.<sup>123</sup> უფლების დაცვის შემჭიდროებული ვადები ორიენტირებულია ბავშვის ინტერესების სწრაფად გადაწყვეტასა და სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფაზე ბავშვის მოწყვლადი სტატუსიდან გამომდინარე. სასამართლო მსგავსი საქმეების განხილვისას მოქმედებს ფართო დისკრეციის ფარგლებში. საგულისხმოა, რომ მოსამართლეს არ უნდა გააჩნდეს უკონტროლო დისკრეცია და არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი განსაზღვრულობის ერთ-ერთ ძირითადი დანიშნულება, კანონის ადრესატმა შეძლოს მისი სწორი აღქმა, სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, შედეგად, თავისი ქცევის კანონის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.<sup>124</sup>

---

<sup>121</sup> გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე №2/823-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 31 მაისის განჩინება საქმეზე №2/12182-21.

<sup>122</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30110-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №2/4432-21; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/904-22.

<sup>123</sup> W. v. the United Kingdom (1987), no. 9749/82, §65, ECHR.

<sup>124</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-36.

ზოგადად, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება, პირველ რიგში, გულისხმობს ხელოვნური და გაუმართლებელი დაყოვნებების გარეშე სამართალწარმოების წარმართვას. ამასთან, სასამართლოს შეზღუდული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, კანონმდებლობით შესაძლებელია რაციონალური ბარიერების დადგენა, რომლებიც მოახდენს პროცესის გახანგრძლივების თავიდან არიდებას ან სასამართლოს მიერ დიდი რაოდენობით დაუსაბუთებელი სარჩელების განხილვის პრევენციას, რათა თავად უფლების დაცვა არ გახდეს არაეფექტური.<sup>125</sup> მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეებში, მათ შორის ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვისას, მოქმედებს ინკვიზიციურობის პრინციპი, რაც გულისხმობს სასამართლოს უფლებას, თავად გამოიკვილოს გარემოებები, რომლებიც აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დასადგენად,<sup>126</sup> აღნიშნული არ გულისხმობს განმცხადებლის მტკიცების ტვირთისაგან სრულად გათავისუფლებას და მის სასამართლოზე დელეგირებას. სასამართლო ვერ შეძლებს დავის გადაწყვეტას, თუ წინასწარ არ მოხდება ფაქტების დადგენა. ფაქტების დადგენა, როგორც წესი, მტკიცებულების წარდგენის გზით ხორციელდება.<sup>127</sup> მხარეების დისკრეციას მიეკუთვნება გადაწყვეტიონ, რომელ გარემოებებს და ფაქტებს წარადგენენ, სამართლებრივი შეფასება კი სასამართლოს კომპეტენციაა.<sup>128</sup> ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვისას სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ყველა მტკიცებულების მოძიებამ და მხარის პასიურობამ შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განხილვის მნიშვნელოვანი გაჭიანურება. ამასთან, განცხადების განსახილველად მიღებაზე უარის თქმა სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მაშინ, როცა სასამართლოს შეუძლია თავად ამ გარემოების დადგენა ან საქმის არსებითი განხილვისას ცალკეული გარემოების დაზუსტება, არ არის თავსებადი საქმის დროულ და ეფექტიან გადაწყვეტის ინტერესთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 186-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულაცია ნებისმიერი გამოსწორებადი ხარვეზის შემთხვევაში ართულებს სამართალწარმოების პროცესს,<sup>129</sup> არის ბლანკეტური ხასიათის და დასაშვებად მიიჩნევს ისეთი სარჩელის განსახილველად არმიღებას, რომელში დაშვებული ხარვეზიც ექვემდებარება დაზუსტებას საქმის არსებითი განხილვის დროს ახალი სარჩელის წარდგენის გარეშე. ამგვარი ხარვეზიანი სარჩელის განსახილველად არმიღება, ართულებს როგორც სასამართლოს მიერ საქმის

<sup>125</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/1481 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-19.

<sup>126</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-604-563-2017, პარ. 15, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ ის საკუთარი ინიციატივით ასევე იკვლევს გარემოებებს, რასაც ექნებოდა მნიშვნელობა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის.

<sup>127</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოც., თბილისი, 2005, 149.

<sup>128</sup> *ჭავჭავაძე უ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, თბილისი, მუხლი 3, 2.

<sup>129</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის №2/1/1481 გადაწყვეტილება საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-24.

---

დროულად და ეფექტურად გადაწყვეტას, ისე მოსარჩელის მიერ უფლების დაცვის შესაძლებლობას.<sup>130</sup> ამდენად, სავალდებულოა ნებისმიერი საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე დაზუსტებადი სარჩელი იქნეს განსახილველად მიღებული.

საგულისხმოა, რომ, კანონის ხარისხობრივი მოთხოვნა გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და უზრუნველყოფს ადრესატის მიერ იმის ცხადად გაგებას, თუ რას მოითხოვს კანონი მისგან. ამასთან, სასამართლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება კანონის განსაზღვრულობის უზრუნველყოფის პროცესში, რაც მიიღწევა ამ უკანასკნელის მიერ ნორმის განმარტებისა და შეფარდების მეშვეობით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებითა და, საბოლოო ჯამში, კანონის ბუნდოვანების თავიდან აცილებით.<sup>131</sup> თუმცა წარმოდგენილ შემთხვევაში კანონმდებლის მიერ საკითხის რეგულირების მიღმა დატოვებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება წარმოშობილი პრობლემების არსებითი ხასიათი და სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების გზით არაერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენის ფაქტები, რაც ართულებს ნორმის ადრესატის მიერ იმ საკითხის განჭვრეტის შესაძლებლობას, რას მოითხოვს კანონი ამ უკანასკნელისაგან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის უზრუნველყოფი საკმის განხილვის პროცესში. ამკარა საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესის აბსტრაქტული ხასიათი წარმოშობს ბუნდოვანებას განმცხადებლის მიერ მისათითებელი გარემოებებისა და ფაქტების შესახებ, რაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ეფექტიან რეალიზაციას აბრკოლებს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ადასტურებს, რომ სასამართლოში წარდგენილ განცხადებათა თითქმის 40%-ს უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქმის აღძვრის მომენტისათვის იმ აუცილებელი წინაპირობების იდენტიფიცირებას, რაც ნორმის ადრესატის მიმართ დგინდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართალშეფარდებისა შეცდომის დაშვების და ბავშვის ინტერესების შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღების რისკები.

ბავშვის უფლებათა კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია საპროცესო კოდექსს, კერძოდ, უდავო წარმოების კარს დაემატოს პრიმა თავი, რომლითაც განისაზღვრება ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული საქმეთა განხილვის თავისებურებანი, კერძოდ:

---

<sup>130</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის №2/1/1481 გადაწყვეტილება საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-12.

<sup>131</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-31.



|  |
|--|
| ➤ განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი;                            |
| ➤ განცხადების განხილვაზე განსჯადი სასამართლო;                              |
| ➤ განცხადების შინაარსი და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი;             |
| ➤ განცხადების მიღების შემდეგ სასამართლოს მიერ გამოსარკვევ გარემოებათა წრე; |
| ➤ სასამართლოს მიერ საქმის დაჩქარებული წესით განხილვის წესი;                |
| ➤ საქმეში მონაწილე სუბიექტთა სტატუსი და უფლებამოსილების ფარგლები;          |
| ➤ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება;                      |
| ➤ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.                    |

საგულისხმოა, რომ კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არჩეულ იქნა არაერთ შემთხვევაში.<sup>132</sup> საკითხის პროცედურული მოწესრიგება გაამარტივებს სასამართლო წარმოებას, გაზრდის საქმის განხილვის ეფექტიანობას, უფრო მოქნილს გახდის პროცედურებს, რაც, საბოლოო ჯამში, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვას უზრუნველყოფს.

<sup>132</sup> მაგ., „ბავშვის საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობისას - იხ. განმარტებით ბარათი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/41870>> [05.02.2022].



---

## 4. სამართალწარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტები და მათი სტატუსი

### 4.1. ადვოკატის ჩაბმის საკითხი

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესულურ-სამართლებრივი ასპექტების მოუწესრიგებლობა წარმოშობს სირთულეებს საქმისწარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტებისა და მათი საპროცესო-სამართლებრივი სტატუსის დადგენის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვისას სასამართლოები, როგორც წესი, საკუთარი ინიციატივით ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტენ ადვოკატის ჩაბმის საკითხს და სამართლებრივი შეფასებაც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. საერთო სასამართლოები მიუთითებენ ადვოკატის ჩაბმის შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებზე:

- ბავშვის უფლებათა კოდექსის 74-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილი ადგენს ყველა ბავშვის თანაბარ უფლებას, მისი საქმე განხილულ იქნეს სამართლიანად და ამ უფლების შემადგენელი ყველა პრინციპის (მათ შორის, კანონიერების, თანაზომიერების, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპების) დაცვით; აგრეთვე სასამართლოსათვის მიმართვისა და გასაჩივრების უფლებას; იურიდიული დახმარებისა და იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს საქმის სამართლიან განხილვაზე ბავშვის უფლების გაცრცელებას როგორც დისციპლინურ წარმოებაზე ან/და ადმინისტრაციულ წარმოებაზე, ისე სასამართლოში სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოებაზე, ხოლო მე-3 ნაწილი ადგენს ბავშვის უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი.
- ბავშვის უფლებათა კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით მიიღოს თანამიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია ან/და იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე, მისი ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ენით, სათანადო კომუნიკაციის საშუალებებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბავშვისთვის ან/და მშობლისთვის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისთვის უფასო იურიდიული კონსულტაციის ან/და იურიდიული დახმარების გაწევას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შედეგად, ბავშვს ენიჭება უფლება, ისარგებლოს კვალიფიციური იურიდიული დახმარებით, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს მისთვის უფასო სერვისის შეთავაზებით, რაც შეიძლება

---

მოიცავდეს როგორც სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, ისე წარმომადგენლობას სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით.

- დამატებითი სკანონმდებლო გარანტიების სახით, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 4<sup>1</sup> მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით), ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ყველა არასრულწლოვნისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით.<sup>133</sup>

საგულისხმოა, რომ იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით არსებითად შეიცვალა 4<sup>1</sup> მუხლი, კერძოდ, დადგინდა ყველა არასრულწლოვნის უფლება, უფასო იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობაზე. მსგავსი ცვლილების მიღების აუცილებლობა დასაბუთდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებთან შესაბამისობის ინტერესით, ვინაიდან იურიდიულ სამსახურს არ ჰქონდა ზოგადი სახის ვალდებულება ყველა კატეგორიის საქმეზე არასრულწლოვნების იურიდიული დახმარების სრული სერვისით უზრუნველყოფის თაობაზე, რაც შეუსაბამო იყო ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილ უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტთან.<sup>134</sup>

საერთო სასამართლოების შეფასებით, არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე ნებართვის გაცემის საკითხი უშუალოდ და პირდაპირ ეხება არასრულწლოვნის ინტერესებს და გავლენას ახდენს მის ქონებრივ უფლებამოვალეობებზე. წარმოდგენილი დავის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანს

---

<sup>133</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/6270-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 10 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/29606-21; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №2/146-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30286-21; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №2/246-22; სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე №2/94-22; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 7 თებერვლის განჩინება საქმეზე №2-93-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/24593-21; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №2/2479-20.

<sup>134</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214128>> [10.02.2023].

უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ქონების განკარგვის მიზანშეწონილობა და შესაბამისობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. **განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან ქონების განკარგვის ინიციატორი მშობელია, პოტენციურად შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მშობელსა და არასრულწლოვნის ინტერესებს შორის. ამ მიმართულებით, პირველ რიგში, ბავშვის უპირატესი ინტერესის დაცვის მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნევა არასრულწლოვნის კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე.<sup>135</sup>**

გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ანიჭებს არასრულწლოვანს საქმის განხილვის პროცესში უშუალოდ ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლებას. ამასთან, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მშობელი არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. ანალოგიურ დებულებას შეიცავს სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი. აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესის ანალიზი იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ბავშვის ინტერესებს სასამართლოში, როგორც წესი, წარმოადგენენ მშობლები, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული მშობლის უფლების შეჩერების შემთხვევებისა.<sup>136</sup> ხაზგასასმელია, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვისას საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს მშობელთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეჩერების შესაძლებლობას, შედეგად, ამკრძალავი საკანონმდებლო დანაწესის არარსებობა მშობლებს ფორმალურად აძლევთ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ბავშვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ ბავშვის წარმომადგენლობის საკითხი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები - ბავშვებისადმი კეთილგანწყობილ სამართალთან დაკავშირებით - ადგენს ბავშვის უფლებას, ჰყავდეს საკუთარი წარმომადგენელი სამართალწარმოების პროცესში იმ შემთხვევაში, **თუ არსებობს ან შეიძლება არსებობდეს ინტერესთა**

<sup>135</sup> იხ. სქოლიო 137.

<sup>136</sup> სსკ-ის 1205<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს მშობლების უფლება, იყვნენ ბავშვის წარმომადგენლები სასამართლო წარმოების განმავლობაში, დვის გადაწყვეტამდე ამ კოდექსის 1200-ე და 1201-ე მუხლების შესაბამისად. სსკ-ის 1200-ე მუხლის შესაბამისად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია; სსკ-ის 1201-ე მუხლის შესაბამისად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია.

---

**კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს ან პროცესის სხვა მონაწილეს შორის.** ამასთან, ბავშვი უნდა იყოს უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარებით იმავე ან შედარებით ნაკლებად მკაცრი სტანდარტით, როგორც მოზრდილები. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მშობლებსა და ბავშვებს შორის, სამართალწარმოების მიზნებისათვის უნდა მოხდეს ან მეურვის ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენლის დანიშვნა, ბავშვის შეხედულებებისა და ინტერესების წარმოდგენის და სამართალწარმოების შინაარსის შესახებ ბავშვისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ამასთან, გარანტირებულ უნდა იქნეს ადეკვატური წარმომადგენლობა ბავშვის მშობლებისაგან დამოუკიდებლად, თუ მშობელი, ოჯახის წევრი წარმოადგენს სავარაუდო დამრღვევს.<sup>137</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვის პროცესში ადვოკატის ჩართვის მიზანშეწონილობის შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს შეიძლება თუ არა პოტენციურად წარმოიშვას მსგავსი კატეგორიის საქმეებში ინტერესთა კონფლიქტი მშობელსა და შვილს შორის. ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის ინიციატორი თავად მშობელია. საწყის ეტაპზე კონფლიქტი ბავშვისა და მშობლის უფლებებს შორის არ არის მოცემული, თუმცა შეიძლება თუ არა მსგავსი კონფლიქტი, ზოგადად, ამ შემთხვევაში ივარაუდებოდეს? ზოგადი პრინციპის მიხედვით, მშობლები ბავშვის ქონებას უნდა მართავდნენ კეთილსინდისიერად, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. პოტენციურად შესაძლოა არსებობდეს მშობლის მიერ ბავშვის ქონების მართვასთან დაკავშირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები.<sup>138</sup> ამ საქმეში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ქონების განკარგვის მიზანშეწონილობა და შესაბამისობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. მშობელთა მიერ ქონების განკარგვით ბავშვი კარგავს საკუთრების უფლებას. შესაბამისად, ბავშვის მიერ ქონების განკარგვის შინაარსისა და მოსალოდნელი შედეგების სრულყოფილი იდენტიფიცირების მიზნით არსებითი მნიშვნელობისაა ამ უკანასკნელისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, რაც არაკეთილსინდისიერი მშობლის შემთხვევაში ვერ იქნება რეალიზებული. ამის საპირისპიროდ, მშობელს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს ბავშვის ნების ფორმირებაზე. ამდენად, ამ შემთხვევაში შესაძლოა იკვეთებოდეს კონფლიქტის არსებობის რისკები, რაც ბავშვის კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფის ვალდებულებას წარმოშობს.<sup>139</sup> ამასთან, შესაძლოა ცალკეულ

---

<sup>137</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 27. - საკითხის მსგავსი გადაწყვეტა შემოთავაზებულია გერმანიის სასამართლო პრაქტიკით - BGH, Beschluss v. 12.02.2014 - XII ZB 592/12 კერძოდ, ქონების მეურვეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, როცა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლათ დასტურდება ბავშვისა და კანონიერი წარმომადგენლის ინტერესებს შორის მნიშვნელოვანი კონფლიქტი.

<sup>138</sup> Langels H., Familienrecht, 7. Aufl., 2017, 97.

<sup>139</sup> აღნიშნული საკითხის განსხვავებული შეფასებაა მოცემული გერმანიის სასამართლო პრაქტიკით - BGH, Beschluss v. 03.04.2019 - XII ZB 359/17. აღნიშნულ საქმეზე დედა ითხოვდა მისი და მისი არასრულწლოვანი შვილების თანასაკუთრებაში არსებული ქონების ხანგრძლივი ვადით იჯარით გაცემაზე სასამართლოს თანხმობას. სასამართლომ საქმეში ჩართო ადვოკატი როგორც ბავშვის წარმომადგენელი, რაც მშობლის მიერ გასაჩივრდა

---

შემთხვევაში მშობლის ინტერესი არ იყოს არსებით წინააღმდეგობაში ბავშვის ინტერესთან, თუმცა საქმის განხილვის საწყის ეტაპზე აღნიშნულის იდენტიფიცირება არსებით სირთულეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ბავშვის კეთილდღეობის მიზნით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის ჩართვა.

#### **4.2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის საკითხი და მისი პროცესუალურ-სამართლებრივი სტატუსი**

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემასთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვის, ისევე როგორც მისი სტატუსის განსაზღვრის საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით დგინდება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების და სასამართლო პროცესის მულტიდისციპლინური მიდგომით განხორციელების ვალდებულება, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო მულტიდისციპლინურ მიდგომას ახორციელებენ ბავშვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებს, მოწვეულ ექსპერტებს ან/და ორგანიზაციებს შორის ფორმალური თანამშრომლობის პროცედურით.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენების თაობაზე მიუთითებს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები - ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ.<sup>140</sup> მულტიდისციპლინური მიდგომით საკითხის გადაწყვეტისათვის სახელმძღვანელო მითითებები ადგენს განსხვავებულ სუბიექტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის

---

<sup>140</sup> ზემდგომ ინსტანციაში. სასამართლომ განმარტა, რომ 1796 II BGB მიხედვით, ქონების მეურვეობა უნდა ჩამოერთვას კანონიერ წარმომადგენელს, როცა სამეურვეო პირისა და მეურვის ინტერესები არსებით წინააღმდეგობაშია. წარმომადგენლობის გამორიცხვა საპროცესო სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, გარდა აქ განხილული 1795-ე და 1796-ე პარაგრაფებისა, არ მიიღება მხედველობაში - Senatsbeschluss vom 12. 02.2014 - XII ZB 592/12. სხვა საქმეზე - Senatsbeschluss vom 12.02.2014 - XII ZB 592/12 - FamRZ 2014, 640 Rn. 15, სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერი წარმომადგენელი კონტროლდება სასამართლოს მიერ. იმის საჭიროება, რომ სამართალწარმოების პროცესში ზოგადი კონტროლის ელემენტი იქნეს შემოტანილი უფლების მფლობელის სხვა წარმომადგენლის სახით, არ არსებობს, რამდენადაც არ არის დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი.

<sup>140</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011,18.

---

ხელშეწყობას ბავშვის სრულყოფილი გავების და მისი სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და კოგნიტური მდგომარეობის შეფასების მიზნით. ამასთან, ბავშვის ინტერესების საუკეთესოდ დაცვის მიზნით სპეციალისტებმა, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ (მაგალითად, ადვოკატი, ფსიქოლოგი, ექიმი, პოლიციელი, სოციალური მუშაკი, მედიატორი) უნდა შესთავაზონ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს დახმარება იმ სამართალწარმოების პროცესში, რომელიც ბავშვს შეეხება და დაიცვან კონფიდენციალობის ვალდებულება.<sup>141</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესში მულტიდისციპლინური მიდგომით საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნა საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ჩართვის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ სასამართლო ახდენს სააგენტოს საქმეში ჩართვას ცალკე განჩინებით<sup>142</sup> ან ერთი განჩინების ფარგლებში (რომლითაც როგორც ადვოკატი, ისე სააგენტო ერთვება საქმეში).<sup>143</sup> საერთო სასამართლოების განმარტებით, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა სწორედ ბავშვის უფლებების სათანადოდ დაცვას, ნებისმიერი საკითხის ბავშვის ფიზიკური, სოციალური, გონებრივი, ემოციური და სულიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე გადაწყვეტას, შესაბამისად, აუცილებელია ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო ნებართვის გაცემის პროცესში სააგენტოს ჩართვა, რადგან სასამართლო გადაწყვეტილება პირდაპირ და უშუალო გავლენას მოახდენს ბავშვის ქონებრივ ინტერესებზე.<sup>144</sup> ამასთან, სასამართლოები სააგენტოს საქმეში ჩართვის სამართლებრივ საფუძველად მიუთითებენ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლს<sup>145</sup> იმის კონკრეტიზაციის გარეშე, სააგენტოს მიზნებიდან რომლის რეალიზებას ემსახურება საქმეში მისი ჩართვა, რაც ართულებს სააგენტოს ჩართვის თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ ანალიზს.<sup>146</sup>

---

<sup>141</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 23.

<sup>142</sup> თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/124-22.

<sup>143</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/26270-20; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №2/246-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30286-21.

<sup>144</sup> თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/124-22.

<sup>145</sup> მე-2 მუხლი განსაზღვრავს სააგენტოს მიზნებს.

<sup>146</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/26270-20; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №2/246-22; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30286-21.



---

საგულისხმოა, რომ ცალკე განჩინებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვის შემთხვევებში სასამართლოები მიუთითებენ სსკ-ის 1279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ბავშვისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც შეჩერებულია მშობლის უფლებამოვალეობები; „სისპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სააგენტოს ფუნქციას და უფლებამოსილების სფეროს წარმოადგენს მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, ასევე ოჯახურ დავებზე კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება და ამ მიზნებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა.<sup>147</sup>

*გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში სააგენტოს ჩაბმის შემთხვევაში არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული ამ ორგანოს სტატუსი და უფლებამოსილების ფარგლები. ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ სააგენტოს საქმეში ჩაბმა ხორციელდება დაინტერესებული პირის,<sup>148</sup> ხოლო სხვა შემთხვევაში - მესამე პირის სტატუსით.<sup>149</sup> დაინტერესებული პირის სტატუსით სააგენტოს ჩართვის ფორმასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რაიმე დებულებას დაინტერესებული მხარის სტატუსთან და მის საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით. ამდენად, ბუნდოვნად მიიჩნია სააგენტოს მიერ ბავშვის ინტერესების ეფექტურად წარდგენის შესაძლებლობა, როცა ამ უკანასკნელს ფორმალური პროცედურული როლიც არ გააჩნდა.<sup>150</sup> ამავე საკითხზე სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ ვინაიდან არც საპროცესო კოდექსი და არც უშუალოდ სააგენტოს მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა წარმომადგენლობის ამ ტიპის შინაარსს, ამ ფარგლებში დანიშნული წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებს,<sup>151</sup> აღნიშნული არსებითად ართულებდა ბავშვის ინტერესების ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობას.*

ზოგადად, სააგენტოს როგორც ბავშვის წარმომადგენლის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ მინისტრთა კომიტეტისათვის წარდგენილ სამოქმედო გეგმაში მიუთითა, რომ სოციალური მუშაკი საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობს მესამე პირის სტატუსით, რომლის უფლებრივი

---

<sup>147</sup> თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/124-22.

<sup>148</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/8837-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/7744-21.

<sup>149</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24519-21.

<sup>150</sup> „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2016), no. 71776/12, ECHR I-74.

<sup>151</sup> „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2016), no. 71776/12, ECHR I-75.



---

მდგომარეობაც საპროცესო კანონმდებლობით რეგულირდება.<sup>152</sup> საგულისხმოა, რომ სსკ-ის XI-ე თავის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად შეიძლება ჩართულ იქნეს მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან ამგვარი მოთხოვნის გარეშე. განსხვავებულია დასახელებული კატეგორიის მესამე პირთა უფლებრივი მდგომარეობა. მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე. სასამართლოს გადაწყვეტილება მათ უშუალოდ არ ეხება. სწორედ ეს განაპირობებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა მიერ შეზღუდული საპროცესო უფლებებით სარგებლობას, კერძოდ, მათ არ შეუძლიათ გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე, მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი და გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის დონეზე. მსგავსი სტატუსით მონაწილე მესამე პირები არ წარმოადგენენ პროცესის სავალდებულო მონაწილე სუბიექტს.<sup>153</sup> ამის საპირისპიროდ, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით სარგებლობენ ყველა დასახელებული უფლებით, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით. საპროცესო კანონმდებლობით არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული სააგენტოს დამოუკიდებელი მოთხოვნით თუ ამგვარი მოთხოვნის გარეშე ჩართვის ფორმა. აღნიშნულ საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი განსაზღვრულობის და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვის. თუ დაუშვებთ სააგენტოს მიერ ბავშვის ქონების განკარგვაზე ნებართვის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესულურ შეუძლებლობას, ეს საეჭვოს გახდის არასრულწლოვნის ქონებრივი ინტერესების დაცვის ეფექტიანობას.

სამართლებრივ განსაზღვრულობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები დგას ასევე დაინტერესებული პირის სტატუსით სააგენტოს ჩართვის შემთხვევაში. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის თავისებურების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქმის განხილვის უდავო წარმოებას დაქვემდებარება.<sup>154</sup> უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვა კი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. სსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო ვალდებულია დაადგინოს საქმის განხილვით დაინტერესებული პირები და მოიწვიოს

---

<sup>152</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში ოუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, რომელშიც მითითებულია, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და ამგვარი მოთხოვნის გარეშე. ბუნდოვანია, რომელი საპროცესო სტატუსით მონაწილეობს სოციალური მუშაკი არასრულწლოვანთა წარმომადგენლობის პროცესში. არც ბავშვის უფლებათა კოდექსი და არც საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სოციალური მუშაკის როგორც წარმომადგენლის როლს და ფუნქციებს სასამართლო პროცესის განმავლობაში.

<sup>153</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-4173-ბ-11-2019, პარ. 63.

<sup>154</sup> ვრცლად, იხ. ქვეთავი 3.1.

ისინი.<sup>155</sup> გასათვალისწინებელია, რომ უდავო წარმოების დროს ყოველთვის არსებობს ერთი მხარე - განმცხადებელი.<sup>156</sup> დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილენი, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს განსახილველ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ.<sup>157</sup> დაინტერესებული პირი არ არის მოდავე მხარის იდენტური.<sup>158</sup> კანონის იმ მოთხოვნის გაგრძელება უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებზე, რომელიც მხოლოდ მხარეებს და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს აღჭურავთ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით, არ არის მიზანშეწონილი სამართალწარმოების პროცესში მესამე პირთა არარსებობის გამო. ამასთან, ვინაიდან პროცესში მონაწილეობენ დაინტერესებული პირები, ამ უკანასკნელთ უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, თუ სასამართლო გადაწყვეტილება უშუალოდ მათ ინტერესებს შეეხებათ.<sup>159</sup> ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემა არაპირდაპირ შეიძლება შეეხოს სააგენტოს ინტერესებს თავად ორგანოს მიზნიდან და საქმის განხილვის პროცესში სასამართლოს მიერ გაცემული დავალების შინაარსიდან გამომდინარე. ამდენად, სააგენტოს უნდა ჰქონდეს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმეზე სააგენტოს ჩაბმის საკითხთან ერთად სასამართლოები სააგენტოს ავალებენ:

- *არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლის დანიშვნას;*
- *საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლას, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით დავის საგანთან მიმართებით მხარის/არასრულწლოვნის პოზიციის გამოკვლევას და თავისი დასკვნის/პოზიციის წარდგენას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც განჩინების ჩაბარებიდან 20,<sup>160</sup> ხოლო ცალკეულ შემთხვევაში - 30 დღეს მოიცავს.<sup>161</sup>*

<sup>155</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-2-2022.

<sup>156</sup> *ლილუაშვილი თ.*, პროცესუალური სამართალი, თბილისი, 2014, 82.

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1207-1468-09.

<sup>158</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1332-1172-2010.

<sup>159</sup> *ლილუაშვილი თ.*, პროცესუალური სამართალი, თბილისი, 2014, 319.

<sup>160</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30286-21-21; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №2/246-22.

<sup>161</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/26270-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/24593-21.

---

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემასთან დაკავშირებულმა სამართალწარმოებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბავშვის ქონებრივ ინტერესებზე. შესაბამისად, არსებით მნიშვნელობას იძენს ამ პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენა და მისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება. ბავშვის სოციალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასება და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დადგენა მოითხოვს განსხვავებულ უნარებს. აღნიშნული ვერ იქნება მიღწეული მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები ერთი სუბიექტის ჩართულობით, არამედ მოითხოვება მოსამართლეების, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების, სპეციალისტების ჩართულობა და ურთიერთმხარდაჭერა.<sup>162</sup>

სასამართლოს მიერ სააგენტოს ჩართვა მის მიერ დასკვნის წარდგენის, შედეგად, ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრაში დახმარების მიზნით, თავსებადია ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე სასამართლო პროცესის მულტიდისციპლინური მიდგომით განხორციელების მოთხოვნასთან. ამ შემთხვევაში სახეზეა ორგანოთა თანამშრომლობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპის იმპლემენტაციის წარმატებული მცდელობა. მსგავსი დამატებითი მექანიზმების დადგენა, რომელიც არა ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ დახმარებას გაუწევს სასამართლოს ქონების განკარგვის მიზანშეწონილობისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში, ბავშვის კეთილდღეობის მიღწევის ეფექტიან მექანიზმად უნდა შეფასდეს. სააგენტოს როლის საკანონმდებლო დონეზე აღიარების მართებული აღქმა თავად ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწორედ ამ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, აქტიური მოქმედებით დაეხმაროს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რას წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ პროცესში წარმომადგენლობა არ შემოიფარგლება პასიური ქმედებებით და არ შეიძლება, დამოკიდებული იყოს სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე.<sup>163</sup> სოციალური მუშაკის მიერ ადმინისტრაციული წარმოების მულტიდისციპლინური მიდგომით განხორციელება გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საკითხის შესწავლა ხდება კომპლექსურად ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების და საუკეთესო ინტერესების დადგენის საფუძველზე.<sup>164</sup> ამდენად, სააგენტოს როლი ამ პროცესში შეუცვლელია.

---

<sup>162</sup> კილაძე ს., ტურავა პ., ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, 267.

<sup>163</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-857-2019.

<sup>164</sup> კილაძე ს., ტურავა პ., ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021, 173.

საგულისხმოა, რომ არასრულწლოვნის ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოს დავალების საფუძველზე მომზადებული სააგენტოს დასკვნა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

|  |
|--|
| ➤ <i>ზოგადი ინფორმაცია სასამართლო საქმის შესახებ - საქმის ნომერი; მოსარჩელე/განმცხადებელი; დავის საგანი/მოთხოვნის არსი;</i>  |
| ➤ <i>განხორციელებული ვიზიტის/კომუნიკაციის რაოდენობა;</i>   |
| ➤ <i>ინფორმაცია არასრულწლოვნის შესახებ;</i>  |
| ➤ <i>სასამართლოს წარმოების/საქმის მოკლე აღწერა;</i>  |
| ➤ <i>ინფორმაცია ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ - გარემოს აღწერა, სადაც იზრდება; ჯანმრთელობის მდგომარეობა; საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც არასრულწლოვანი დადის, ინფორმაცია წრეების თუ დამატებითი მეცადინეობის შესახებ;</i>                             |
| ➤ <i>ინფორმაცია ბავშვზე განხორციელებული ზრუნვის შესახებ - მშობლისა და შვილის ურთიერთობის ხასიათი;</i>  |
| ➤ <i>ინფორმაცია არასრულწლოვნის ოჯახისა და გარემოს შესახებ - მშობელთა საქმიანობა და ანაზღაურება; საცხოვრებელი გარემო, ჰიგიენური მდგომარეობა;</i>  |
| ➤ <i>ბავშვის პოზიცია მოთხოვნასთან დაკავშირებით;</i>  |
| ➤ <i>დასკვნითი ნაწილი - შვილებისა და მშობლების ურთიერთობის მოკლე აღწერა, ბავშვების აზრის გათვალისწინება;</i>   |
| ➤ <i>მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ერთიანი პოზიცია/გადაწყვეტილება დავასთან დაკავშირებით - ამ ნაწილში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ადგენს საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>165</sup></i> |

საგულისხმოა, რომ ცალკეულ შემთხვევაში სოციალური მუშაკის დასკვნა პირდაპირ შეიცავს მითითებას ქონების განკარგვისა თუ გაცვლის ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობის თაობაზე, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე მიმდინარე დავასთან დაკავშირებით სააგენტომ მიუთითა, რომ მშობლები რაციონალურად აფასებდნენ არსებულ ვითარებას, საკუთარ რესურსებსა და არასრულწლოვანთა საჭიროებებს, შესაბამისად, მათი როგორც მშობლების ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის ქონების (საანაზრე ანგარიშებზე არსებული თანხის) განკარგვა, არ იქნებოდა არასრულწლოვნის ინტერესებთან წინააღმდეგობაში და არ დააზარალებდა მათ, ვინაიდან ემსახურებოდა ბავშვისათვის ფიზიკური, მატერიალური და

<sup>165</sup> სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის იმერეთის რეგიონული ცენტრის 2022 წლის 19 აპრილის №07-18-7-15353 დასკვნა.

---

ფინანსური კეთილდღეობის შექმნასა და განვითარებას. ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც მოთხოვნილ იქნა არასრულწლოვნის სახელზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისებაზე სასამართლო თანხმობა პერსონალური კომპიუტერის და სხვა საჭირო ნივთების შეძენის მიზნით, სააგენტოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბავშვის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ბავშვის სწავლა-განათლების მიღებაში ინვესტირების მიზნით.<sup>166</sup>

უდავოა, რომ სააგენტოს დასკვნის შინაარსი სასამართლოს ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენაში, ბავშვის სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოკვლევაში, თავად ბავშვის მოსაზრებების იდენტიფიცირებაში, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად ამარტივებს სამართალწარმოების და ბავშვის უფლების დაცვის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესში სააგენტოს დავალება არ შემოიფარგლება მარტოდენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, დავის საგანთან მიმართებით მხარისა და არასრულწლოვნის პოზიციის დადგენისა და სასამართლოსადმი დასკვნის წარდგენით, არამედ სააგენტოს დამატებით ეკისრება ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლის დანიშვნის ვალდებულება. ბავშვის უფლებათა კოდექსის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმეში სასამართლო, ბავშვისათვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფს ადვოკატის ჩაბმას.<sup>167</sup> ვინაიდან სამართალწარმოების პროცესში ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს მისი ადვოკატი, ისმის კითხვა, წარმოიშობა თუ არა ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმომადგენლის დანიშვნის დამატებითი საჭიროება? აღნიშნული საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სააგენტოს მონაწილეობა ამ პროცესში ატარებს უფრო მეტად ფორმალურ ხასიათს. სააგენტოს წარმომადგენელი, როგორც წესი, ეთანხმება სოციალური მუშაკის დასკვნას, ახდენს დასკვნის შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებას და დასკვნაში წარმოდგენილი ფაქტებისა და შეფასების დემონსტრირებას. აღნიშნული რაიმე ღირებულს ვერაფერს სძენს სამართალწარმოების პროცესს. სააგენტოს დასკვნა ისედაც ხელმისაწვდომია სასამართლოსთვის. ამასთან, მსგავს შემთხვევაში დგება სააგენტოს მიერ დანიშნული წარმომადგენლისა და სახელმწიფოს ხარჯზე ჩაბმული ადვოკატის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საჭიროება.

ადვოკატისა და სააგენტოს როლი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საქმეში ერთვება სასამართლოს და არა

---

<sup>166</sup> სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის კახეთის რეგიონული ცენტრის 2022 წლის 9 მარტის 07-22-966 დასკვნა.

<sup>167</sup> აღნიშნულის თაობაზე იხ. ვრცლად, 4.1. ქვეთავი.

---

თავად მხარის მიერ. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დაეხმაროს სასამართლოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრაში. ამასთან, ადვოკატისა და სააგენტოს ფუნქციების ერთ ადამიანთან გაერთიანებამ შესაძლოა წარმოშვას შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის რისკები, რაც უნდა იქნეს პრევენციური სამართალწარმოების პროცესში.<sup>168</sup> სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში სააგენტოს ჩართვა ხორციელდება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ბავშვზე ზრუნვის პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში. ორგანოს ჩართულობა გამოიხატება ერთგვარი მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციის განხორციელებით, რომელიც, მათ შორის, აფასებს მოქმედებს თუ არა ადვოკატი ბავშვის ინტერესების შესაბამისად, ასევე სასამართლოს წარუდგენს საკითხის გადაწყვეტის მისეულ ხედვას ბავშვის საუკეთესო ინტერესის ჭრილში.<sup>169</sup> ამდენად, სააგენტოს ჩართულობა ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სააგენტოს როლი არ უნდა იქნეს ვიწროდ განმარტებული. ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ბავშვის უფლებათა კოდექსითა და „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით, აქტიური თანამშრომლობითა და სათანადო მუშაობით მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სასამართლოს ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო ნებართვის გაცემის მოთხოვნის ბავშვის ინტერესებთან თავსებადობის საკითხის გადაწყვეტაში. დამატებით, მნიშვნელოვანია:

- *მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ გააცნობიეროს საკუთარი როლი და დანიშნულება, არ შემოიფარგლოს მხოლოდ დასკვნაზე მითითებით, არამედ აქტიური ჩართულობით უზრუნველყოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა თუ გარემოებების დადგენაში სასამართლოს დახმარება;*
- *ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს ჩართვა მიზანშეწონილია განხორციელდეს სსსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებული პირის სტატუსით, რომელიც ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის მიზნით ისარგებლებს ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით.*

### **4.3. ბავშვის ჩაბმა**

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი და მისი მოსაზრებები სერიოზულად განხილული. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში, რომელიც შეეხება ბავშვის უფლებას, იქნეს მოსმენილი, აღნიშნულია, რომ ბავშვს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს შეხედულებები. ამასთან, „თავისუფლად“ გულისხმობს

---

<sup>168</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 78.

<sup>169</sup> შეად., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-733-2020, პარ. 21.2.



---

ბავშვის მიერ ყოველგვარი ზეწოლისა და მანიპულაციის გარეშე საკუთარი შეხედულებების გამოხატვას. ბავშვს ენიჭება უფლება გამოხატოს თავისი და არა სხვების შეხედულებები.<sup>170</sup> სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, ეროვნული კანონმდებლობით აღიარონ და უზრუნველყონ ბავშვის მოსმენა მისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით.<sup>171</sup> ყველა პროცესი, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ, უნდა იყოს: გამჭვირვალე და ინფორმატიული - ბავშვებს უნდა მიეწოდოთ სრული, ასაკის შესაბამისი ინფორმაცია უფლებების თაობაზე; ნებაყოფლობითი - ბავშვი არ უნდა გახდეს იძულების ობიექტი, გამოხატოს თავისი მოსაზრება მისი ნების საწინააღმდეგოდ; პატივისცემით განწყობილი; ბავშვზე მორგებული; ინკლუზიური, ბავშვის საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების მიერ წარმართული; უსაფრთხო და მგრძობიარე რისკების მიმართ; ბავშვის მიმართ ანგარიშვალდებულებული.<sup>172</sup>

საგულისხმოა, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია ბავშვის სასამართლო განხილვებში მონაწილეობას ასაკობრივ შეზღუდვებს არ უკავშირებს. ამდენად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია ბავშვის აზრის მოსმენა და მისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება, რა დროსაც შეიძლება ყურადღება დაეთმოს მის ასაკს. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-12 მუხლი მოითხოვს, რომ ბავშვის მოსმენის დროს გათვალისწინებულ იქნეს ასაკი და მოწიფულობა. ამკარაა, რომ მარტოდენ ასაკი არ მიიღება მხედველობაში. გაგების უნარი ერთმნიშვნელოვნად არ უკავშირდება ბავშვის ბიოლოგიურ ასაკს. კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაცია, გამოცდილება, კულტურული და სოციალური მოლოდინები, ბავშვის უნარების განვითარების ხელშეწყობის დონე ხელს უწყობს ბავშვის აზრის ფორმირებას. სწორედ ამიტომ ბავშვის მოსაზრებები ინდივიდუალურად უნდა იქნეს შეფასებული.<sup>173</sup> ცნებები ასაკი და სიმწიფე, ასევე გაგების საკმარისი უნარი უკავშირდება შეცნობის განსაზღვრულ დონეს, მაგრამ არ მოითხოვს ბავშვისაგან ყველა ასპექტის სრულყოფილ ცოდნას.<sup>174</sup> ბავშვებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რა მოხდება და რა მნიშვნელობა ექნება მის მოსაზრებას. მოსამართლემ ბავშვის მოსმენა არსებითი საფუძვლის გარეშე არ უნდა უარყოს. ამგვარ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როცა მოსმენის უარყოფა თავად ბავშვის საუკეთესო ინტერესშია.<sup>175</sup> ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილ იქნეს მისი მოსმენა, არ

---

<sup>170</sup> General Comment No. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, 22, <<https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/advanceversions/crc-c-gc-12.pdf>> [22.02.2023].

<sup>171</sup> General Comment No. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, 15, <<https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/advanceversions/crc-c-gc-12.pdf>> [22.02.2023].

<sup>172</sup> General Comment No. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, 134, <<https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/advanceversions/crc-c-gc-12.pdf>> [22.02.2023].

<sup>173</sup> General Comment no. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, 29, <<https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/advanceversions/crc-c-gc-12.pdf>> [22.02.2023].

<sup>174</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 108.

<sup>175</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 111.



---

უტოვებს წევრ სახელმწიფოებს მცირე დისკრეციასაც კი, არამედ მათ აკისრებთ ვალდებულებას, უზრუნველყონ ბავშვის მოსმენა და მისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება.<sup>176</sup> ბავშვს აქვს საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლება ყველა პრობლემის ან შემთხვევის თაობაზე, რომელიც მას ეხება. მას უნდა შეეძლოს ამის გაკეთება თავისი ასაკის მიუხედავად. ის უნდა გრძნობდეს თავს თავისუფლად, როცა ესაუბრება მოსამართლეს ან საჯარო მოხელეს. აღნიშნული მოსამართლისაგან შეიძლება მოითხოვდეს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ცალკეული ფორმალობების უფლებელყოფას, როგორცაა მაგალითად, ბავშვის მოსმენა სასამართლოს დარბაზში და სხვ.<sup>177</sup> ამასთან, ბავშვის მომწიფებასთან ერთად მის მოსაზრებებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ბავშვების მოსმენის მნიშვნელობასა და ჩართვის აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვები, რომელთაც აქვთ საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, საკმარისად უნდა იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უნდა მიეცეთ თავიანთი შეხედულების გამოხატვის უფლება.<sup>178</sup> ბავშვების მოსმენა და სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობა არ უნდა იყოს სიმბოლური, არამედ მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის შეხედულებების მოსმენას. ამ მიზნით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთან პირდაპირი კონტაქტის დამყარებას.<sup>179</sup>

ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დგინდება ყოველი ადამიანის, მათ შორის, ბავშვის უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება თავის თავში გულისხმობს სასამართლოსადმი როგორც უშულოდ, ისე არაპირდაპირ, წარმომადგენლის მეშვეობით მიმართვის უფლებას. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 72-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო პროცესი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო მულტიდისციპლინურ მიდგომას ახორციელებენ ბავშვის საკითხებზე

---

<sup>176</sup> General Comment No. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, 19, <<https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/advanceversions/crc-c-gc-12.pdf>> [22.02.2023].

<sup>177</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 112.

<sup>178</sup> „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2016), no. 71776/12, ECHR I-78.

<sup>179</sup> General comment no. 5 (2003): General measures of implementation of the Convention on the Rights of the Child, CRC/GC/2003/5, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2003, 5, <<https://www.refworld.org/docid/4538834f11.html>> [22.02.2023].

---

მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებს, მოწვეულ ექსპერტებს ან/და ორგანიზაციებს შორის ფორმალური თანამშრომლობის პროცედურით.

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის ჩართვა და მისი მოსაზრებების გათვალისწინება, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ შეეხება ბავშვის ქონებრივ ინტერესებს. მნიშვნელოვანია, ბავშვი ინფორმირებული იყოს იმ სამართალწარმოების შინაარსისა და შედეგების შესახებ, რომელიც მის ინტერესებს შეეხება და მიეცეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მშობლების ჩარევისაგან დამოუკიდებლად. აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოები საქმის განხილვის პროცესში არასრულწლოვნის ჩართვის სამართლებრივ საფუძვლად სწორედ ზემოთდასახელებულ ნორმებს მიუთითებენ და განმარტავენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი იქნება დავის საგანთან დაკავშირებით უშუალოდ ბავშვის შეხედულების მოსმენა.<sup>180</sup>

გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის ინტერესების დაცვისა და ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე მისი მოსაზრებების მოსმენის მხარდაჭერის მიზნით სასამართლო, გარდა უშუალოდ ბავშვის ჩართვისა, იყენებს სხვა ინსტრუმენტებს, კერძოდ, სააგენტოს ავალებს ბავშვის მოსმენის და მისი მოსაზრებების დეკლარირების ვალდებულებას. სწორედ ამიტომ ისმის კითხვა, სასამართლოს მიერ სააგენტოსათვის ბავშვის მოსმენის დავალების პრობლემაში წარმოიშობა თუ არა დამატებით ბავშვის საქმეში ჩართვის საჭიროება? სააგენტოსათვის ბავშვის მოსაზრებების დავალება ემსახურება ბავშვის მოსაზრების ნამდვილობაში დარწმუნებას, ვინაიდან ვიზიტი არასრულწლოვანთან ხორციელდება მრავალგზის, ოჯახურ გარემოში. აღნიშნული აძლევს ბავშვს შესაძლებლობას, ოჯახურ, არასტრესულ გარემოში სხვა პირის მანიპულაციის გარეშე გამოხატოს საკუთარი აზრი, სასამართლოს კი უმარტივეს ბავშვის მოსაზრების დადგენის პროცესს, რაც სრულ შესაბამისობაშია ბავშვის როგორც განსაკუთრებული ზრუნვის სუბიექტის მოწყვლად სტატუსთან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სააგენტოს შესაძლოა გამორჩეს ცალკეული გარემოებები, რომლებიც არსებით მნიშვნელობას იძენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამდენად, ამ შემთხვევაში ბავშვის საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირების ვარგის მექანიზმს წარმოადგენს თავად ბავშვის მოსაზრებების მოსმენა. სწორედ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე თითოეული გარემოების დადგენის მიზნით გააჩნია სასამართლოს მოქმედების ფართო არეალი და მექანიზმები.

სასამართლოს მიერ ბავშვის მოსმენისას სტრესული გარემოს თავიდან აცილების, საერთო სასამართლოების სისტემაში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვის პროცესის კოორდინაციის მიზნით ბავშვის უფლებათა კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტის დადგენის ვალდებულებას. ამ

---

<sup>180</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/3781-22.

---

ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №8 დადგენილებით დამტკიცდა „ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი“.<sup>181</sup>

## 5. ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის თავისებურებანი

### 5.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება

ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება წარმოადგენს საკვანძო ცნებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო სამართალში არსებობს სრული კონსენსუსი იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები უნდა იქნეს უპირატესად გათვალისწინებული.<sup>182</sup> ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების მიზანია როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობის, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარების უზრუნველყოფა.<sup>183</sup> ამდენად, სასამართლოს ევალება განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბავშვის ინტერესის შეფასებას, რომელმაც შეიძლება გადაწონოს მშობლის ინტერესებიც კი.<sup>184</sup>

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ბავშვების მიმართ ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას ბავშვის საუკეთესო

---

<sup>181</sup> სტანდარტი განისაზღვრა მოსამართლის მიერ შემდეგი ტრენინგების გავლის სავალდებულოა: ბავშვის უფლებათა კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო - ამ მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ბავშვის უფლებათა კოდექსის რეგულირების სფერო, მისი ძირითადი პრინციპები და მიზნები, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თვალსაზრისით დადგენილი სტანდარტები და ნორმები, ასევე საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო ბავშვის უფლებებთან მიმართებით;

ბავშვის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები - ამ მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ბავშვის მონაწილეობით ან მასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები;

ბავშვის ასაკობრივი თავისებურები - ამ მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ნებისმიერი ასაკისა და განვითარების ბავშვთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის თავისებურებები;

ფსიქოლოგის როლი ბავშვის მონაწილეობით და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში - ამ მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ფსიქოლოგის საქმიანობის ძირითადი სფეროები და მუშაობის ინსტრუმენტები, მათ შორის, ის სისტემური პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს საოჯახო დავებში ბავშვის ქცევაზე;

სოციალური მუშაკის როლი ბავშვის მონაწილეობით ან/და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში - ამ მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს სოციალური მუშაობა როგორც პროფესია და სოციალური მუშაკის საქმიანობის მიზანი და ძირითადი სფეროები, ის სამუშაო ინსტრუმენტები და შეფასების პრინციპები, რომელთაც ეყრდნობა სოციალური მუშაკი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას;

ბავშვის საჭიროებები და მშობლებთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები - ამ მოდულის მიზანია მოსამართლეების მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში ჩართული ბავშვის საჭიროებების, მშობლებთან და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული იმ ფაქტორების გააზრება, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის ქცევაზე და მის ემოციურ თუ ფიზიკურ კეთილდღეობაზე

<sup>182</sup> S.L. and J.L. v. Croatia (2015), no. 13712/11, ECHR I-62.

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1558-2022, პარ. 47.

<sup>184</sup> Elsholz v. Germany (2000), no. 25735/94, ECHR II-50.

ინტერესის უპირატესი გათვალისწინების პრინციპს როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში. ანალოგიურ დებულებას იმეორებს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს ბავშვის უფლებას, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მის საუკეთესო ინტერესებს მიენიჭოს. თავად ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება არის სამგანზომილებიანი და, მათ შორის, აერთიანებს *მატერიალურ უფლებას, კერძოდ, ბავშვის უფლებას, მისი ინტერესი შეფასდეს და უპირატესად იქნეს გათვალისწინებული; ფუნდამენტურ განმარტებით სამართლებრივ პრინციპს - ეროვნული კანონის ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭოს იმ განმარტებას, რომელიც ყველაზე ეფექტურად მოემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.*<sup>185</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნების დასახელებული ელემენტების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით სახელმწიფოებს ეკისრებათ საკანონმდებლო დონეზე ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უზრუნველყოფის ვალდებულება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას:

- *ბავშვის მოსაზრებებს და შეხედულებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა;*
- *ბავშვის ყველა სხვა უფლება, მაგალითად, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება უნდა იყოს დაცული;*
- *მსგავსი მიდგომა უნდა იქნეს დანერგული ყველა შესაბამისი ორგანოს მიერ, რათა მიღწეულ იქნეს ბავშვის სოციალური, ეკონომიკური ინტერესების დაცვა;*
- *იმ ორგანოს მიერ, რომელიც არის საბოლოოდ პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, უნდა იქნეს გამოყენებული მულტიდისციპლინური მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირების პროცესში.*<sup>186</sup>

ზოგადად, ბავშვის ინტერესთა კონცეფცია კომპლექსური, მოქნილი და ადაპტირებადი და მისი შემადგენელი ნაწილები უნდა განისაზღვროს თითოეული შემთხვევისათვის დამოუკიდებლად, ბავშვის სტატუსის, ცალკეული გარემოებებისა

<sup>185</sup> General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), CRC/C/GC/14, 6, <[https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc\\_c\\_gc\\_14\\_eng.pdf](https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc_c_gc_14_eng.pdf)> [23.02.2023].

<sup>186</sup> Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011, 18 <<https://rm.coe.int/16804b2cf3>> [23.02.2023]. შუად. სახელმწიფოს მსგავსი ვალდებულება დადგენილია ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის მე-5 ნაწილით, კერძოდ, სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესები განსაზღვრონ და მათი სავალდებულო შეფასება განახორციელონ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: ბავშვის აზრის მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება; ბავშვის ყველა სხვა უფლების დაცვა, მათ შორის, ღირსების დაცვის, თავისუფალი განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვისა და ბავშვებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა; მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასება და გათვალისწინება.

თუ საჭიროების მიხედვით. ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იქნეს დაცული ბავშვის ინტერესები კონკრეტული გარემოებების ფონზე.<sup>187</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესები ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განმარტებულია როგორც ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით. უშუალოდ ბავშვის ქონებრივ ინტერესთან დაკავშირებით აღსანიშნავია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტი ადგენს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას, დაცულ იქნეს ბავშვი ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ასევე აღიარებს ბავშვის საკუთრების უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილით დგინდება ბავშვის უფლება, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებად ცხადდება მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სსკ აღიარებს ბავშვის მატერიალურ უფლებას საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებაზე, მათ შორის, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ქონების განკარგვის ნაწილში.<sup>188</sup> ბავშვის ქონების განკარგვის ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობის დადგენა და მისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება წარმოადგენს ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის ამოსავალ პრინციპს, თუმცა საკითხავია, რა სირთულეები შეიძლება წარმოიშვას ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის პროცესში და როგორ უნდა გადაწყდეს მშობლის და ბავშვის ინტერესების ურთიერთმიმართების საკითხი.

## 5.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენა ქონების განკარგვისას

ბავშვის ქონების განკარგვის საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული საკუთრების როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლების მნიშვნელობა. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლის დაწესებით კანონმდებელი იცავს ბავშვის საკუთრების უფლებას. მის მიზანს წარმოადგენს მშობლის შეზღუდვა ბავშვის ინტერესით, რაც განპირობებულია როგორც კერძო, ისე

<sup>187</sup> „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“ (2015), no. 2361/13, ECHR II-32.

<sup>188</sup> სსკ-ის 183-ე და 186-ე მუხლების შესაბამისად, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი თუ 1000 ლარზე მეტი ღირებულების მობრავი ნივთების განკარგვა დასაშვებია მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ, **ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად**, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

---

საჯარო ინტერესით. საჯარო სამართლის პრიორიტეტია დაიცვას ნებისმიერი პირის საკუთრების უფლება. ამ დროს სახელმწიფოს აკისრია როგორც ნეგატიური (სახელმწიფოს ვალდებულება, თავი შეიკავოს საკუთრების უფლების დარღვევისგან), ისე პოზიტიური ვალდებულება (სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას საკუთრების უფლება მესამე პირთა მხრიდან შესაძლო დარღვევისაგან).<sup>189</sup> სწორედ ამ მიზნით კანონმდებლობა ქმნის სათანადო სამართლებრივ გარანტიებს, კერძოდ, არასრულწლოვნის ქონების განკარგვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობაში. ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესების ეფექტიანი დაცვისა და მისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების მიზნით სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება, სიღრმისეულად შეაფასონ მტკიცებულებები. თუმცა ისმის კითხვა, ბავშვის რა ინტერესის არსებობამ შეიძლება გაამართლოს ბავშვის ქონების განკარგვა ან ძირითადად, რა მტკიცებულებებს ეყრდნობა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ძირითად საფუძველს. აღნიშნული ინტერესის იდენტიფიცირება ხორციელდება ბავშვის მოსმენით. თუმცა ბავშვის სურვილი და მოსაზრება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ მისი გათვალისწინება მისსავე ობიექტურ ინტერესებს ეწინააღმდეგება, კერძოდ, მისი გათვალისწინება დააზიანებს ბავშვის უპირატეს ინტერესს ან მნიშვნელოვნად გააუარესებს მის ზოგად საცხოვრებელ თუ ყოფით პირობებს. ამასთან, ბავშვის სურვილების უპირატესად გაითვალისწინება იმგვარი ნების არსებობისას, რომელიც წარმოადგენს ბავშვის თვითგამორკვევის უფლების შედეგს და არა უბრალო მიზანშეწონილობის მოსაზრებას. ბავშვის მოსაზრებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბავშვის მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივი ცოდნის ფაქტი, ასევე ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეები.<sup>190</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას სასამართლო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ამ დროს მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება შეზღუდულ სამართლებრივ კონტროლს. ძირითადად შემოწმებას ექვემდებარება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები და კანონის შესაბამისად მისი გამოყენების ფაქტი.<sup>191</sup> დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება უნდა იყოს თავსებადი ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის მიზანთან. ამ მოტივით მოსამართლემ:

---

<sup>189</sup> შეად. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-669-630-2011.

<sup>190</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასების მიმართ მსგავსი მიდგომა განვითარებულია: BGH 22.07.2009, Az. XII ZR 77/06.

<sup>191</sup> BGH Urt. v. 23.05.1990 – XII ZR 117/89.



|   |
|---|
| <p>➤ უნდა მოახდინოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის ჩართვა მაგ., ქონების შეფასების მიზნით;</p>   |
| <p>➤ წმინდა მატერიალურ ინტერესებთან ერთად ასევე უნდა გაითვალისწინოს ბავშვის იდეალური ინტერესები. ამასთან, მოითხოვება ერთგვარი ბალანსის დადგენა იდეალურ ინტერესებსა და ეკონომიკურად არასასარგებლო გარიგებას შორის;</p> |
| <p>➤ უნდა შეაფასოს ფინანსური სირთულეები და რისკები, რაც გარიგების დადებას მოჰყვება.<sup>192</sup></p>   |

საერთო სასამართლოები ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობას ძირითადად ასაბუთებენ შემდეგი ინტერესებით:

- **სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება**

ერთ-ერთ საქმეზე, განმცხადებელი ითხოვდა ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებაზე თანხმობის გაცემას, რათა მოეხდინა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და შედეგად, არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან გათავისუფლება. სააგენტოს დასკვნის შესაბამისად, არ იკვეთებოდა განმცხადებლის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ არასრულწლოვნის ინტერესების უგულბელოყოფის ფაქტი და არ დგინდებოდა განკარგვის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სასამართლოს განმარტებით, ბავშვის ქონების რეალიზაციის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ბავშვის კანონით დაცული უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვა. ქონების გასხვისებით აცილებული უნდა იქნეს ყოველგვარი რისკი, რაც სამომავლოდ უარყოფითად აისახება ბავშვის კეთილდღეობასა და მის უსაფრთხო, კეთილსაიმედო გარემოში ცხოვრებაზე. ბავშვის უფლებების დაცვა და მხოლოდ მის ინტერესში მოქმედება მშობლის უზენაეს მოვალეობას წარმოადგენს. ბავშვის ქონების არამიზნობრივი სარგებლობა სახეზეა მაშინ, როცა აღნიშნული იწვევს ქონების შემცირებას ან მის სრულ მოსპობას. სასამართლომ წარმოდგენილ შემთხვევაში მიიჩნია, რომ ქონების განკარგვა ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რადგან ამგვარი განკარგვა იწვევდა ოჯახის (სადაც ბავშვები ცხოვრობდნენ) ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამდენად,

<sup>192</sup> BGH, Urt. v. 22.05.1986 – III ZR 237/84



---

მან გასცა ნებართვა უძრავი ქონების განკარგვაზე.<sup>193</sup> სხვა ანალოგიურ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ გასხვისება ემსახურებოდა ქონების შენარჩუნებას. კერძოდ, არასრულწლოვნის ქონებრივი მდგომარეობა არ იყო მყარი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ უძრავ ქონებაზე არასრულწლოვნის საკუთრების შენარჩუნება იყო საბანკო ვალდებულების შესრულების პირდაპირპროპორციული. ორი საცხოვრებელი ბინიდან ნაკლები ფართის მქონე საცხოვრებელი ბინის გასხვისებით მოხდებოდა შესასრულებელი ვალდებულების მოცულობის მინიმალიზაცია, შედეგად, შემცირდებოდა არა მხოლოდ შესასრულებელი ვალდებულების მთლიანი მოცულობა, არამედ ყოველთვის უფრო დადასაბუთებული თანხის ოდენობაც, რაც განმცხადებლისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენდა. საბოლოოდ, გაუმჯობესდებოდა მშობლის ფინანსური მდგომარეობა, რაც თავისთავად გამოიწვევდა დაზოგილი თანხების ბავშვის განათლებაში ინვესტირებას, ასევე ყოველდღიური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.<sup>194</sup>

➤ ***განათლების მიღებისა და უკეთესი მომავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა***

ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა უძრავი ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემას, რათა უზრუნველყო ბავშვები სათანადო განათლებით (დამატებითი მომზადება პედაგოგებთან, ასევე სპორტულ წრეებზე სიარული), ასევე შეეძინა სხვა უძრავი ქონება, რომელიც უკეთ გაქირავდებოდა, აღერიცხა ის ბავშვების საკუთრებად და მიეღო დამატებითი შემოსავალი. სააგენტო დაეთანხმა განმცხადებლის მოთხოვნას და დამატებით მიუთითა, რომ ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხა ნამდვილად ემსახურებოდა არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვას, მათთვის ფიზიკური, მატერიალური და ფინანსური კეთილდღეობის შექმნასა და განვითარებას.

სასამართლომ განმარტა, რომ ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის ამგვარი გაუმჯობესება არ წარმოადგენდა ბავშვის ინტერესებისათვის საზიანო შედეგების მომტანს. ამასთან, ბავშვებს არ ემუქრებოდათ საცხოვრებლის გარეშე დარჩენის საფრთხე, ხოლო შეძენილი ქონების გაქირავების შედეგად მიღებული სარგებელი სრულად მოხმარდებოდა არასრულწლოვანი ბავშვების საჭიროებებს (კვება, სწავლა, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა, დასვენება და ა.შ.).<sup>195</sup>

---

<sup>193</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/8837-21.

<sup>194</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24519-21.

<sup>195</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/7744-21; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/700-21.

---

➤ **ახალი ბინის შექმნის გზით ბავშვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება**

ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა უძრავი ქონების გასხვისებაზე თანხმობის გაცემას, რათა შეეძინა ახალი ბინა, რომელიც გააუმჯობესებდა ბავშვის საცხოვრებელ პირობებს. ამასთან, ის უძრავი ქონება, რომლის შექმენასაც განმცხადებელი აპირებდა, უფრო ახლოს იყო სკოლასთან. სააგენტომ ამგვარი განკარგვა მიიჩნია ბავშვის სამომავლო კეთილდღეობის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ქმედებად, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესს შეესაბამებოდა.

სასამართლოს განმარტებით, ბავშვის ინტერესებშია ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი მოხმარდებოდა ბავშვის კეთილდღეობას, მის ნორმალურ განვითარებას, კომფორტული გარემოს შექმნას. ამასთან, ბავშვი არ რჩებოდა საცხოვრებლის გარეშე. უძრავი ქონების ნასყიდობის საფასური სრულად შეესაბამებოდა ქვეყანაში არსებულ მსგავსი მახასიათებლების მქონე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას. ყოველივე აღნიშნული კი გამოიციხავდა ბავშვის ინტერესების საზიანო ქმედებას. ამდენად, სასამართლომ უძრავი ქონების განკარგვა მიიჩნია ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადად.<sup>196</sup>

სასამართლო თანხმობის დასაბუთების განსხვავებული სტანდარტია დადგენილი მოძრავი ქონების განკარგვის შემთხვევაში. ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა ანაზრის (სრული მოცულობა - 450 აშშ დოლარი) გაუქმებაზე სასამართლო თანხმობის გაცემას. მოთხოვნის დასაბუთების მიზნით მიუთითებდა, რომ ანაზარზე შესატანი თანხის თვიური მოცულობა შეადგენდა 10 აშშ დოლარს, რაც განმცხადებელს მძიმე ტვირთად აწევბოდა, ვინაიდან ის შემოსავლის 60%-ს სესხის დასაფარად იყენებდა. ანაზრის პირობების გამო ამ უკანასკნელმა დაკარგა ინტერესი და სურდა მისი გაუქმება. სააგენტოს განმარტებით, არასრულწლოვანი ცხოვრობდა კეთილსაიმედო გარემოში და მისი საჭიროებები იყო ყოველმხრივ დაკმაყოფილებული როგორც ფინანსური, ისე მატერიალური კუთხით. სწორედ ამიტომ ორგანო არ იყო წინააღმდეგი არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ანაზრის განკარგვის ნებართვის გაცემაზე. სასამართლომ გაითვალისწინა სააგენტოს დასკვნა და მიიჩნია, რომ ვინაიდან ანაზარზე ყოველთვიური თანხის შეტანის განხორციელება იყო შეწყვეტილი, ანაზარზე განთავსებული თანხის განკარგვა ვერ

---

<sup>196</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/22931-20; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1593-21. სხვა საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემას, რათა მოეხდინა იმ ქონების გარემონტება, რომელშიც შვილებთან ერთად ცხოვრობდა და არ იყო საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში. სასამართლომ ნება დართო განეკარგა ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასარემონტებელი სახლი აღირიცხებოდა ბავშვის საკუთრებად - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/29606-21.

---

მოახდენდა გავლენას არასრულწლოვნის ქონებრივ მდგომარეობაზე, თუმცა გავლენას იქონიებდა მის ინტერესებზე. ამ მოტივით დააკმაყოფილა მოთხოვნა.<sup>197</sup>

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზიდან დგინდება, რომ სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესში ძირითადად ითვალისწინებს ბავშვის ინტერესს - მიიღოს სრულფასოვანი განათლება, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ინტეგრაციას; ჰქონდეს სათანადო საცხოვრებელი პირობები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ბავშვის პიროვნულ განვითარებას; უზრუნველყოფილ იქნეს ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის ინტეგრალური ინტერესის დაცვას.<sup>198</sup>

ბავშვის რჩენისა და მისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნის საფუძვლით ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის მოთხოვნისას წარმოიშობა კონკურენცია ბავშვის ინტერესებსა და მშობლის ვალდებულებას (არჩინოს არასრულწლოვანი შვილი) შორის. სსკ-ის 1212-ე მუხლის შესაბამისად, მშობლებს ეკისრებათ ვალდებულება, არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, ასევე შრომისუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ასევე დამატებით მშობლებს ევალებათ ბავშვის განათლებასა თუ ჯანმრთელობაზე ზრუნვის, მისი ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება.<sup>199</sup> დასახელებული მიზნით ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემა შესაძლოა შეუსაბამო იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესთან, ვინაიდან შვილების შესაბამისი ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფის ვალდებულებას ატარებს მშობელი და არა თავად ბავშვი.<sup>200</sup> სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბავშვის ქონების განკარგვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ქონებრივ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მოითხოვება სასამართლოს მიერ

---

<sup>197</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24593-21.

<sup>198</sup> თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/478-20.

<sup>199</sup> OLG Brandenburg I. Senat für Familiensachen v. 23.07.2021 - 9 WF 179/21 დასახელებული საქმეში, რომლითაც მშობლებმა ბავშვის ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით განახორციელეს ბავშვის ოთახის მოწყობა და საჩუქრების შეძება, სასამართლომ განმარტა, რომ მშობლები ვალდებული არიან უზრუნველყონ თავიანთი შვილები შესაბამისი ცხოვრების პირობებით. დასახელებულ ტვირთს ატარებს მშობელი და არა თავად ბავშვი. ეს მოქმედებს როგორც ბავშვის ოთახის მოწყობის, ისე საჩუქრების შეძენისა და მოგზაურობის დაფინანსების მიმართ. დასახელებული საფუძვლებიდან გამომდინარე სასამართლომ მშობლებს დააკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

<sup>200</sup> OLG Bremen v. 03.12.2014 - 4 UF 112/14, აღნიშნული საქმე შეეხებოდა მამის მიერ ბავშვის სახელზე გახსნილი ანაზღაურების განკარგვას, სადაც თანხის შეტანას შესაძლოა პირები (მეზია-ბაბუა) ახორციელებდნენ. მამამ აღნიშნული თანხის ნაწილი გამოიტანა და იყიდა საჩუქრები შვილებისთვის, კერძოდ, ბავშვების ოთახისთვის ავეჯი, ხოლო ნაწილით დააფინანსა ბავშვის მგზავრობის ხარჯები. ბავშვებმა მოითხოვეს მამისგან ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ მიუთითა, რომ მშობლები ვალდებული არიან უზრუნველყონ შვილები შესაბამისი ცხოვრების პირობებით, აღნიშნულ ვალდებულებას ატარებს მშობელი და არა თავად ბავშვები. აღნიშნული წესი მოქმედებს როგორც ბავშვისათვის საჩუქრების შეძენის, ისე ოთახის ავეჯის და მგზავრობის ხარჯების დაფინანსების მიმართ. ამასთან, ამ საქმეში სასამართლომ გამოიკვლია, არსებობდა თუ არა მშობელთა შეთანხმება გამოტანილი თანხების გამოყენების მიზნობრიობის თაობაზე. სასამართლომ ამ საკითხზე სამართლიანად მიუთითა, რომ ბავშვის დედის თანხმობა მოპასუხის ქმედების მართლწინააღმდეგობას არ შეეცლიდა. მშობელთა სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში განმცხადებელი შეიძლება, 1664 2 421 პარაგრაფის შესაბამისად, იმით შეზღუდულიყო, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ბავშვის მამის მიმართ წარედგინა.

---

მსგავსი მოთხოვნის განხილვისას დადგინდეს მშობელთა მიერ რჩენის ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თუ შეუსრულებლობის ფაქტი. მშობლის რჩენის ვალდებულების სფეროს მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით ქონების განკარგვაზე სასამართლო ნებართვა უნდა გაიცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დარწმუნდება რჩენის ვალდებულების შესრულების მიზნით მშობელთა ძალისხმევის გაწევაში. ამ პროცესში სააგენტოს როლი და მნიშვნელობა შეუცვლელია.

სასამართლოს მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას მიდგომა არ უნდა იყოს ფორმალური. აღნიშნულმა შეიძლება დააზიანოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის მიზანი. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ სასამართლო ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის პროცესში ძირითადად ეყრდნობა სააგენტოს დასკვნას, შესაბამისად, ახდენს პასუხისმგებლობის ერთგვარ განაწილებას. კანონმდებლობით ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის აბსოლუტური პრივილეგია სასამართლოს აქვს მინიჭებული და ხსენებული პრივილეგია (დისკრეცია) უნდა იქნეს გამოყენებული კანონმდებლობით დადგენილი მიზნის შესაბამისად, განსაკუთრებული სიფრთხილით, გონივრულად, და კეთილსინდისიერად. სასამართლომ უნდა შეამოწმოს არის თუ არა ადგილობრივი ორგანოების მიერ მოყვანილი არგუმენტაცია საკმარისი და რელევანტური.<sup>201</sup> სასამართლოს მიერ ბავშვის ინტერესის დადგენის ფორმალურმა მიდგომამ შესაძლოა წარმოშვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად. სასამართლოებმა უნდა შეაფასოს რეალური სიტუაცია, რაც მოითხოვს განსხვავებული საკითხების სრულყოფილ შემოწმებას. აღნიშნული შეიძლება საჭიროებდეს არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების ანალიზს (როცა მდგომარეობა უთანაბრდება საკუთრების ჩამორთმევას), არამედ ასევე სახელმწიფოს ნაბიჯების შემოწმებას პროცესის მონაწილე სუბიექტთა მიმართ.<sup>202</sup> ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარიგების უარყოფითი გავლენა ბავშვის უფლებებზე, ოჯახური მდგომარეობა, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი უფლებების არსებობა, როგორცაა გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი. სასამართლოები არიან ვალდებულნი გამოიყენონ სამართალწარმოების წესები, რომლებიც ბავშვს სავალდებულო პროცესუალურ გარანტიებს სთავაზობს და სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას, ყველა შემთხვევა სამართლიანად და ეფექტურად გადაწყვიტონ.<sup>203</sup>

---

<sup>201</sup> ერთ-ერთ საკმეზე, რომელიც შეეხებოდა ოჯახის გაყოფისას ბავშვის ინტერესების დაცვის საკითხს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების აღნიშნული კრიტერიუმები იქნა დადგენილი, *ob. Vogt v. Germany* (1995), no. 17851/91, ECHR II-52.

<sup>202</sup> *Bistrovic v. Croatia* (2007), no. 25774/05, ECHR II-35.

<sup>203</sup> *S.L. and J.L. v. Croatia* (2015), no. 13712/11, ECHR I-61. წარმოდგენილ საკმეში მომჩივნების მითითებით ხორვატიის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სოციალური ცენტრის მემწეობით ბავშვის ინტერესების სათანადოდ დაცვა, რაც გამოიხატა გასაცვლელ ქონებებს შორის ფასთა აშკარა დისპროპორციით. დავის საკვანძო საკითხს წარმოადგენდა, იქნა თუ არა ხელშეკრულების შეფასებისას გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. სასამართლომ

---

## 6. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით არსებული ინსტრუმენტები

### 6.1. ნებართვის გაცემა კონკრეტული პირობით

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით საერთო სასამართლოები იყენებენ იმგვარ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ არის კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული, თუმცა თავსებადია ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებთან. ერთ-ერთ ამგვარ მექანიზმს წარმოადგენს ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემა კონკრეტული პირობით. გასათვალისწინებელია, რომ პირობების შინაარსთან დაკავშირებით არ არის ჩამოყალიბებული სასამართლოების ერთიანი მიდგომა. ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოები ნებას რთავენ განმცხადებლებს მოახდინონ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია მხოლოდ იმ პირობით, რომ მიღებული თანხით მოხდება, მაგალითად, იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება (იპოთეკის ხელშეკრულების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითების გარეშე) და სწავლის საფასურის გადახდა (კონკრეტული თანხისა და სასწავლო დაწესებულების მითითების გარეშე),<sup>204</sup> სხვა შემთხვევაში, სასამართლოები პირდაპირ მიუთითებენ უძრავი ნივთის გასხვისების შემდეგ მიღებული ნასყიდობის საფასურით არასრულწლოვანი შვილის სწავლის საფასურის (კონკრეტული სასწავლო დაწესებულების მითითებით) დაფარვაზე.<sup>205</sup> ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოები სარეზოლუციო ნაწილში ზოგადად მიუთითებენ განკარგვის შედეგად მიღებული თანხის ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენების თაობაზე.<sup>206</sup>

სარეზოლუციო ნაწილში ზოგადი მითითება, ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ბავშვის ინტერესების შესაბამისად გამოყენების თაობაზე, საკმაოდ ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები უნდა შეიცავდეს დეტალურ მითითებას გასხვისების შედეგად მიღებული სარგებლის გამოყენების მიზნობრიობაზე, პრაქტიკაში ხშირია სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბების შემთხვევები. ამ დროს არსებითად რთულდება სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ ზოგად ჩანაწერზე მონიტორინგის განხორციელება. ზოგადად, სარეზოლუციო ნაწილი უნდა იყოს იმ ფორმით ჩამოყალიბებული, რომ ერთმნიშვნელოვნად დგინდებოდეს მხარისათვის მინიჭებული უფლების შინაარსი, ფარგლები, რეალიზაციის წესი და პირობები. აღნიშნული ამარტივებს გადაწყვეტილებით

---

დაადგინა ხელშეკრულების გასაჩივრების ეფექტური შესაძლებლობის არარსებობის, ასევე სახელმწიფოს მიერ არასაკმარისი ღონისძიების გატარების ფაქტები.

<sup>204</sup> მაგ., იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/8837-21.

<sup>205</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/17249-21.

<sup>206</sup> თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/246-22.

---

დადგენილ ფარგლებში მისი აღსრულების პროცესს,<sup>207</sup> სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება მიმართულია სწორედ გადაწყვეტილების მცდარი აღსრულებით მხარეთა უფლებების დარღვევის თავიდან აცილებისაკენ.<sup>208</sup> გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც შეიცავს მხოლოდ ზოგად მითითებას ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, არ წარმოადგენს ბავშვის ინტერესების დაცვის ეფექტიან მექანიზმს. სარეზოლუციო ნაწილში განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დახარჯვის მიზნობრიობაზე მითითება, ერთი მხრივ, გაამარტივებს გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლს, ხოლო, მეორე მხრივ, მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენის შემთხვევებში (ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებლის ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება) მხარეს შეუმსუბუქებს ქონებრივი ზიანის არსებობის მტკიცების ტვირთს. ამდენად, მიზანშეწონილია იმ საქმეებში, სადაც ეს შესაძლებელია, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითდეს განკარგვის შედეგად მიღებული თანხის მიზნობრიობა და ამ მხრივ გაზიარებულ იქნეს სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკა.

ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოები ცალკეულ შემთხვევაში მიუთითებენ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების კონკრეტულ მყიდველზე გასხვისების,<sup>209</sup> ასევე უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად დადების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს.<sup>210</sup> ამ შემთხვევაში ბავშვის ქონებრივი ინტერესის დაცვის მიზანი მიიღწევა სამომავლოდ დასადები გარიგების შინაარსის სასამართლოს მიერ შეფასების, მათ შორის, ნასყიდობის ფასის საბაზრო ფასთან შესაბამისობის დადგენის გზით. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა მშობელს ართმევს შემდგომში ქონების საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად რეალიზაციის შესაძლებლობას. სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული მსგავსი პირობა უნდა იყოს მხოლოდ ხასიათის როგორც უძრავი, ისე რეგისტრაციასავალდებულო მოძრავი ნივთების განკარგვის შემთხვევებში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის. დასახელებულმა ორგანოებმა რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა უარყონ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში დასახელებული სუბიექტი არ წარმოადგენს სარეგისტრაციოდ წარდგენილ

---

<sup>207</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-20-20-2016, პარ. 1.3.

<sup>208</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-905-გან-2-2013.

<sup>209</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/393-22.

<sup>210</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/25129-21.



---

ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულ მყიდველს ან არ არის შესრულებული სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<sup>211</sup>

ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმების საილუსტრაციოდ გამოდგება რამდენიმე საქმის განხილვა, რომლებიც თავისი შინაარსით პირობითი ხასიათისაა, რაც ვლინდება იმაში, რომ განმცხადებელს ეძლევა უფლება, მოახდინოს საკუთრების უფლების გასხვისება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდეგ.

- ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ ნება დართო განმცხადებელს განეკარგა ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონება მხოლოდ მას შემდეგ, რაც არასრულწლოვნის სახელზე იგივე წილობრივი მონაცემებით აღირიცხებოდა ბებიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (კონკრეტული მახასიათებლების მითითებით).<sup>212</sup> საგულისხმოა, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში თავდაპირველად ბებია მოახდინა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე არასრულწლოვან შვილიშვილებზე საკუთრების უფლების გადაცემა,<sup>213</sup> ხოლო შემდეგ - განმცხადებელმა ბავშვის ქონების გასხვისება.<sup>214</sup> მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული პირობების შესრულებისა, რეგისტრაციის შესახებ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას იმაზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მოახდინა თუ არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული პირობების შემოწმება. ამდენად ბუნდოვანია, ეკისრება თუ არა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების შემოწმების და მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილების შემდეგ უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება?<sup>215</sup>

---

<sup>211</sup> BGH Beschluss 11.03.2021 v. ZB 127/19, რომლითაც განმარტებულია, რომ საჯარო რეესტრის სამსახურს ეკისრება არა მხოლოდ ფორმალური რეგისტრაციის წინაპირობების გათვალისწინების, არამედ ასევე საჯარო რეესტრის სისწორის დაცვის და ამის გამო იმ რეგისტრაციის განხორციელებაზე უარის თქმის ვალდებულება, რომლის მდგარობა მისთვის ცნობილია. ორგანოსადმი პროტესტი დასაბუთებულია მაშინ, როცა საჯარო რეესტრის სამსახურმა რეგისტრაცია განახორციელა კანონის ნორმების დარღვევით, რის გამოც რეესტრის ჩანაწერები გახდა მდგარი.

<sup>212</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/29606-21.

<sup>213</sup> სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 22 მარტის №882022179610-03 გადაწყვეტილება.

<sup>214</sup> სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 4 აპრილის №882022210731-03 გადაწყვეტილება.

<sup>215</sup> იხ. Senat, Beschluss v. 28.04.1961 - [V ZB 17/60](#), უნდა იქნეს გაზიარებული მიდგომა, რომლითაც განიმარტა შემდეგი: რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა. ის უნდა იქნეს გაცხადებული საჯარო რეესტრის სამსახურის მიმართ. შემოწმების შედეგად არ უნდა იქნეს სრულად უგულებელყოფილი მატერიალური უფლება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეესტრისათვის ცნობილია, რომ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება გამოიწვევს საჯარო რეესტრის მონაცემების სიმცდარეს, რეესტრმა უნდა უარყოს რეგისტრაცია. რეესტრის ცოდნა უნდა დაეყრდნოს დადასტურებულ ფაქტებს. თუ გაჩნდა საკვანძო გარემოებების საფუძველზე ეჭვი რეგისტრაციის წინაპირობების არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს არა მხოლოდ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტებიდან, არამედ სხვაგვარად გახდა ცნობილი ან შეიძლება დაეფუძნოს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, საჯარო რეესტრის სამსახური ხდება უფლებამოსილი და ვალდებული

- 
- სხვა საქმეზე სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ ბავშვის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ნივთის გასხვისება უნდა განხორციელდებულყო 2021 წლის 8 ივლისის ბეს მიცემის ხელშეკრულების საფუძველზე (ხელშეკრულება ერთვოდა გადაწყვეტილებას და წარმოადგენდა მის შემადგენელ ნაწილს). ამასთან, მხარეებს განესაზღვრათ ვადა ქონების განკარგვისათვის, რომელიც შეადგენდა გადაწყვეტილების გამოტანიდან 14 დღეს. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა უძრავი ნივთის გასხვისების შემდეგ მიღებული ნასყიდობის საფასურის განკარგვის მიზნობრიობა, კერძოდ, 9000 აშშ დოლარის გამოყენება არასრულწლოვანი შვილის სწავლის საფასურის (კონკრეტული სასწავლო დაწესებულების მითითებით) დაფარვის მიზნით.<sup>216</sup> საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც მოხდა სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულ პირზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება შეიცავდა ზოგად, ბლანკეტურ მითითებას „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე სხვა რაიმე არსებითი მსჯელობის გარეშე.<sup>217</sup> საკითხავია, თუ დაარღვევდა პირი სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადას ან გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირზე არ მოახდენდა რეგისტრაციას, გამოიწვევდა თუ არა აღნიშნული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციის უარყოფას.<sup>218</sup>
  - ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ ნება დართო განმცხადებელს განეკარგა არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ნასყიდობის ხელშეკრულებით მიღებული თანხით გადაიხდიდა უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას.<sup>219</sup> საგულისხმოა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნას განმცხადებელმა დაურთო მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები, თუმცა არ ყოფილა წარდგენილი იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების

---

შეკავსუბოს. შესაბამისად, მისი ამოცანა საჯარო რეესტრის მონაცემები შეინარჩუნოს ნამდვილი სამართლებრივი მდგომარეობით შესაძლებლობის ფარგლებში და ამით მონაცემების მცდარობა თავიდან აიცილოს.

<sup>216</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/17249-21.

<sup>217</sup> სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 ოქტომბრის №882021898644-03 გადაწყვეტილება.

<sup>218</sup> Senat, Beschluss v. 30.09.2010 - V ZB 206/10 უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, შობლის როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების მიზნით სასამართლო თანხმობის გაცემისას მხოლოდ ვალდებულებითი გარიგების ნაკლი, რომელიც ასევე სანივთო გარიგებას უკავშირდება, უნდა იქნეს გათვალისწინებული საჯარო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებულ პროცესში.

<sup>219</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/4519-21.

---

---

შესრულების, მათ შორის, ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.<sup>220</sup> საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ამონაწერით დგინდება, რომ მეორე ქონება, რომლის უფლებრივი ტვირთისაგან გათავისუფლების მიზნითაც მოხდა თანხმობის გაცემა, კვლავ უფლებრივად ნაკლიანია, კერძოდ, მასზე იპოთეკა არის რეგისტრირებული. ამდენად, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ რეესტრმა არ მოახდინა სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების ანალიზი, დაიცვა მარტოდენ სსკ-ის 183-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნა - სასამართლო ნებართვის არსებობის შესახებ, გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინების გარეშე.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიზანშეწონილია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაადგინოს გადაწყვეტილებაში მითითებული პირობის შესრულების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება.<sup>221</sup>

საგულისხმოა, რომ ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის ეფექტურ მექანიზმად ცალკეულ სასამართლოთა მიერ დგინდება ქონების რეალიზაციის მოქმედების ვადის განსაზღვრა. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ უძრავი ქონების რეალიზაციის მოქმედების ვადად დაადგინა 1 წელი,<sup>222</sup> სხვა შემთხვევაში, ამგვარ ვადად განისაზღვრა კონკრეტული თარიღი, 2022 წლის 22 სექტემბრამდე პერიოდი.<sup>223</sup> რეალიზაციის ვადა ცალკეულ შემთხვევაში დგინდება როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების მიმართ. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის ვადად განსაზღვრა - ერთი წელი და ექვსი თვე.<sup>224</sup> ამგვარი ვადის არსებობა განმცხადებელს ანიჭებს დროის კონკრეტულ პერიოდში ქონების განკარგვის უფლებას. ვადის განსაზღვრას აქვს რაციონალური და გონივრული დასაბუთება. ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება არსებითად შეიცვალოს საქმის გარემოებები, ბავშვის ინტერესები, ქონების საბაზრო ღირებულება, ბავშვის სოციალური მოთხოვნილებები თუ ეკონომიკური მდგომარეობა. შეცვლილმა გარემოებებმა შეიძლება წარმოშვას სასამართლოს მიერ ბავშვის ჭეშმარიტი

---

<sup>220</sup> სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 19 ნოემბრის №882021972669-03 გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაშიც დასაბუთება ერთგვაროვანია, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

<sup>221</sup> BGH, Beschluss v. 16.2.2012 – V ZB 204/11. კანონის მოთხოვნები დარღვეულია, როცა რეგისტრაციისას მგდარად ხდება მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენება საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ ობიექტური ვალდებულების დარღვევის გამო. არის თუ არა კანონი დარღვეული, უნდა შეფასდეს საჯარო რეესტრის სამსახურის თვალსაწიერიდან და მის მიერ გამოსაყენებელი სამართლის ნორმებიდან.

<sup>222</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/13530-21.

<sup>223</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/18112-21.

<sup>224</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/4976-21.

---

ინტერესების განსხვავებულად შეფასებისა და სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესის დაცვას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მათ შორის შეცვლილი გარემოებების მხედველობაში მიღებით.

საკითხავია, რა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს სასამართლოს მიერ განსაზღვრული რეალიზაციის მოქმედების ვადის გასვლა? ვადის გასვლამ ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს განმცხადებლისათვის მინიჭებული უფლების დაკარგვა, რაც მნიშვნელოვან საპროცესო-სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება, კერძოდ, განმცხადებელი დაკარგავს იმავე მოთხოვნით სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვის შესაძლებლობას.<sup>225</sup> მსგავსი სამართლებრივი შედეგი ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს თავსებადი ბავშვის საუკეთესო ინტერესთან. ის არგუმენტი, რომ პირისათვის მინიჭებული უფლების გამოყენება თავად ამ პირის შეხედულებაზეა დამოკიდებული და ამ უფლების გამოყენებლობის სამართლებრივი შედეგებიც ამ უკანასკნელს აწევს, არ გამოდგება არგუმენტად, რადგან ამოსავალი პრინციპი - ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაა. შესაბამისად, მიზანშეწონილია საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება იმგვარად, რომ სასამართლომ, ერთი მხრივ, განსაზღვროს გონივრული ვადა უფლების რეალიზაციისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უფლების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა არ ართმევდეს მხარეს იმავე მოთხოვნით სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის შესაძლებლობას.

## **6.2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელების წესი**

ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება თავად გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების ზედმიწევნით დაცვით წარმოადგენს ბავშვის ფინანსური ინტერესების დაცვის კუთხით არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკები ასევე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ქონების განკარგვის შედეგად მიღებულ თანხას განკარგავს არა იმ მიზნით, რაც განცხადებაში იქნა მითითებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული, არამედ ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მსგავს შემთხვევაში შეიძლება საფრთხე შეექმნას სამართლიანი განხილვის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა

---

<sup>225</sup> სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად ითვალისწინებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ან განჩინების არსებობას, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

---

შესაძლებელს გახდოდა, ძალაში შესული გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.<sup>226</sup>

სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათი არ ვლინდება მარტოოდენ სამართალწარმოების პროცედურების დასრულებაში, არამედ მიღებული გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს დარღვეული უფლების დაცვის ეფექტიან მექანიზმს და მიღებული სიკეთე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართალწარმოების მონაწილეთათვის. სხვაგვარად სამართალწარმოების მიზნების მიღწევა არსებითად გართულდება. აქედან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტის პროცესში არსებით მნიშვნელობას იძენს დადგინდეს არა მხოლოდ უფლების საკითხი, არამედ მისი შემდგომი აღსრულების მექანიზმები.<sup>227</sup> ხაზგასასმელია, რომ როცა საუბარია გადაწყვეტილების შესრულებაზე, ის მოიცავს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლების ჯეროვნად და სათანადოდ გათვალისწინებასა და დაცვას.<sup>228</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ ქონების განკარგვის ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობის დადგენით, რა დროსაც მხედველობაში იღებს ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის განკარგვის მიზნობრიობას. საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს მშობლის მიერ გადაწყვეტილების კეთილსინდისიერად შესრულების საკითხი. საგულისხმოა, რომ ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი არსებითად განსხვავდება სხვა საქმეებისაგან, კერძოდ, ამ შემთხვევის მიმართ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები არ გამოიყენება. სასამართლოს მიერ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაცია ამ უკანასკნელის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მსგავს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება მეტად ჰგავს მორიგების აქტის აღსრულების მექანიზმს. მორიგების აქტის აღსრულების სიმარტივე იმაში ვლინდება, რომ არ მოითხოვება სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რადგან სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცება ფაქტობრივად წარმოადგენს ხელშეკრულებას მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით. ხელშეკრულების პირობების დაცვა ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპს. მორიგებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების გარანტიას კი ის გარემოება წარმოადგენს, რომ სასამართლო განჩინებაში სრულყოფილად აისახება

---

<sup>226</sup> შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ (2005), no. 28537/02, ECHR II-42.

<sup>227</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-196-2019, პარ. 1.3.

<sup>228</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-ას-92-2022.

---

მორიგებით შეთანხმებული პირობები იმ ვადის აღნიშვნით, რა დროშიც უნდა შესრულდეს ვალდებულება.<sup>229</sup> ამ შემთხვევაშიც მშობელს მოეთხოვება ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემისას სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების დაცვა. თუმცა დამატებით განსახილველი საქმის სპეციფიკის (უშუალოდ ბავშვის ქონებრივი ინტერესის ხელყოფის საფრთხე) გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არსებობდეს მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის სათანადო მექანიზმები.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საწყის ეტაპზე საერთო სასამართლოების მიერ ამგვარ ინსტრუმენტად მიჩნეულ იქნა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სააგენტოსათვის გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის დავალება. გასათვალისწინებელია, რომ საერთო სასამართლოების მიდგომა სააგენტოსათვის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის დაწესების თაობაზე არ იყო ერთიანი. კერძოდ, ზოგიერ შემთხვევაში სასამართლოები გაცემდნენ თანხმობას ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე სააგენტოსათვის მონიტორინგის დავალების გარეშე.<sup>230</sup> უმეტეს შემთხვევაში კი დგინდებოდა ქონების განკარგვის ნებართვა იმ პირობით, რომ განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი გადაწყვეტილებით განსაზღვრული მიზნების რეალიზებას მოხმარდებოდა, ხოლო განმცხადებელს ეკისრებოდა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული პერიოდულობით ინფორმაციის სააგენტოსათვის წარდგენის ვალდებულება, ამ უკანასკნელის მიერ გადაწყვეტილების შესრულებაზე ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც განმცხადებელი ითხოვდა კუთვნილი წილის განკარგვაზე თანხმობის გაცემას, სასამართლომ მიუთითა ბავშვის კეთილდღეობისა და მისი უპირატესი ინტერესის დაცვის საკითხში სოციალური სამსახურის როლზე და განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით დაადგინა განმცხადებლის მიერ სააგენტოსათვის ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენების თაობაზე წერილობითი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება. ამასთან, განმცხადებლის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდების ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 6 თვეში ერთხელ პერიოდი.<sup>231</sup> საერთო სასამართლოების მიერ მსგავსი მექანიზმის დადგენის ძირითად მიზეზს ბავშვის საყოველთაო უფლებებისა და საუკეთესო ინტერესის დაცვა წარმოადგენდა.<sup>232</sup>

საგულისხმოა, რომ დასახელებული გადაწყვეტილება სააგენტოს მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების

---

<sup>229</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-4173-ბ-11-2019, პარ. 94.

<sup>230</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1593-21; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/2479-20.

<sup>231</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1958-20.

<sup>232</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ბ-408-2021.



---

მონიტორინგის ნაწილში. სააგენტოს განმარტებით, სასამართლოს დავალეზა როგორც უშუალოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის, ისე განმცხადებლისათვის იყო სამართლებრივ საფუძველს მოკლებული. კერძოდ, არ არსებობდა საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ამ უკანასკნელს დართავდა მსგავსი მოქმედების შესრულების უფლებას. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა დაუსაბუთებელს და კანონშუსაბამოს. დამატებით, სააგენტო მიუთითებდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის განხორციელების სირთულეებზე, ერთი მხრივ, იმაზე, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნდა საკანონმდებლო საფუძველი, რაც ეჭვქვეშ აყენებდა მის მიერ მონიტორინგის განხორციელების ეფექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ტექნიკური უზრუნველყოფის არარსებობაზე, რაც უფრო მეტად ართულებდა დავალების შესრულებას. სააგენტო ასევე მიუთითებდა კანონმდებლის შეგნებულ არჩევანზე, სწორედ ამ ფორმით მოწესრიგებინა დასახელებული საკითხი. შესაბამისად, სასამართლოს ამგვარი განმარტება შეუსაბამო იყო კანონმდებლის ნებასთან.<sup>233</sup>

საგულისხმოა, რომ სააგენტოს დასახელებული სამართლებრივი შეფასება არ იქნა გაზიარებული არასრულწლოვნის წარმომადგენლის მიერ. კერძოდ, ამ უკანასკნელის განმარტებით, გასხვისების შედეგად მიღებული თანხის არამიზნობრივი განკარგვისაგან დაცვის ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენდა სააგენტოსათვის გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის დავალეზა, ვინაიდან ბავშვის ქონების განკარგვა მხოლოდ ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო. ამდენად, ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელიც ამ უკანასკნელის კეთილსაიმედო გარემოში ცხოვრებისა თუ სხვა არსებითი მიზნების რეალიზაციას უნდა მოხმარებოდა.<sup>234</sup>

სააგენტოს სამართლებრივი არგუმენტაცია არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. სასამართლოს განმარტებით, ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებამდე ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე ამ გადაწყვეტილების ზეგავლენის მოსალოდნელი შედეგების წინასწარ შეფასებას და გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ მონიტორინგის რეგულარულად განხორციელებას. მსგავსი კატეგორიის საქმეებში სააგენტოს როლი შეუცვლელია. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბავშვის უფლებათა კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრულფასოვანი დაცვის მიზნით სააგენტოსათვის უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლის არსებობა.<sup>235</sup>

---

<sup>233</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ზ-408-2021.

<sup>234</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ზ-408-2021.

<sup>235</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ზ-408-2021.

---

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააგენტოს მიერ გასაჩივრებულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სააგენტო საკასაციო საჩივარში განმეორებით მიუთითებდა, რომ არ არსებობდა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც სააგენტოს პირდაპირ ან ირიბად დააკისრებდა არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებას, კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული მონიტორინგის განხორციელების წესი და პირობები, ისევე როგორც მშობლის მიერ ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებლის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმები, რაც ობიექტურად შეუძლებელს ხდიდა სააგენტოს მიერ სასამართლოს მიერ გაცემული დავალების ამ ფორმით აღსრულებას. დამატებით, სააგენტო მიუთითებდა სსკ-ში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბავშვის ქონების განკარგვისათვის სასამართლოს ნებართვის არსებობის პროცედურის ვარგის, ეფექტურ და თვითკმარ ხასიათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სააგენტოს მოთხოვნა, შედეგად გაუქმდა სააგენტოსათვის ინფორმაციის წარდგენისა და ბავშვის ქონების რეალიზაციის გზით მიღებული სარგებლის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის დავალების ვალდებულება. საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხსენებული განმარტება საფუძვლად დაედო საერთო სასამართლოებში არსებული პრაქტიკის არსებით ცვლილებას და მსგავსი მონიტორინგის მექანიზმის სრულად გაუქმებას. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ბავშვის ქონების განკარგვაზე განმცხადებლის იძულება ვერ განხორციელდება საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, არსებით მნიშვნელობას იძენს განმცხადებლის მიერ გადაწყვეტილების სათანადოდ შესრულების საკითხი, რაც გულისხმობს უძრავი ქონების გასხვისების შედეგად მიღებული სარგებლის მიზნობრივად - სასამართლოს მიერ გამოკვლეული და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების უზრუნველყოფი დანიშნულებით გამოყენებას. ამასთან, ისტორიული განმარტების ფარგლებში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბავშვის უფლებათა კოდექსის განმარტებით ბარათსა და მის შინაარსზე, რომელიც შეეხებოდა უშუალოდ აღსრულების კონკრეტული მექანიზმებით კოდექსის აღჭურვას. დასახელებული მექანიზმები არ ითვალისწინებდა უშუალოდ სააგენტოს მიერ აღსრულების მონიტორინგის განხორციელებას, რაც სასამართლოს განმარტებით, შესაძლოა მიუთითებდეს კანონმდებლის კვალიფიციურ დუმბილზე. შესაბამისად, საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობის პირობებში სააგენტოსათვის მონიტორინგის დავალება მიიჩნია როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი შესაძლებლობის თვალსაზრისით ბავშვის

---

ინტერესების დაცვის მიზნის მიღწევის არარეალურ და უშედეგო ძალისხმევის მცდელობად.<sup>236</sup>

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ არ გამორიცხა პრაქტიკაში ახალ გამოწვევებთან ეფექტიანი რეაგირების მიზნით შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება თავად სამართალურთიერთობის სიახლის გათვალისწინებით, თუმცა საკითხის კომპლექსურობისა და სირთულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიიჩნია ამგვარი საჭიროების არსებობისას საკითხის გადაწყვეტა პირთა ფართო ჩართულობით პრობლემის სიღრმისეული და მასშტაბური შესწავლის შედეგად. ამასთან, მშობლის მიერ ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებისას ასეთი ფაქტის შეფასებისა და სამართლებრივი რეაგირების მიზნით მიუთითა კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო საფუძვლებზე.<sup>237</sup>

საგულისხმოა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით უზრუნველყოს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დროს. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დასანერგად განახორციელოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიება. ბავშვის უფლებათა კოდექსის განმარტებით ბარათში კანონპროექტის მიღების ერთ-ერთ მიზეზად მითითებულია ის ფაქტი, რომ არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ბავშვის უფლებებს ჯეროვნად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაცვას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დასახულია მიზანი, შეიქმნას კონტროლის კონკრეტული მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს იმ დაწესებულებების უწყვეტ მონიტორინგს, რომლებიც ახორციელებენ ბავშვის უფლებების დაცვასა და მხარდაჭერას. განმარტებით ბარათში ხაზგასმულია ამ მიმართულებით, სხვადასხვა მექანიზმებთან ერთად, სახალხო დამცველისა და სასამართლოს განსაკუთრებული როლი.<sup>238</sup> ბავშვის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით კოდექსით იქმნება სახელმწიფოს სისტემური ხედვა, საბუთდება აღსრულების კონკრეტული მექანიზმებით კოდექსის აღჭურვის აუცილებლობა, რაც მის სრულფასოვან იმპლემენტაციას უზრუნველყოფს. ასეთ მექანიზმებად მითითებულია:

---

<sup>236</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1378-2021, პარ. 28.

<sup>237</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1378-2021, პარ. 29

<sup>238</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214086>> [17.02.2023]

|  |
|--|
| <p>➤ კონკრეტული, კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროგრამები, მათი დამტკიცებისა და ამოქმედების ვალდებულების გაწერა კანონში კონკრეტულ ვადებში;</p>                                 |
| <p>➤ საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის, სპეციალური საბჭოს შექმნა, რომელიც ბავშვის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული;</p> |
| <p>➤ კოდექსის სამკლემენტაციო გეგმის შექმნა და დამტკიცება, რაც ასევე კოდექსითაა გათვალისწინებული;</p>   |
| <p>➤ სახალხო დამცველის როლის გაძლიერება;</p>   |
| <p>➤ იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილებების გაფართოება;</p>   |
| <p>➤ სასამართლოს გაძლიერება, რომელიც იქნება თითოეული ბავშვის უფლების დაცვის ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი.</p>   |

საგულისხმოა, რომ კანონმდებელმა ბავშვის უფლების დაცვის ეფექტიანი კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმად დაადგინა ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლი, თუმცა პირდაპირ არ მოუხდენია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მონიტორინგის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ სააგენტოსათვის მონიტორინგის დავალების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ანალიზისას *ისმის მთავარი კითხვა, ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საკითხების საკანონმდებლო დონეზე მოუწესრიგებლობა წარმოადგენს კანონმდებლის შეგნებულ არჩევანს თუ კანონმდებლის გამორჩა ან ვერ გაითვალისწინა საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაციის მნიშვნელობა და საჭიროება. საკანონმდებლო სიახლის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია ფართო დისკრეცია, სამართალშეფარდების გზით მოეხდინა სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი ეფექტიანი გადაჭრა?* აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არსებითი მნიშვნელობისაა, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი რეგულირების გეგმიური თუ არაგეგმიური ხარვეზის დადგენა და შედეგად, სასამართლოს მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.

სასამართლოს მიერ ანალოგიის გამოყენებისას, მოდავე მხარე, როგორც წესი, უარყოფს კანონმდებლობაში რაიმე ტიპის ხარვეზის არსებობას და ცდილობს დაასაბუთოს, რომ საქმე შეეხება კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს (Argumentum e contrario - ანალოგიის საწინააღმდეგო ცნებაა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ თუ რომელიმე ურთიერთობა არ არის მკაფიოდ მოწესრიგებული, მოქმედებს პრეზუმცია, რომ

აღნიშნული კანონმდებლის ნებას შეესაბამება).<sup>239</sup> სააგენტოსათვის ინფორმაციის წარდგენისა და მონიტორინგის დავალების ნაწილში ეს უკანასკნელი სწორედ კანონმდებლის აშკარა ნებაზე მითითებით ასაბუთებდა სასამართლოს მიერ კანონშემოქმედის როლის შეთავსებას. აღნიშნული პოზიცია ირიბად იქნა კიდევ გაზიარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. ნებისმიერი საკანონმდებლო ხარვეზი არ წარმოადგენს ანალოგიის გამოყენების წინაპირობას. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოუწესრიგებლობა კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილებათა, მოსამართლეს ეკრძალება სამართლის განვითარება სასამართლო ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებში ჩარევის თავიდან აცილების მიზნით. თუმცა ხშირად შეიძლება საკითხი შეეხოს არაგვემიურ ხარვეზს, რომელიც არ წარმოადგენს კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას, რა დროსაც დასაშვებია ანალოგიის გამოყენება. ამასთან, განმარტების გზით უნდა დადგინდეს, საკითხი შეეხება გვემიურ თუ არაგვემიურ ხარვეზს.<sup>240</sup> კანონმდებლის ობიექტური ნების დადგენისას უნდა იქნეს გამოყენებული განმარტების მეთოდები, კანონის მომზადების ეტაპზე გამოყენებული მასალები გარკვეული ზომიერებითა და სიფრთხილით, ძირითადად, დახმარე მასალების სახითა და ფუნქციით. ნორმის განმარტებისას კანონმდებლის ნების გათვალისწინება მხოლოდ იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც თავად კანონში არის მისი სათანადოდ განსაზღვრის საფუძველი მოცემული.<sup>241</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის შესახებ კანონმდებლის ობიექტური ნების დადგენისას უნდა განხორციელდეს საკითხის ანალიზი კომპლექსურად და არა მხოლოდ სადავოდ გამხდარი მონიტორინგის ნაწილში. საგულისხმოა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებასთან ერთად თანმდევი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ორივე შემთხვევაში ცვლილების განხორციელების ძირითად მიზეზად დასახელდა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ინტერესი. საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, ბავშვის უფლებათა კოდექსისაგან განსხვავებით, არ ატარებდა მასშტაბურ ხასიათს, კერძოდ, კანონმდებელმა არ მოახდინა ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის წესის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, არ იქნა განსაზღვრული საქმის აღძვრის წინაპირობები, საქმის აღძვრაზე უფლებამოსილი სუბიექტი, მოთხოვნის შინაარსი, წარსადგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი, ისევე როგორც თავად სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესი, ვადები, გასაჩივრების მექანიზმები და სხვ.<sup>242</sup> უდავოა, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემა

<sup>239</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-559-2019, პარ. 176.

<sup>240</sup> ჰენსელი, ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009, 66.

<sup>241</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, 3. <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-BVerfGE.pdf>> [23.02.2023].

<sup>242</sup> ვრცლად იხ. ქვეთავი 3.5.

---

წარმოადგენს ახალ სამართალურთიერთობას, რომელიც რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. შესაბამისად, საკითხის მოსაწესრიგებლად სრულყოფილი, ნათელი და განჭვრეტადი ნორმა სასამართლოს მისცემდა ნორმის სწორად განმარტების და გამოყენების, ხოლო ნორმის ადრესატს - საკუთარი უფლების სათანადოდ რეალიზაციის შესაძლებლობას. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას. საკითხის საკანონდებლო დონეზე მოუწესრიგებლობამ წარმოშვა არაერთი სირთულე სამართალშეფარდების პროცესში როგორც სასამართლოს, ისე განმცხადებლის მხარეს. არ არის ნათელი და აშკარა ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის აღსრულების საკითხი. საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა ქმნის სირთულებებს კანონის სიზუსტისა და განჭვრეტადობის თვალსაზრისით.

სსკ-ის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. საგულისხმოა, რომ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საქმისწარმოების მომწესრიგებელი ნორმები საპროცესო კოდექსში არ გვხვდება. ამასთან, საქმისწარმოების ზოგადი წესების პირდაპირი გამოყენება ამ სამართალურთიერთობის მიმართ საქმის თავისებურების გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, უდავოდ სახეზეა სამართლებრივი ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გეგმიურ ხარვეზად მიჩნევის შემთხვევაში სასამართლოს, კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობის გამო, ფაქტობრივად მოუწევდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა, რაც კანონმდებლობით აკრძალულია.<sup>243</sup> შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზეა კანონის არა წინასწარ გათვალისწინებული არასრულყოფილება, არამედ დაუგეგმავი, არაგეგმიური ხარვეზი, რაც მოსამართლეს ანიჭებს ფართო დისკრეციას. აღნიშნულ მოსაზრებას განამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის №4(4) გადაწყვეტილება, რომლითაც კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნა დასაბუთდა, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაციის არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირების საჭიროებით.<sup>244</sup> ამდენად, საკვლევ საკითხთან მიმართებით კანონმდებელმა სრულად

---

<sup>243</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.

<sup>244</sup> საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის №4(4) გადაწყვეტილება. ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/302542>> [27.02.2023].



---

სასამართლოს მიანდო ახალ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული პროცედურების გადაწყვეტა, რაც მოქმედებს როგორც უშუალოდ საქმისწარმოების დროს წარმოშობილ საკითხებზე, ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არსებულ პროცედურებზე. განსახილველი საქმის თავისებურების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესი როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, ძირითადი კრიტერიუმი სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების დროსაც. გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ბავშვის დაცვის ინტერესი მიიღწევა სწორედ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხების ბავშვის ინტერესების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლით. სხვა შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებლის ბავშვის ინტერესების საზიანოდ გამოყენებისას აზრს დაკარგავს ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლის შემოღება. სასამართლოს ძალისხმევა, თითოეული ბავშვის უფლების დაცვის ეფექტიანი კონტროლის მექანიზმის არსებობის თაობაზე, კი იქნება უშედეგო. სწორედ, ამ მიზნით სასამართლოს კანონის წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილებისას უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებების სრულყოფილი დაცვის შესაძლებლობა, რადგან საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ დარჩეს მხოლოდ დეკლარაციულ ვალდებულებად, სამართლებრივი შედეგის დადგომის ქმედებითი მექანიზმის გარეშე. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულების მიზნით მიზანშეწონილია სასამართლოს მიენიჭოს აღსრულების მეთოდის განსაზღვრის უფლება, მათ შორის, მონიტორინგის დავალების შესაძლებლობა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ როცა საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის დავალებაზე, თავის მხრივ, უნდა არსებობდეს სააგენტოს მიერ ამ დავალების შესრულების პერსპექტივა. ამგვარი დავალების მიზანი უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელება. სხვა შემთხვევაში, სასამართლოს დავალება იქნება ილუზორული, შესაბამისად, მოლოდინი, რომ აღნიშნული დავალება ბავშვის უფლების დაცვის მიზანს მოემსახურება, დარჩება მიუღწეველი. სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, ასევე ოჯახურ დავებზე კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება და ამ მიზნებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა. საგულისხმოა, რომ ზოგადად, სააგენტოს ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების მიზნით ეს უკანასკნელი აღჭურვილია საკანონმდებლო მექანიზმებით. უშუალოდ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესში უდავოა სააგენტოს

განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენაში სასამართლოს დახმარებით გამოიხატება, თუმცა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სააგენტოს როლი მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის პროცესში. საკანონმდებლო დონეზე საკითხის მოუწესრიგებლობა შესაძლოა არ იქცეს დავალების შესრულების პროცესში სააგენტოსათვის არსებით დაბრკოლებად, სააგენტომ იხელმძღვანელოს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და ეროვნული კანონმდებლობით<sup>245</sup> მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს ექნება დავალების შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ქმედითი, ეფექტური რეაგირების შესაძლებლობა. ისმის კითხვა, რა ქმედითი ინსტრუმენტები გააჩნია სააგენტოს განმცხადებლისაგან არასრულწლოვნის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენების თაობაზე წერილობითი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით ან რა სამართლებრივი შედეგები დგება სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში? ამ ნაწილში სრულად უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს განმარტება, რომ არ არსებობს სააგენტოსათვის მონიტორინგის დავალების საკანონმდებლო საფუძველი, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო მეტად ხაზგასასმელია, რომ არ არსებობს საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც განმცხადებელს აიძულებდა წერილობითი ინფორმაციის სააგენტოსათვის წარდგენას. საკანონმდებლო ჩარჩო არ შეიცავს მითითებას წერილობითი ინფორმაციის წარუდგენლობისას ეფექტური რეაგირების ინსტრუმენტზე. შესაბამისად, ფაქტობრივად თავად განმცხადებლის ნებაზე ხდება დამოკიდებული, როდის წარუდგენს ინფორმაციას სააგენტოს. სააგენტოს არ აქვს ინფორმაციის წარუდგენლობის საპასუხო მექანიზმი, როგორც ეს მოცემულია ცალკეულ შემთხვევებში,<sup>246</sup> კერძოდ, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ პირებს სააგენტოს მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ენიჭებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის

<sup>245</sup> დადგენილების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „აღმაიანით ვაჭრობის (ტრევიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ბავშვის უფლებათა კოდექსით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

<sup>246</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>13</sup> მუხლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის არასრულწლოვანი შვილის გადაცემის, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე არასრულწლოვან შვილთან მეორე მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების ან ბავშვის საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების საქმეზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>2</sup> მუხლით დანაშაულად ითვლება გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის არასრულწლოვანი შვილის გადაცემის, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე არასრულწლოვან შვილთან მეორე მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების ან ბავშვის საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების საქმეზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>13</sup> მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსაბედელშეფარდებული პირის მიერ,

---

შედგენის უფლება.<sup>247</sup> საგულისხმოა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მსგავსი ფუნქციით აღჭურვა ემსახურება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების გამართული პროცედურის არსებობას, აღსრულების უზრუნველსაყოფად სრულყოფილი და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით გამართული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულაციების არსებობას.<sup>248</sup>

სააგენტო არ არის აღჭურვილი მსგავსი საკანონმდებლო ინსტრუმენტებით ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებლის მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგის განხორციელების პროცესში. არსებული კანონმდებლობა სააგენტოს არ ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიანი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ სააგენტოსათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალებისას ეს უკანასკნელი მოკლებულია გადაწყვეტილებაში მითითებულ საკითხებზე ობიექტური და შედეგიანი რეაგირების როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ შესაძლებლობას, რაც აზრს უკარგავს ამგვარი დავალების შინაარსს. მსგავსი დავალება აკისრებს სააგენტოს შრომატევადი, თუმცა, საბოლოო ჯამში, არაეფექტური მექანიზმებით ბავშვის ინტერესების დაცვის ვალდებულებას. ამ შემთხვევაში სრულად უნდა იქნეს გაზიარებული მსჯელობა, რომ აუცილებელია შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლითაც დადგინდება სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეფექტიანი რეაგირების მექანიზმი, რაც შეიძლება ჯარიმის დაწესებაშიც გამოიხატოს.

---

<sup>247</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-60 ნაწილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, სარეგისტრაციო კოდი: 020.000.000.05.001.000.010.

<sup>248</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“  
<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229016>> [23.02.2023].

## 7. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არსებული პრობლემური ასპექტები

### 7.1. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება როგორც სავალდებულო მოთხოვნა

სსსკ-ის 251<sup>1</sup> მუხლი ადგენს საბაზისო მოთხოვნებს არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების მიმართ, კერძოდ, პირველი ნაწილით დგინდება არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების ვალდებულება, ხოლო მე-2 ნაწილი ადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების მიზნით სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შესაბამისი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით. თავის მხრივ, ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების საბაზისო კრიტერიუმებს განსაზღვრავს შემდეგი ფორმით:

|  |
|--|
| <i>❖ ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება;</i>  |
| <i>❖ ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა;</i>         |
| <i>❖ ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა;</i>                       |
| <i>❖ ბავშვის მოსაზრებები;</i>  |
| <i>❖ ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა;</i>   |
| <i>❖ სხვა საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადაწყვეტაზე.</i> |

საგულისხმოა, რომ არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ, მათ შორის ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ზემოაღნიშნული საბაზისო კრიტერიუმებით მის დასაბუთებას. ბავშვთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება აღიარებულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ბავშვის

---

საუკეთესო ინტერესი სამი ელემენტისაგან შედგება და ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება საპროცესო წესები, კერძოდ, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც შეეხება ინდივიდუალურ ბავშვს, ბავშვთა ჯგუფს თუ ზოგადად, ბავშვებს, სამართალწარმოების პროცესი უნდა მოიცავდეს ბავშვზე გადაწყვეტილების მოსალოდნელი შედეგების (პოზიტიური ან ნეგატიური) შეფასებას. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას, რაშიც უნდა მიუთითოს, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესად, რა კრიტერიუმები დაედო საფუძვლად ამგვარ მითითებას და როგორ იქნა ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყველა სხვა ინტერესთან, მათ შორის, საერთო პოლიტიკურ საკითხებთან თუ ცალკეული პირის ინტერესებთან მიმართებით დადგენილი.<sup>249</sup>

სსსკ-ის 251<sup>1</sup> მუხლი ადგენს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სამართალწარმოების პროცესში იმგვარ პროცესუალურ-სამართლებრივ გარანტიებს, როგორცაა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების, ასევე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება საბაზისო კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს ასევე კომიტეტის ზემოაღნიშნულ მითითებას. სსსკ-ის 251<sup>1</sup> მუხლით დგინდება სპეციალური წესი არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მიმართ, თუმცა ამასთან ერთად მოქმედებს სსსკ-ის 250-ე მუხლი, რომელიც ადგენს გადაწყვეტილების მარტოოდენ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე. ამ შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს სსსკ-ის 251<sup>1</sup> და 250-ე მუხლების ურთიერთმიმართების საკითხის განსაზღვრა უშუალოდ ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საკითხის ჭრილში.

საგულისხმოა, რომ არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის შემთხვევაში სასამართლოები ხელმძღვანელობენ სსსკ-ის 250-ე მუხლის დანაწესით და ხშირია მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბების შემთხვევები.<sup>250</sup> აღნიშნული თავის მხრივ ართულებს მხარეთა მოსაზრებების დადგენის, ქონების განკარგვის მიზნობრიობისა და პერიოდის (ასეთის არსებობისას) ანალიზის შესაძლებლობას. სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

---

<sup>249</sup> General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration, (art. 3, para. 1), CRC/C/GC/14, <[https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc\\_c\\_gc\\_14\\_eng.pdf](https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc_c_gc_14_eng.pdf)> 6.

<sup>250</sup> სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/94-22.

---

სარეზოლუციო ნაწილი წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს განცხადებაზე.<sup>251</sup> წარმოდგენილ შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება მხოლოდ განცხადების განხილვის შედეგები (დაკმაყოფილება/არდაკმაყოფილება); განკარგვაზე უფლებამოსილი სუბიექტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ისევე როგორც ქონების კონკრეტული მახასიათებლები; გასაჩივრების წესი და ვადა. საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილების თანდართულ შენიშვნაში კეთდება მითითება, რომ განმცხადებელი, დაინტერესებული პირი (იგულისხმება - სააგენტო) წარმომადგენელი და არასრულწლოვნის ადვოკატი ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე. შესაბამისად, სასამართლო, სსსკ-ის 250-ე მუხლის შესაბამისად, შემოიფარგლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით სათანადო დასაბუთების გარეშე.<sup>252</sup>

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის მიმართ სსსკ-ის 250-ე მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასება უნდა განხორციელდეს თავად სსსკ-ის 250-ე მუხლის შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით. სსსკ-ის 250-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა არსებული რედაქციისაგან, კერძოდ, 2000 წლის ივლისამდე მოქმედი რედაქციით დგინდებოდა მხარეთა მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილების ჩამოყალიბების ვალდებულება. სსსკ-ში 2000 წელს განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა სასამართლოს მიერ მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილით შემოფარგვლის შესაძლებლობა. წარმოდგენილი ცვლილების მოტივად კანონმდებელმა მიუთითა ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ მისი პრაქტიკული ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროება, ასევე სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეცდომების პრევენციის აუცილებლობა.<sup>253</sup> დასახელებული განმარტება ატარებს უფრო მეტად აბსტრაქტულ ხასიათს, რაც ართულებს მსგავსი ცვლილების მიღების მოტივების დადგენას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 250-ე მუხლი იძლევა მხარის უფლების დეფინიციას, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესიდან, ასევე დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უარყოფს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება.<sup>254</sup> მსგავსი დანაწესის დადგენა განპირობებულია საპროცესო სამართლებრივი პრინციპის - დისპოზიციურობის პრინციპის

---

<sup>251</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, თბილისი, მუხლი 242-ე, 924.

<sup>252</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, თბილისი, მუხლი 242-ე, 924.

<sup>253</sup> განმარტებითი ბარათი კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ <info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/124282> [14.02.2023].

<sup>254</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-85-85-2018, პარ. 11; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის საქმეზე №ას-55-50-2015.



---

მოქმედებით, რომელიც სამართალწარმოების პროცესში უპირატესობას ანიჭებს მხარის ნებას, კერძოდ, თუ ეს უკანასკნელი არ ეთანხმება გადაწყვეტილების ფაქტობრივ ან სამართლებრივ დასაბუთებას, აძლევს მისი გასაჩივრების შესაძლებლობას.<sup>255</sup> საპროცესო კანონმდებლობით, ნებისმიერი უფლების რეალიზაცია თავად მხარის ნებაზეა დამოკიდებული, რაც ნიშნავს მხარის თავისუფლებას, განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები, გასაჩივროს/არ გასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ პირმა განკარგა თავისი საპროცესო უფლება, რაც გამოიხატა გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე გამოტანის დათანხმებასა თუ მის გასაჩივრებაზე უარის თქმაში, აღნიშნული ცხადყოფს, რომ პირმა ფაქტობრივად აღიარა გადაწყვეტილება და მისი შედეგები.<sup>256</sup> მართოდენ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება ემსახურება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა წარმოების დაჩქარებას. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, სადაც სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების დათქმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სასამართლოს მიდგომა სსსკ-ის 250-ე მუხლის სრულად, გამონაკლისის გარეშე გავრცელების თაობაზე, თუმცა აღნიშნულის საწინააღმდეგოდ შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს შემდეგი არგუმენტები:

- ❖ *ბავშვის ქონების განკარგვისას სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ბავშვის ფინანსურ ინტერესებზე, შესაბამისად, რატომ იქნა მიჩნეული განმცხადებლის მოთხოვნა ბავშვის ინტერესთან თავსებადად, რა მტკიცებულებებს დაეყრდნო სასამართლო საქმის განხილვის პროცესში, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემისას და ხომ არ მოხდა დამატებითი პროცესუალური მექანიზმების დადგენა ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით, არსებით მნიშვნელობას იძენს. ამასთან, გადაწყვეტილების აღწერილობით თუ სამოტივაციო ნაწილში მოცემული მსჯელობა ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის გამოყენების მიზნობრიობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის განხორციელების ვარგის სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში სამოტივაციო ნაწილის არსებობა ამარტივებს ბავშვის ქონებრივი ინტერესების დარღვევის ფაქტის მტკიცებისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების პროცესს. ამდენად, ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიანი მონიტორინგისა და მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების, შედეგად ბავშვის უფლებების დარღვევის დროული აღმოფხვრის მიზნით*

---

<sup>255</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1093-1041-2013.

<sup>256</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-302-290-2012.

---

რეკომენდირებულია მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების შენარჩუნება მხარეთა ნების მიუხედავად.

- ❖ სპეციალურმა მოწესრიგებამ 251<sup>1</sup> მუხლის სახით დაადგინა დამატებითი მოთხოვნები ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების მიმართ და სასამართლოს ფართო დისკრეცია გარკვეულ სავალდებულო ფარგლებს დაუქვემდებარა. ამდენად, არსებითად დემონსტრირდა კანონმდებლის ნება ამ ურთიერთობის მიმართ სპეციალური წესის დაქვემდებარების შესახებ. შესაბამისად, სწორედ მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

## 7.2. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტები შესასრულებლად სავალდებულო ძალას ატარებს. შედეგად, ნებისმიერი პირი, ვისაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება, ვალდებულია შეასრულოს ის. გადაწყვეტილების შესრულება გამოიხატება გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების ზუსტად, ჯეროვნად, სათანადოდ გათვალისწინებასა და დაცვაში.<sup>257</sup> ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო გადაწყვეტილებები მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, კერძოდ, ამ შემთხვევაში განმცხადებელს ენიჭება უფლება, მოახდინოს ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია, თუმცა კონკრეტული პირობებით (მაგ., არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა მხოლოდ იმ პირობით, რომ განმცხადებელი ნასყიდობის ხელშეკრულებით მიღებული თანხით გადაიხდის უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას;<sup>258</sup> უძრავი ქონების გასხვისება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვის საკუთრებაში აღირიცხება ბებიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და ა.შ.).<sup>259</sup> ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების ჯეროვნად, ზუსტად შესრულება უშუალოდ განმცხადებლის ნებაზეა დამოკიდებული, აღნიშნული ზრდის განმცხადებლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების არაჯეროვანი შესრულების და უფლების ბოროტად გამოყენების რისკებს. საკითხავია, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს განმცხადებლის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულვებელყოფამ. ამ მხრივ საგულისხმო განმარტებას შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც მშობლის მიერ ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებისას ასეთი ფაქტის შეფასებისა და

---

<sup>257</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-92-2022.

<sup>258</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24519-21.

<sup>259</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/29606-21.

---

სამართლებრივი რეაგირების მიზნით მიუთითა კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო საფუძვლებზე,<sup>260</sup> თუმცა რა იგულისხმება საერთო საფუძვლებში, არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული. ამდენად, აუცილებელია მისი შინაარსის განმარტება.

ზოგადად, მშობლის მიერ ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება, რაც გამოიხატება სასამართლო გადაწყვეტილების ზედმიწევნით შეუსრულებლობაში, წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ვალდებულების საწინააღმდეგო მოქმედებას, რის შედეგადაც დგება ბავშვის ქონებრივი ინტერესის ხელყოფის, შედეგად, მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. ზიანის ანაზღაურების ზოგად პრინციპებთან დაკავშირებით არსებობს ერთსულოვნება როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიზანს წარმოადგენს ბავშვის ქონებრივი დანაკარგების კომპენსირება, შესაბამისად, ბავშვის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელიც იქნებოდა მოცემული, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.<sup>261</sup> ბავშვის ქონებრივი ინტერესის ხელყოფა და ქონებრივი ზიანის მიყენება წარმოადგენს არსახელშეკრულებო, კერძოდ დელიქტური ვალდებულების (სსკ-ის 992-ე მუხლი) დარღვევის შედეგს, თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას დელიქტური ვალდებულების ხელყოფის კონდიციასთან (სსკ-982-ე მუხლი) კონკურენციის საკითხი.<sup>262</sup> მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებიდან ერთ-ერთის გამოყენება წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას.<sup>263</sup> სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება ატარებს სუბსიდიურ ხასიათს, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დაასკვნის, რომ სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება გამორიცხულია და გამოკვეთილია უსაფუძვლო

---

<sup>260</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1378-2021, პარ. 29.

<sup>261</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-754-2021, პარ. 35.

<sup>262</sup> 1664-ე პარაგრაფი BGB ითვალისწინებს სპეციალურ პასუხისმგებლობას მშობლების მიერ ბავშვის ქონების მართლზომიერი ეკონომიკური მართვის წესების დარღვევის გამო. ამ შემთხვევის მიმართ მსგავსი მოწესრიგების ანალოგიით გამოყენება შესაძლებელია. საჯარო სხმა, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ასევე წარმოიშვას მოთხოვნის დამატებითი სამართლებრივი საფუძველი (დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების, ან უსაფუძვლო გამდიდრების (ხელყოფის კონდიციის) სახით. – იხ. *Langels H., Familienrecht, 7. Aufl., Harald Langels, 2017, 97.* 1664 I BGB წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს მშობლების მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბავშვის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რეალიზებისათვის. 1664 I BGB მიხედვით, მშობლებს ზრუნვის ვალდებულების შესრულებისას ეკისრებათ გულისხმიერების ვალდებულება, კერძოდ, იმგვარი წინადახედულების გამოჩენა, როგორცაც ისინი საკუთარი საქმეების შემთხვევაში გამოიჩენდნენ. გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, საკითხი შეეხება ბავშვის მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს მშობლების მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე - OLG Köln, Urteil vom 23.10.1996 - 2 U 20/96). მშობლების მიერ უფლების ზოროტად გამოყენება და ამით შვილის მიმართ არსებულ ქონებაზე ზრუნვის მოვალეობის დარღვევა სახეზეა მაგალითად მაშინ, როცა მშობელი ბავშვის თანხას სარგებლის მიღების მიზნით ანაბარზე განთავსების ნაცვლად პირადი მიზნებისთვის გამოიყენებს.

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას- 664-635-2016, პარ. 220.

---

გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების უპირატესობა.<sup>264</sup> ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმები.

ბავშვისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მინიჭებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ის საკითხი, რომ სსკ-ის 1198<sup>1</sup> მუხლის დანაწესი, რომელიც არასრულწლოვანს ანიჭებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსაგან დამოუკიდებლად მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლებას, შეიძლება არ გამოდგეს ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის სათანადო ინსტრუმენტად. 1995 წელს შვეიცარიის კონფედერაციის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა, რომ ბავშვის მოსაზრება, ნებისმიერ შემთხვევაში, გარკვეული დოზით შექმნილია მშობლის გავლენით.<sup>265</sup> სწორედ ბავშვზე მშობლის გავლენის გამო ამ უკანასკნელმა შესაძლოა ვერ მოახდინოს მშობლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების არაჯეროვან შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობა და მშობლის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება.

ზემოთდასახელებული რისკების თავიდან აცილების, შედეგად, ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით სააგენტომ უნდა მოახდინოს მშობლის მიერ ქონების განკარგვაზე ეფექტიანი ზედამხედველობა. მშობლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძვლით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლო წესით განხილვისას მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი, როგორც წესი, შეჩერებულია და სააგენტო წარმომადგენს ბავშვის ინტერესებს. სააგენტოს ამ პროცესში ბავშვის ინტერესების დაცვა არსებითად უმარტივდება, ვინაიდან ის ფლობს მშობლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოთხოვნების უგულებელყოფის და ამის გამო ბავშვისათვის ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისათვის საკმარის მტკიცებულებებს.

### **7.3. სასამართლო ნებართვის გარეშე გარიგების დადების შედეგები**

სამოქალაქო კანონმდებლობით სასამართლოს თანხმობა გაიცემა ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე გარიგების დადებად,<sup>266</sup> თუმცა შესაძლებელია მშობლის მიერ გარიგების დადება მოხდეს სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშეც. მსგავსი შემთხვევა განხილულ იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ. განმცხადებელი განსახილველ საქმეში ითხოვდა ბავშვის ქონების

---

<sup>264</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1266-2019.

<sup>265</sup> ჰააგის 1980 წლის კონვენცია „ბავშვის საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ პრაქტიკული სახელმძღვანელო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2018, 86.

<sup>266</sup> ანალოგიური მოწესრიგება დადგენილია გერმანიის კანონმდებლობით, რომლითაც წინასწარ გაცემული თანხმობა ნამდვილი ხდება დაუყოვნებლივ გარიგების დადებისთანავე.

---

განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემას, თუმცა მოთხოვნის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მშობლებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული და ნასყიდობის საფასური უკვე მიღებული ჰქონდათ. მყიდველი ახორციელებდა ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას და ითხოვდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაკუთრედ რეგისტრაციას. განმცხადებლის განმარტებით, ქონება გასხვისდა არასრულწლოვანთან შეთანხმებით არასრულწლოვნის მამის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე. განკარგვის შედეგად მიღებული ფულადი თანხა მოხმარდა სწორედ მკურნალობის და შემდგომ გადმოსვენება-დასაფლავებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. სასამართლომ აღნიშნული ფაქტი არ ჩათვალა საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად და გასცა შემდგომი თანხმობა ქონების განკარგვაზე.<sup>267</sup>

ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, რა გავლენას ახდენს სასამართლო ნებართვის არარსებობა მშობლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ ბედზე და უფლების დაცვის რა სამართლებრივი ბერკეტი მოქმედებს მყიდველის მიმართ?

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ცალკე არ არეგულირებს ხსენებულ საკითხს.<sup>268</sup> შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ზოგადი ნორმების გამოყენების საჭიროება. ამგვარ ნორმად შეიძლება დასახელებდეს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა. დასახელებული მუხლი გარიგების ნამდვილობის ერთ-ერთ პირობად ადგენს ნებართვის არსებობას, ნებართვის არარსებობას კი უკავშირებს გარიგების ბათილობას. ამ კუთხით ნებართვა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, არის გათანაბრებული გარიგების ფორმასთან.<sup>269</sup> ნებართვასთან მიმართებით საგულისხმო რეგლამენტაცია დგინდება 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადებით, რომლის მიხედვითაც, თუ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. ხელშეკრულების თავისუფლებაში ამ ფორმით ჩარევა შეიძლება გამართლდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მისი საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნებით.<sup>270</sup> ამასთან, სახელმწიფოს ნებართვის ან ამ ნებართვის დარღვევით დადებული გარიგების ნამდვილობა უნდა

---

<sup>267</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-2/2479-20.

<sup>268</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებას, კერძოდ, მზრუნველის მიერ სასამართლო ნებართვის გარეშე დადებული გარიგება წარმოადგენს მერყევად ბათილად გარიგებას 1829 I BGB მიხედვით.

<sup>269</sup> *ჟანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჟანტურია (რედ.), 2017, მუხ. 59, ველი 8.

<sup>270</sup> *გელაშვილი ი.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჟანტურია (რედ), 2019, მუხლი 319, ველი 18.

განისაზღვროს ნებართვის მიზნის, მომხმარებელთა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.<sup>271</sup> თანხმობის გაცემის სპეციალური კანონით მოწესრიგება სცილდება კერძო სამართლის ფარგლებს, თუმცა ვაგლენას ახდენს გარიგების სამართლებრივ ბედზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ორგანოების მიერ გაცემულ თანხმობებზე სსკ-ის 99-ე-102-ე მუხლებით გათვალისწინებული თანხმობის ინსტიტუტის გამოყენება, თუ ის უშუალოდ უკავშირდება გარიგების ნამდვილობის საკითხს.<sup>272</sup> ნებართვა წარმოადგენს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას,<sup>273</sup> რომელიც ნამდვილი ხდება მას შემდეგ, რაც სასამართლო გასცემს საბოლოო თანხმობას (თანხმობის ნამდვილობა) და მეორე მხარეს შეატყობინებს (გარიგების ნამდვილობა).<sup>274</sup> ამ შემთხვევაში კონტრაქტის ვერ მოითხოვს გარიგების ბათილობას სათანადო ნებართვის გარეშე ხელშეკრულების დადების საფუძველით, რომლითაც შეილახა მისი უფლება. მსგავსი ქმედება სცილდება ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობის კეთილსინდისიერად წარმართვის ფარგლებს.<sup>275</sup> კონტრაქტის ინტერესის დაცვის (საკუთრების შეძენა ქონებაზე) მიზნით შეიძლება კანონმდებლობით შემოღებულ იქნეს მყიდველის მიერ ვადის განსაზღვრის ინსტიტუტი, რომლის ფარგლებშიც მშობელს ექნება სასამართლო თანხმობის მიღების შესაძლებლობა. ვადის გასვლა გამოიწვევს თანხმობის უარყოფილად, ხოლო გარიგების დასრულებად აღიარებას.<sup>276</sup>

<sup>271</sup> გელაშვილი ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 319, ველი 21.

<sup>272</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 405.

<sup>273</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 59, ველი 9. მსგავს შემთხვევაში 99-ე და 102-ე მუხლების გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს განსაზღვრის მიზნით სასამართლოს განმარტებაც, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1234-1493-09. აღნიშნულ საქმეზე, სადაც საკითხი შეეხებოდა სახელმწიფოს თანხმობას კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს თანხმობა, გარიგების დადების შესახებ უკავშირდება და შესაბამისად, ვაგლენას ახდენს კერძო სამართლებრივ და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებზე. თავისთავად ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს თანხმობა სამეწარმეო იურიდიული პირის მიერ კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ თავისი არსით შესაძლებელია განვასხვავოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებართვისაგან, რომელშიც იგულისხმება საჯარო უფლებამოსილების ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების შედეგად გაცემული ნებართვა, რომელიც უკავშირდება საჯარო ინტერესს (მაგ., სათანადო ლიცენზიის გაცემა და ა.შ.). შესაბამისად, ამ ნებართვის გარეშე დადებული გარიგება ბათილია. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში სახელმწიფო-პარტნიორის წილობრივი მონაწილეობისას, სახელმწიფოს აუცილებელი თანხმობის გარეშე საზოგადოების მიერ დადებული გარიგება ასევე იწვევს მის ბათილობას, მაგრამ ამ კატეგორიის გარიგებები მიიჩნევა მერყევად ბათილ გარიგებებად და ამდენად, ასეთ გარიგებებზე არ ვრცელდება სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი. პარტნიორის (სახელმწიფოს) კონკურსის წესით იჯარით ქონების (დროებით სარგებლობაში) გაცემის შესახებ თანხმობაზე ვრცელდება სსკ-ის 99-ე-102-ე მუხლებით გათვალისწინებული თანხმობის ინსტიტუტი.

<sup>274</sup> საკითხის მსგავსი გადაწყვეტა შემოთავაზებული გერმანიის პრაქტიკით, რაც უნდა იქნეს გაზიარებული - BGH v. 22.07.2009, Az. XII ZR 77/06.

<sup>275</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-474-448-2011.

<sup>276</sup> საკითხის მსგავსი გადაწყვეტა შემოთავაზებული გერმანიის კანონმდებლის მიერ, კერძოდ, 1829 II BGB შესაბამისად, მყიდველის რისკები შეიძლება იმით შემცირდეს, რომ მან მშობლებს მოსთხოვოს სასამართლოს




---

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის მოთხოვნით შემდგომი მიმართვა თავსებადია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლოს თანხმობის საგანს წარმოადგენს არა რეგისტრაციის თაობაზე თანხმობა, არამედ მატერიალური გარიგება. თავის მხრივ, თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი შემდგომ მიმართვისას საფრთხე არ ექმნება ბავშვის უფლებების დაცვისა და სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნას. ამდენად, ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნა უნდა იქნეს განხილული იმგვარ შემთხვევადად, რომელიც სასამართლოს შემდგომ თანხმობას დაექვემდებარება.

---

სავალდებულო თანხმობის შეტყობინება არაუმეტეს 2 კვირისა. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ თანხმობა უარყოფილად და გარიგება დასრულებულად ითვლება - *Langels H., Familienrecht, 7. Auflag., 2017, 100.*



---

## *ქართულენაროვანი ლიტერატურა*

„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf>.

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/321771>.

გელაშვილი, ირმა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ), თბილისი, 2019.

ზარანდია, თამარ, სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019.

ზარნაძე, ეკა, „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები“, სერგო ჯორბენაძის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი: გამოწვევები და რეფორმირების პერსპექტივები, თბილისი, 2016;

იურგერ, შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-BVerfGE.pdf>>

კილაძე, სოფო, ტურავა, პაატა, ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021.

ლილუაშვილი, თენგიზ, პროცესუალური სამართალი, თბილისი, 2014.

ლილუაშვილი, თენგიზ, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005.

მახათაძე, ნათია, „ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლოს თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(73)22.

---

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია <https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“

სირდაძე, ლადო, პაპიძე, ხატია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, ჭანტურია, რუსიაშვილი (რედ.), თბილისი, 2021.

ქერაშვილი, სალომე, ქარცხია გული, „მშობლების მიერ არასრულწლოვნის ქონებრივი ინტერესების დაცვა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“, გურამ ნაჭყებია 75 - საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.

ქურდაძე, შალვა, ხუნაშვილი, ნინო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015.

შენგელია, რომან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, (რედ., ჭანტურია), წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000.

შენგელია, რომან, შენგელია, ეკატერინე, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019.

შენგელია, რომან, შენგელია, ეკატერინე, საოჯახო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

შოთაძე, თამარ, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017.

ჰაგენლოგი, ულრიხ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, თბილისი.

---

ჰენშელი, სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009.

ჰერმანი, თომას, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016.

### *უცხოენაროვანი ლიტერატურა*

General comment no. 5 (2003): General measures of implementation of the Convention on the Rights of the Child, CRC/GC/2003/5, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2003, 5, <https://www.refworld.org/docid/4538834f11.html>.

General Comment No. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, <https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/advanceversions/crc-c-gc-12.pdf>.

General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), CRC/C/GC/14, [https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc\\_c\\_gc\\_14\\_eng.pdf](https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/gc/crc_c_gc_14_eng.pdf)

Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice Council of Europe, October 2011.

Jürgen Seichter, Einführung in das Betreuungsrecht, Vierte, aktualisierte und überarbeitete Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010.

Langels Harald, Familienrecht, 7. Aufl., 2017

### *სასამართლო გადაწყვეტილებები/განჩინებები*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №677-949-04.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას- 664-635-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1207-1468-09.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1234-1493-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1332-1172-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1213-1064-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-474-448-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-669-630-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-914-954-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-302-290-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1522-1436-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1062-996-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-905-გან-2-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1093-1041-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის საქმეზე №ას-55-50-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-411-388-2014.



---

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/19068-14

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-20-20-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1221-1146-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-53-51-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-604-563-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-85-85-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №1498-1418-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-809-809-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-4173-ბ-11-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-559-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-196-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1266-2019.

სიდნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/393-22.

---

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/21607-20.

თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/478-20.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-857-2019.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/26270-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/22931-20.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/692-20.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-944-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1095-2019.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №2/2479-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე №2/4432-21.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე №2/112-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 აპრილის განჩინება საქმეზე №2/6660-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 აპრილის განჩინება საქმეზე №2/7651-21.

---

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 აპრილის განჩინება საქმეზე №2/7820-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე №2/8182-21.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/2479-20.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/700-21.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1958-20.

გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე №2/823-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 31 მაისის განჩინება საქმეზე №2/12182-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/4976-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 31 მაისის განჩინება საქმეზე №2/12051-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/7744-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №2/14687-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/14758-21.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1652-2021.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ივნისის განჩინება საქმეზე №2/15116-21.

---

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1593-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2/24453-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/13530-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/24593-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/25300-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/17249-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24519-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/8837-21.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ზ-408-2021.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 10 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/29606-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30110-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/30286-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/25129-21.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-754-2021.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/18112-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/24593-21.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე №2/213-22.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-680-2021.

თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 7 თებერვლის განჩინება საქმეზე №2-93-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/29606-21.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-733-2020.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე №2/94-22.

თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №2/246-22.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1378-2021.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-2-2022.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/94-22.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-ას-92-2022.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №2/17844-22

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/371-22

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-661-2022.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 29 ივლისის განჩინება საქმეზე №2/665-22;

თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/246-22.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-26-2022.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/124-22.

თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/904-22.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/3781-22.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/1426-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/36555-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/26270-20.



---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1076-2022.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1558-2022.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/68 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის №2/1/1481 გადაწყვეტილება საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

„გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“ (2015), no. 2361/13, ECHR.

„ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2016), no. 71776/12, ECHR.

შპს „იზა“ და მკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ (2005), no. 28537/02, ECHR.

BGH, Urt. v. 22.05.1986 – III ZR 237/84.

BGH Urt. v. 23.05.1990 – XII ZR 117/89.

OLG Köln, Beschluss v. 20.06.1994 - 16 Wx 86/94.

OLG Köln, Urt. v. 23.10.1996 – 2 U 20/96.

---

BGH 22.07.2009, Az. XII ZR 77/06.

Senat, Beschluss v. 30.09.2010 - V ZB 206/10.

BGH, Beschluss v. 16.2.2012 – V ZB 204/11.

Senatsbeschluss vom 12. 02.2014 - XII ZB 592/12

OLG Bremen v. 03.12.2014 – 4 UF 112/14.

BGH, Beschluss v. 03.04.2019 - XII ZB 359/17.

BGH Beschluss v. 11.03.2021 v. ZB 127/19.

OLG Brandenburg 1. Senat für Familiensachen v. 23.07.2021 - 9 WF 179/21.

W. v. the United Kingdom (1987), no. 9749/82, ECHR.

Vogt v. Germany (1995), no. 17851/91, ECHR.

Elsholz v. Germany (2000), no. 25735/94 , ECHR.

Monory v. Romania and Hungary (2005), no. 71099/01, ECHR.

Bistrovic v. Croatia (2007), no. 25774/05, ECHR.

Neulinger and Shuruk v. Switzerland (2010), no. 41615/07, ECHR.

S.L. and J.L. v. Croatia (2015), no. 13712/11, ECHR.

### ***ნორმატიული მასალა***

საქართველოს კონსტიტუცია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია.

„ბავშვის საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია.

---

საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

ბავშვის უფლებათა კოდექსი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №58 დადგენილება.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება.

„ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №8 დადგენილება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - BGB.

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი.

ალბანეთის საოჯახო კოდექსი.



ISBN 9941-8-5686-0

[www.seu.edu.ge](http://www.seu.edu.ge)

